პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

7 დეკემბერი პარასკევი 2012 №290 (13 896) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევრო 2020

## მთელ ევროპაში!

### იქნებ, ევროპის ჩემპიონატმა საქართველოშიც შემოიაროს...

უეფას გადაწყვეტილებით, 2020 წლის ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს არა ერთი ან ორი ქვეყანა, არამედ მთელი კონტინენტი!

პრესკონფერენციაზე, რომელიც უეფას გენერალურმა მდივანმა ჯანი ინფანტომ წაიყვანა ითქვა, რომ იდეა უეფას პრეზიდენტს, ფრანგ მიშელ პლატინის ეკუთვნის და ის ევროპული პირველობის 60 წლისთავს მიეძღვნება.

*„ჩვენ 53 ფედერაციასთან გვქონდა მიმოწერა პლატინის იდეაზე და მათი პასუხები იყო ძალიან დადებითი. მხოლოდ თურქეთი იყო წინააღმდეგი. უფრო მეტ დეტალს კი 27-28 მარტს შეიტყობთ“*, - განაცხადა ინფანტომ.

თუმცა ბევრი რამ უახლოეს კვირებში გაირკვევა, მაგალითად, რამდენი ქალაქი უმასპინძლებს ევრო 2020-ს და როგორი ფორმატით ჩატარდება ის.



# მეფური თამაში სამეფო კლუბთან

### მარკოიშვილის 23 ქულა და წაქცეული რეალი



იტალიურმა „კანტუმ“ ევროლიგაზე მადრიდის „რეალი“ დაამარცხა - 76:70.

ამ მოგებაში **მანუჩარ მარკოიშვილის** წვლილზე ესპანური გაზეთი „მარკა“ მსჯელობს: **რუდი ფერნანდესის** არყოფნაში „რეალის“ დაცვა მარკოიშვილმა გაარღვიაო. მატჩის კომენტატორმა კი, პირველი ტაიმის შემდეგ მანუს სტატისტიკას რომ გადახედა თქვა - ეს ქართველი მოედანზე ყველგანაა და ყველაფერს აკეთებს. აი, ასეთი უნდა იყოს გუნდის ლიდერიო.

იტალიურ გაზეთ „დეილიბასკეტში“ ვკითხულობთ: „კანტუელთა და მადრიდელთა დაპირისპირებაში NBA-ს დონის კალათბურთი მხოლოდ მარკოიშვილმა და ქეროლმა ითამაშეს. ქართველმა უკანახაზელმა 34 წუთში 23 ქულა, 6 მოხსნა, 3 პასი, 2 ჩაჭრა და 2 დაფარება მიითვალა. „რეალის“ ამერიკელმა ლეგიონერმა ჯეისი ქეროლმა კი 24 ქულა მიითვალა. მათი თამაშის ყურება დიდი სიამოვნება იყო.“

■ ■ ■

პოლონეთში **გიორგი შერმადინის** „მაქაბიმ“ „პროკომი“ 89:73 დაამარცხა. ქართველი თავდამსხმელი მწვრთნელმა 4:30 წუთი ათამაშა. გიორგიმ თითო ქულა-მოხსნა-პასი მიითვალა, საერთოდაც თამაშში კარგად ჩაერთო და გაუგებარია პირველი მეოთხედის შემდეგ მწვრთნელი მას რატომ აღარ ენდო.

**ვაჟა სიმონიშვილი**



# ზესტაფონის მუქი ფონი

### გაურკვევლობა ჩემპიონის რიგებში?

3

# მესი გადარჩა რეკორდი?

9



ბენფიკასთან მიღებული ტრავმა არც ისე საშიში აღმოჩნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუტსალი

# უეფას ოთხთა ტურნირი თბილისში გაიმართება!

## ზვიად სიჭინავა: ეს ამბავი უზომოდ მახარებს

გუშინ ლოზანაში, უეფას აღმასკომის გადაწყვეტილებით, 2013 წლის ფუტსალის ევროპის თასის ოთხთა ფინალის მასპინძელ ქალაქად თბილისი დასახელდა!!! გვერდზე გადავდოთ პირადი დამოკიდებულება, სიმპათია-ანტიპათია და ვაღიაროთ – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უეფას "ბარაქიანი ლუკმა" გადმოაგდებინა.

25, 26 და 28 აპრილს თბილისის სპორტის სასახლეში დიდი ზეიმი გველის - უეფას ფუტსალის თასს ერთმანეთს შეეცილებიან ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კლუბი "იბერია სტარი"' (საქართველო), "ბარსელონა" (ესპანეთი), „დინამო" (რუსეთი) და „კაირათი" (ყაზახეთი). 25-26 აპრილს ნახევარფინალები გაიმართება, 27-28 აპრილს შეხვედრა მესამე ადგილისთვის და ფინალი. ნახევარფინალების წილისყრა მარტში გაიმართება და ამ ღონისძიებასაც თბილისი უმასპინძლებს.

ამ დონის ტურნირი საქართველოში არასოდეს ჩატარებულა. მაგრამ "იბერია სტარის" ოთხთა ფინალში მოხვედრის შემდეგ საკითხი აქტუალური გახდა და თბილისის კანდიდატურამ კონკურენტების, ბარსელონას, მოსკოვისა და ალმათის ვარიანტები გადაწონა.

გუშინ ამ ფაქტთან დაკავშირებით საგანგებოდ გამართული პრესკონფერენცია საზეიმო სალამოს უფრო ამიტომაც ჰგავდა: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა**, გენერალური მდივანი **რევაზ არველაძე**, ფუტსალის კლუბის "იბერია სტარის" პრეზიდენტი **ვახო წერეთელი** და ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტი **ლევან ცქიტიშვილი** უზომოდ გახარებულები იყვნენ.

**ზვიად სიჭინავა:** "ოთხთა ფინალის მასპინძლობის პრეტენზია მოსკოვის "დინამოსაც" ჰქონდა, "ბარსელონასაც" და "კაირატსაც", მაგრამ უეფამ გადაწყვეტილება ჩვენს სასარგებლოდ მიიღო – როგორც ვიცით, დიდი უპირატესობით გავიმარჯვეთ. უნდა ვიზეიმოთ უეფას გადაწყვეტილება, რადგან ასეთ დროს მსაჯიც შენია, გულშემატკივარიც, ფედერაციაც, სახელმწიფოც და ყველა.



ზვიად სიჭინავა

... უეფას მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სერიოზული სამუშაოების ჩატარება მოგვიწევს. უპირველესი მოთხოვნა სპორტის სასახლეში უკეთესი პარკეტის დაგება და უსაფრთხოების ნორმების უზრუნველყოფა იყო, თბილისში კი უნდა ყოფილიყო საკმარისი რაოდენობის სასტუმრო, მათ შორის, დაბალი კლასის და კვების ობიექტები... მოგვიწევს საფარის შეცვლა და ათასი სხვა დეტალის, რომ ღირსეულად წარმოვაჩინოთ ჩვენი ქვეყანა. მაგრამ ახლა ყველაფერი ჩვენს ხელთ არის და უნდა მოვინდომოთ, უეფას მადლობა რომ დავიმსახუროთ. ტურნირს "ევროსპორტი" გადაცემს, უეფადან და თავად კლუბებიდან უამრავ სტუმარსა და გულშემატკივარს ველით. მოკლედ, თბილისში დიდი ზეიმია მოსალოდნელი, რადგან ეს არის ფუტსალში ყველაზე მნიშვნელოვანი საკლუბო ტურნირი. იმედია, ამ დიდ წარმატებას უფრო დიდ სიხარულს "იბერია" დაამატებს... ეს არის რეპეტიცია 2015 წლის სუპერთასისთვის. თავად სუპერთასი კი შესაძლოა, იყო გამოცდა ევრო-2020-ის, ან ევრო-2024 წლამდე და დააკვირდებიან, ვართ თუ არა მზად მაღალი რანგის ტურნირების სამასპინძლოდ. საერთოდ, ბოლო წლებში უეფას პოლიტიკა პატარა ქვეყნების წახალისებას გულისხმობს და წარმოუდგენელი არაფერია. დარწმუნებული ვარ, ასეთი ტურნირების მასპინძლობას თავს გავართმევთ. საამისოდ მხოლოდ გამოცდილება გვაკლია".

რევაზ არველაძე: "გულშემატკივარს ასეთი ტურნირის თბილისში ხილვა სურდა და მიხარია, უეფამ ეს უფლება რომ დაგვითმო. საერთოდ, ამ ორგანიზაციაში წარდგენილი 5 პროექტიდან 3 დაგვიმტკიცეს: ასაკობრივი ნაკრებების ორი შესარჩევი ტურნირი და ფუტსალის ოთხთა ფინალი. ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის ეს ძალიან საამაყო ფაქტია".

ვახო წერეთელი: "ეს ისეთი მნიშვნელოვანი ტურნირია, რომ "იბერია სტარი" აუცილებლად გაძლიერდება. ჯერ გვარებს ვერ დაგისახელებთ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ იანვრიდან ძლიერ ლეგიონერებს დავიმატებთ. ცხადია, შეკრებასაც გავივლით, ტურნირებში მონაწილეობასაც ვგეგმავთ და იმედია, ოთხთა ფინალშიც ღირსეულად ვითამაშებთ".

**მერაბ მამულაშვილი**

U17

**ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდის წილისყრის შესახებ კომენტარი საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ გიორგი დევდარიანს ვთხოვეთ, რომელიც წილისყრის შედეგებით უკმაყოფილო არ დარჩენილა.**



გიორგი დევდარიანი

### გიორგი დევდარიანი

# ელიტრაუნდისთვის სათანადოდ მოვემზადებით

"შეიძლებოდა, ბევრად უფრო რთული ჯგუფი შეგვხვედროდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იოლი გასეირნება გველის. ელიტრაუნდში შემთხვევით ვერავინ ხვდება, ასე რომ, წინ დიდი ბრძოლები გველის", - გვითხრა დევდარიანმა.

დევდარიანი მოხარულია იმით, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გუნდის სრულყოფილად მომზადების მიზნით ყველა საჭირო ნაბიჯის გადადგმაზე მზადყოფნა გამოთქვა. რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი, სად გაემგზავრება საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები წინასაელიტრაუნდო შეკრებაზე და ვისთან გამართავს სპარინგ-მატჩებს. დღეს კი იმის თქმა შეიძლება, რომ ჩვენი გუნდი საკმაოდ ძლიერი მეტოქეების წინააღმდეგ მოსინჯავს ძალებს.

რაც შეეხება მეტოქეებს, დევდარიანი რომელიმე მათგანის გამოყოფისგან თავს იკავებს: "ჯგუფის ოთხივე ბინადარის მიზანი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრაა, ასე რომ, ფავორიტის დასახელება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. ჩვენის მხრივ, ელიტრაუნდისთვის სათანადოდ მოვემზადებით და ყველაფერს გავაკეთებთ საამისოდ, რომ ჯგუფში საქართველოს ნაკრებმა გაიმარჯვოს და ჩვენმა 17-წლამდელებმა ზედიზედ მეორედ შეძლონ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა".

მეტოქეებზე საქართველოს ნაკრების თავკაცი ჯერ ინფორმაციას არ ფლობს, თუმცა უახლოეს დღეებში სამივე მოწინააღმდეგის შესახებ ვიდეომასალას და მათთან სათამაშო სტრატეგიას ამის შემდეგ შეიმუშავებს.

"ირლანდია ბრიტანული სტილის გუნდია, ბრიტანელებთან კი თამაში წარმატებით გამოგვდის ხოლმე. პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე შოტლანდიას ვძლიეთ, წინა თაობის 17-წლამდელებმა კი ინგლისის ნაკრები დაამარცხეს".

ჩვენი ჯგუფის მატჩებს ავსტრია უმასპინძლებს, რაც დევდარიანის აზრით, ჩვენთვის ხელსაყრელია: "რაკი ელიტრაუნდის თბილისში ჩატარების უფლება ვერ მივიღეთ, ავსტრიაში თამაშით უკმაყოფილო არ ვარ, რადგან ნაკლებად ვისურვებდი სერბების წინააღმდეგ მათივე მოედანზე ბრძოლას".

**ლევან ჯანეზაშვილი**

ვიზიტის მოლოდინი

# როდის შეხვდება პლატინი ივანიშვილს?



მიშელ პლატინი

შვეიცარიის ქალაქ ნიონში 17 და 19-წლამდელთა ნაკრებების ელიტრაუნდებისა და ევროშესარჩევის კენჭისყრის დასრულების შემდეგ სფფ-ის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** უეფას პრეზიდენტ **მიშელ პლატინის** პირისპირ შეხვდა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, პლატინი უახლოეს პერიოდში საქართველოში ჩამოსვლასა და საქართველოს პრემიერ-მინისტრ**ბიძინა ივანიშვილთან** შეხვედრას გეგმავს.

თუმცა, უეფას პრეზიდენტის თბილისში ვიზიტის თარიღი დადგენილი არ არის.

**მერაბ მამულაშვილი**



ბიძინა ივანიშვილი

U19. ევრო 2014

**2014 წლის ევროპის ჩემპიონატის ელიტ რაუნდის წილისყრამ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები უმძიმეს ჯგუფში მოახვედრა: კახა კაჭარავას გაწვრთნილები მე-6 ჯგუფში ინგლისს, შოტლანდიასა და ბელგიას დაუპირისპირდებიან, ტურნირს ბელგია 2013 წლის გაზაფხულზე უმასპინძლებს - თამაშები 24, 26 და 29 მაისს ჩატარდება.**

**კახა კაჭარავა 19-წლამდელთა მომზადების გეგმებზე გველაპარაკა და მეტოქეები შეაფასა.**

### კახა კაჭარავა:

# ბევრი თამაში გვექნება

– კენჭისყრის შემდეგ ზვიად სიჭინავა და რეზო არველაძე დამიკავშირდნენ და ვთქვით, რომ 2013 წლის დასაწყისსა და გაზაფხულზე პორტუგალიისა და კვიპროსის საერთაშორისო ტურნირებზე გავემგზავრებით, მაისის ბოლოს კი სერბეთში მოვემზადებით და 19-20 მაისს ამ ქვეყნის ნაკრებთან ორ ამხანაგურ შეხვედრას ჩავატარებთ. ბელგიაში სწორედ ბალკანეთიდან ჩავალთ.

ანუ, დაახლოებით 8 ამხანაგურ მატჩს ჩავატარებთ. ეს ძალიან მახარებს, რადგან ჩვენი ჩემპიონატი მაინც "მატყუარა" ტურნირია. გგონია, რომ ფეხბურთელები იზრდებიან, მაგრამ საერთაშორისო სარბიელზე რომ გავდივართ, სისწრაფე და კიდევ ბევრი რამ არ გვყოფნის, ან მიუჩვევლები არიან. მაგალითად, ხორვატიაში შესარჩევი ციკლის პირველ ტურში მასპინძლებთან გაგვიჭირდა, მაგრამ ბიჭებმა ტემპს ალლო აუღეს და მერე და მერე თამაში გავაუმჯობესეთ. იმის თქმა მსურს, რომ ოფიციალურ თამაშებამდე უცხო გარემოსთან ადაპტაცია და მაღალი დონის მეტოქეებთან მაღალ ტემპში ხშირი სპარინგი აუცილებელია. ეს გუნდსაც ზრდის და თითოეულ მოთამაშესაც.

**– ინგლისი, შოტლანდია, ბელგია,– ძალიან ძლიერ ჯგუფში მოვხვდით და შეიძლება ითქვას, არ გაგვიმართლა.**

- რას ვიზამთ, ელიტრაუნდში სუსტი გუნდები ვერ ხვდებიან და ასეთ მეტოქეებს არც ველოდით. ისე, საგანგაშო მდგომარეობაც არ არის: 17-წლამდელთა ნაკრებს გაცილებით ძლიერი მეტოქეები ჰყავდა, ესპანეთი, ინგლისი და უკრაინა, მაგრამ ვასილ მაისურაძის გაწვრთნილებმა ევროპის ჩემპიონატზე გასვლა მოახერხეს. პირიქით, ძლიერი მეტოქეები მახარებს, რადგან ჩვენი მოთამაშეები გამოცდილებას ასეთი დონის საერთაშორისო შეხვედრებში იღებენ, რაც მათ წინსვლასა და პროგრესში დაეხმარებათ. ასაკობრივი ნაკრებების მთავარი ამოცანა კი სწორედ ესაა.

**– ალბათ, მეტოქეებზე ინფორმაციას ჯერ არ ფლობთ.**

- ინგლისის მატჩების ვიდეოჩანაწერებს ლიტველები მოგვაწვდიან, სადაც შესარჩევ ეტაპს უმასპინძლეს. ინგლისის ამ თაობას კობა ჟორჟიკაშვილის 17-წლამდელები ევროპის შესარჩევზე თბილისში დაუპირისპირდნენ. ბრიტანელებს "ლივერპულისა" და "ჩელსის" მოთამაშეები ჰყავთ. მაგალითად, ლივერპულელმა რაჰიმ სტერლინგმა პრემიერლიგაში წლეულს 14 შეხვედრა ჩაატარა - მან თბილისში შესარჩევ ტურნირზეც ითამაშა. ახლა ვნახავ, ორი წლის შემდეგ ვინ რა პროგრესი განიცადა. დანარჩენ მეტოქეებზეც ინფორმაციას ნელ-ნელა შევაგროვებთ.

**– კენჭისყრამდე ბრძანეთ, რომ მიწვევები გაქვთ კვიპროსის, პორტუგალიისა და ავსტრიის საერთაშორისო ოთხთა ტურნირებზე. თუ გადაწყვიტეთ, სად ითამაშებთ?**

– ასეთი ძლიერი ჯგუფიდან გასვლის შანსზე ლაპარაკი ძალიან რთულია.**

- რა თქმა უნდა, ურთულეს ჯგუფში მოვხვდით, მაგრამ უნდა შევძლოთ და ამხანაგურ შეხვედრებსა და საერთაშორისო ტურნირებზე გუნდი უკეთ შევათამაშოთ. სწორი ფეხბურთის თამაშსა და მაღალ ტემპთან შეჩვევას დრო სჭირდება, უცებ არაფერი გამოვა, მაგრამ უიმედოდ არ ვართ.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ნაკრები

# ზამთარში ყაზახეთი დაიგეგმა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** უეფას შტაბბინაში გამართული სანაკრებო ტურნირების კენჭისყრას დაესწრო და საქართველოში დაბრუნდა.

მისი თქმით, სხვადასხვა ფედერაციის ხელმძღვანელებთან გამართულ შეხვედრებზე ეროვნული ნაკრების პოტენციურ სპარინგ-პარტნიორებს არჩევდნენ.

"ყაზახებმა ზამთარში თურქეთში ამხანაგური მატჩი შემოგვთავაზეს. ჩვენთვის ეს საკმაოდ მისაღები და მოსახერხებელი ვარიანტია და ალბათ, ამ წინადადებას დავთანხმდებით" – განაცხადა სიჭინავამ.

ახალგაზრდული ნაკრების ამხანაგური მატჩების განრიგი კი მომავალი წლის დასაწყისში დადგინდება, როდესაც კენჭისყრაზე ევრო 2015 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩვენი მეტოქეები გაირკვევა.

**მერაბ მამულაშვილი**

U17, U19

# მასპინძლები ავსტრია და ბელგია იქნებიან

UEFA UNDER17. CHAMPIONSHIP — UEFA UNDER19. CHAMPIONSHIP

უეფაში ჩასული ქართული დელეგაცია ბევრს ეცადა, რომ ერთ-ერთი ელიტრაუნდის თბილისში ჩატარების უფლება მოეპოვებინა, მაგრამ ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ სხვა არჩევანი გააკეთა - საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები გაზაფხულზე ავსტრიაში ითამაშებს, 19-წლამდელთა ნაკრები კი ბელგიაში.

შეგახსენებთ, 17-წლამდელთა მეტოქეები ავსტრია, სერბეთი და ირლანდია არიან, 19-წლამდელები კი ბელგიას, შოტლანდიასა და ინგლისს დაუპირისპირდებიან.

სამაგიეროდ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მომავალი ციკლის პირველი ეტაპის მასპინძლობის უფლება მოიპოვა, თანაც, ორივე ასაკში. მომავალი წლის შემოდგომაზე ქართველი 17-წლამდელები თბილისში ჰოლანდიას, ფარერებსა და სან მარინოს უმასპინძლებენ, ხოლო 19-წლამდელები – ჰოლანდიას, მოლდოვასა და უელსს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალი

# ჯანყი ზესტაფონში?

## გუნდს ზამთარაძე და მუჯირიც დატოვებენ

საქართველოს მოქმედ ჩემპიონ "ზესტაფონს" 5 დეკემბერს ვარჯიში გაუცდა, შესაბამისად დაიწყო საუბრები კულუარებში, რომ "ზესტაფონის" ფეხბურთელები გაიფიცნენ. დასახელდა მიზეზიც – გუნდის რამდენიმე ფეხბურთელს ხელფასი გაუნახევრეს.

მითქმა-მოთქმა დაიწყო "ზესტაფონის" მწვრთნელების შესაძლო დათხოვნაზეც, ერთი სიტყვით, "ზესტაფონის" თემა ქართულმა საფეხბურთო სამყარომ ყბად იღო. გუშინ "ზესტაფონის" პრესსამსახურის ხელმძღვანელს, **სერგო ფუტკარაძეს** დავუკავშირდით, რომელმაც გვითხრა: "პირველი გუნდის რამდენიმე ფეხბურთელი დაჯარიმებულია, რაც შეეხება არჩატარებულ ვარჯიშს, კლუბში ახლა მიდის იმის დადგენა, თუ რატომ მოხდა ასეთი ფაქტი და როცა ყველაფერი გაირკვევა, მერე დასკვნებს მერე გამოიტანენ".

ფუტკარაძეს ისიც ვკითხეთ, რის საფუძველზე დააჯარიმეს "ზესტაფონის" პირველი გუნდის ფეხბურთელები. "შედეგის გარდა აქ საქმე ეხება გუნდის შიდაგანაწესის დარღვევას. დაჯარიმება ბუნებრივია შეეხო ფეხბურთელების ხელფასს" – განგვიმარტა მან.


დარჩებიან თუ არა დავით მუჯირი (მარცხნივ) და ზაზა ზამთარაძე ზესტაფონის დღეს უნდა გაირკვეს
გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

"ზესტაფონის" პრესსამსახური მართლაც ნორმალურად მუშაობს, ოღონდაც კლუბის ოფიციალურ ინფორმაციას ყოველთვის აქვს საკუთარი ჩარჩოები – ასე ხდება ყველგან და ცხადია, ვერც "ზესტაფონი" იქნება გამონაკლისი.

ეროვნული ჩემპიონატის წინა ტურში "ზესტაფონმა" შინ "ვიტ ჯორჯიასთან" 1:2 წააგო. ამ დროისთვის ფეროელები ცხრილში მე-6 ადგილზე არიან და ჯერაც სათუოა, შეინარჩუნებენ თუ არა ადგილს ზედა ექვსეულში.

"ზესტაფონის" პრობლემები ალბათ სხვა მოწინავე ქართულ კლუბებსაც არ უხარიათ, რადგან "ზესტაფონი" შემდგარი კლუბია და რაც უფრო მეტი იქნება ასეთი საქართველოში, მით უფრო მაღალი იქნება კონკურენციაც.

კონფიდენციალური წყაროდან კი ისიც შევიტყვეთ, რომ "ზესტაფონის" ფეხბურთელები გუშინაც არ აპირებდნენ ვარჯიშზე გასვლას, მაგრამ ულტიმატუმი წაუყენესო – ან ვარჯიში, ან გუნდიდან წასვლა. ყოველივე ეს კულუარული ინფორმაციაა და მის სისწორეზე თავს ვერ დავდებთ, თუმცა ქართული საფეხბურთო მილეთი ის სამყაროა, კულუარები ხშირად ჭეშმარიტებას რომ გვამცნობენ.

სათუო შეიქნა ისიც, 8 დეკემბერს ეროვნული ჩემპიონატის მორიგ ტურში "ზესტაფონი" საჩხერის "ჩიხურას" პირველი გუნდით ესტუმრება, დუბლებით თუ შერეული შემადგენლობით.

ასეა თუ ისე, რადგან გუნდი გუშინ ვარჯიშზე გავიდა, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ დაძაბულობამ ამ მომენტისთვის იკლო. დანარჩენი კი უახლოეს დღეებში გამოჩნდება.

დღეს მკაფიო უნდა გახდეს, დარჩებიან თუ არა "ზესტაფონის" მწვრთნელებად **დავით მუჯირი** და **ზაზა ზამთარაძე**, თუმცა, რადგან ეს საკითხი აქტუალური გახდა, დიდი შანსია, რომ "ზესტაფონის" პრეზიდენტს **ილია კოკაიას** ახალი სამწვრთნელო შტაბის ჩამოყალიბება მოუწიოს საკუთარი გუნდისთვის.

**დავით თავართქილაძე**

ზუგდიდი

# რომ არა მსაჯების შეცდომები, შვიდი ქულით მეტი გვექნებოდა

ნამყოფი გახლავართ განმუხურში "ზუგდიდის" ერთ საშინაო თამაშზე და უნდა გითხრათ, რომ იქიდან ქულების წამოღება ნებისმიერი გუნდისთვის დიდი საქმეა. "ზუგდიდი" მიმდინარე სეზონში მკვეთრად თავისებური გუნდია, ყველაფერი საკუთარი აქვს, სახე, გულშემატკივარი, ფეხბურთელები და რა თქმა უნდა, კონსულტანტიც – **ოთარ გაბელია**.


ოთარ გაბელია

"ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურადაა ჩვენთან, ქვეყანაში მომხდარ ცვლილებებს უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია "ზუგდიდზე", რომელსაც კვლავ ადგილობრივი მუნიციპალიტეტი აფინანსებს. სხვა საქმეა იმის დადგენა, თუ რამდენ ხანს იქნება ასე. ამ დროისთვის არის პატარა დავალიანება და გვპირდებიან, 15 დეკემბრამდე დარიგდება ხელფასებიო" – გვითხრა გაბელიამ.

"ზუგდიდს" ზუგდიდში მინდორი არ აქვს, რა სტადიონიც ჰქონდა, ის დაანგრიეს, გუნდიც მშობლიურ ქალაქში "ბაიას" ბაზის ხელოვნურსაფრიან მოედანზე ვარჯიშობს, ან კახათში და რუხში უწევს წასვლა მინდორზე ოფლის მოსადენად.

მიმდინარე სეზონის პირველი ეტაპის შემდეგ "ზუგდიდის" რამდენიმე ფეხბურთელს კონტრაქტი უმთავრდება კლუბთან, ხელშეკრულების გაგრძელებას კი სტაბილური პირობები სჭირდება. გაბელიას თქმით, ჯერ არც ერთ ფეხბურთელს არ გამოუთქვამს გუნდიდან წასვლის სურვილი.

"ზუგდიდი" ჩემპიონატში მე-5 ადგილზეა და ჩინებული შანსი აქვს, რომ სეზონის მეორე ეტაპი ზედა ექვსეულში დაიწყოს. ბოლო საგარეო შეხვედრები კი "ზუგდიდმა" წარმატებით ვერ ითამაშა, საჩხერის "ჩიხურასთან" 0:2 დამარცხდა, გორის "დილასთან" - 0:3.

"ყველა თამაშს ვერ მოვიგებთ. "ჩიხურასთან" მსაჯების მხრიდან იყო შეცდომები, წარუმატებლობას მსაჯებს არ ვაბრალებ, მაგრამ მათი შეცდომები უმნიშვნელო არ ყოფილა. ჩვენს საზიანოდ იყო ისეთი შეცდომებიც, საკამათო რომ ვერ იქნება. რომ არა ასეთი შეცდომები, ახლა შვიდი ქულით მეტი ექნებოდა "ზუგდიდს". საერთო ჯამში, "ზუგდიდის" შედეგები დამაკმაყოფილებლად უნდა შეფასდეს" – ასე ფიქრობს გაბელია.

"ზუგდიდის" კონსულტანტს იმაზეც ჩამოვუგდეთ სიტყვა, რომ განმუხურში მეტოქე გუნდს განსაკუთრებულად უჭირს თამაში.

"რომელ გუნდსაც კი განმუხურში მოვუგეთ, ყველას თამაშით ვაჯობეთ. როცა ჩვენ წავაგეთ ზესტაფონსა და ქუთაისში, არანაირი პრეტენზიები არ გვქონია და არც სხვას უნდა ჰქონდეს რამე საპრეტენზიო ჩვენთან. თუ გულშემატკივრების მხრიდან უცენზურო შეძახილებს გულისხმობენ, ასეთი რამ ყველა ქვეყნის სტადიონებზე ხდება. არ არის მართალი, თითქოს ჩვენ ზეწოლას ვახორციელებთ მსაჯებზე, მსგავსი არაფერი ყოფილა და თუ მსაჯს შეცდომაზე მივუთითე, ეს ზეწოლა არ არის" – გვითხრა გაბელიამ და იქვე დაამატა: "მოგვწონს განმუხურში თამაში? სხვა სტადიონი ჩვენს განკარგულებაში არ არის და შესაბამისად, ამ საკითხზე არაფერი მეთქმის. ცუდია, რომ ზუგდიდს არ აქვს სტადიონი, ამას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს, თუ სხვაგან კეთდება სტადიონები, ზუგდიდშიც იგივე რატომ არ უნდა მოხდეს?!"

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა

# სიონი დინამოს რუსთავში უმასპინძლებს

ორიოდე დღის წინ ბოლნისში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპეციალური კომისია იმყოფებოდა, რომელმაც ადგილობრივი სტადიონის მოედნის საფარი შეამოწმა და დაასკვნა, რომ გაზონი დღესდღეობით უმაღლესი ლიგის მოთხოვნებს ვერ პასუხობს. ხვალ ადგილობრივი "სიონი" თბილისის "დინამოს" მასპინძლობს, მაგრამ უმაღლესი ლიგის ლიდერის საკუთარ ქალაქში მიღებას ვერ შეძლებს.



სფფ-ის საშეჯიბრო კომიტეტმა კლუბებთან შეთანხმებით გადაწყვიტა, რომ მატჩი ხვალ რუსთავში, გაიმართება და 14 საათზე დაიწყება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

პირველი ლიგა

# გაგრას მიზანი კვლავ უმაღლესში დაბრუნებაა


ზვიად ჯელაძე

პირველ ლიგაში პირველი წრე დასრულდა და გუნდები უკვე სეზონის მეორე ნახევრისთვის იჭერენ თადარიგს. როგორც "გაგრას" ოფიციალური ვებგვერდი გვატყობინებს, კლუბში კრება გაიმართა, სადაც გუნდის მიერ ნაჩვენები ბოლოდროინდელი შედეგები არადამაკმაყოფილებლად შეფასდა. A ჯგუფში "გაგრა" 37 ქულით მესამე ადგილზეა და ლიდერ "გურიას" 7 ქულით ჩამორჩება.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ზვიად ჯელაძემ** იმედი გამოთქვა, რომ "გაგრა" ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპზე ამ ჩამორჩენის აღმოფხვრას შეძლებს და უმაღლეს ლიგაში დაბრუნდება.

"გაგრა" სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას 10 იანვრიდან შეუდგება, 20 იანვრიდან საკონტროლო მატჩების ჩატარებას დაიწყებს, შემდეგ კი შეკრებაზეც გაემგზავრება.

რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებიც გუნდს დატოვებენ, მალე კი "გაგრას" ახალწვეულთა ვინაობასაც შევიტყობთ. კლუბის ხელმძღვანელობას შემადგენლობის გაძლიერება სურს, გუნდის ბირთვი კი უცვლელი დარჩება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ქართული ფეხბურთი

ლოკომოტივი

## სანაიას, სავარაუდოდ, ესპანელი შეცვლის


გელა სანაია

თბილისის "ლოკომოტივიდან" რამდენიმე დღის წინ გათავისუფლებული **გიორგი სანაიას** ნაცვლად გუნდს, სავარაუდოდ, ესპანელი სპეციალისტი ჩაიბარებს. სანაიას "ლოკომოტივიდან" წასვლის მიზეზი კი, ჩვენი ინფორმაციით, ცხინვალის "სპარტაკთან" განცდილი მარცხი (1:3) გახდა.

დღეისთვის "ლოკომოტივი" პირველი ლიგის B ჯგუფში 27 ქულით მეოთხე ადგილზეა, ლიდერ "სპარტაკს" კი 43 ქულა აქვს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერი

## შინდაგორიძე და მირცხულავა დინამოში ვარჯიშობენ

თბილისის "დინამო 2"-ში სასელექციო მუშაობა უკვე დაიწყეს. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ გუნდში ორი პერსპექტიული მოთამაშე, **ბაქარ მირცხულავა** და **ლაშა შინდაგორიძე** ვარჯიშობს.

2011 წლის აგვისტოს მიწურულს ლისაბონის „ბენფიკას" დუბლშემადგენლობის ვიცე-კაპიტანმა ბაქარ მირცხულავამ ქუთაისის „ტორპედოსთან" კონტრაქტი ოფციონის სისტემით (2+3) გააფორმა. მაგრამ ქუთაისური საფეხბურთო სკოლის აღზრდილმა, 20 წლის ცენტრალურმა მცველმა კლუბი წლეულს ზაფხულს ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე დატოვა და მას შემდეგ უგუნდოდ არის.

19 წლის შინდაგორიძემ "ორჰუსთან" კონტრაქტი 2011 წლის დასაწყისში გააფორმა. შინდაგორიძე დანიურ კლუბში თანატოლ **დავით სხირტლაძესთან** და **გიორგი დიასამიძესთან** ერთად მივიდა, მაგრამ ტრავმის გამო დანიური კლუბის ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და 2012 წლის დასაწყისში კლუბი დატოვა. ლაშა წლეულს ზაფხულში "ზესტაფონში" ჩაირიცხა. თუმცა, ნახევარი სეზონიც არ იყო გასული, იქიდანაც წამოვიდა და ახლა "დინამო-2"-ში ვარჯიშობს. ეს ნიჭიერი თავდამსხმელი თავის დროზე **გიორგი დევდარიანის** გაწვრთნილი საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრების წევრი და "ნორჩი დინამოსა" და "სასკოს" გაზრდილი გახლავთ.

თუმცა, "დინამოსთან" მათ კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებიათ და დარჩებიან თუ არა, უახლოეს მომავალში გადაწყდება.

**მერაბ მამულაშვილი**


ბაქარ მირცხულავა


ლაშა შინდაგორიძე

ინტერვიუ

## ლევან კორლალიძე: საქართველოში დაბრუნება მსურდა

**ლევან კორლალიძე კიშინიოვის "ზიმბრუდან" ნოემბრის დასაწყისში წამოვიდა და რუსთავის "მეტალურგში" ჩაირიცხა. 31 წლის ნახევარმცველმა 7 ნოემბერს მოლდოვურ კლუბთან კონტრაქტი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გაწყვიტა - გამოცდილმა ფეხბურთელმა "მეტალურგთან" კონტრაქტი ერთი წლით გააფორმა.**

**ლევან კორლალიძეს ინტერვიუ ჩამოვართვით.**

**– მოლდოვიდან რატომ წამოხვედი, კონტრაქტს აღარ გიფორმებდნენ თუ ეს შენი სურვილი იყო?**

- ჩემი სურვილი იყო, რადგან კონტრაქტი ისედაც 1 თვეში მიმთავრდებოდა, პირველი ეტაპის დასრულებამდე 3 მატჩი იყო დარჩენილი და ტრავმის გამო, ვერც ვთამაშობდი. ასეთ პირობებში დარჩენა აღარ ღირდა.

**- მოლდოვაში ხომ ცუდი პირობები არ გქონდა?**

- არ მქონდა, მაგრამ ახლა მდგომარეობა შეიცვალა: "ზიმბრუ" პრეზიდენტმა ასლან შიშხანოვმა მიატოვა. ამავე დროს, ის კიშინიოვის მეორე კლუბის, "დაჩიას" მეპატრონეც იყო. გუნდის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად მცირდებოდა, თითქმის ყველა ლეგიონერი წავიდა და მე რაღა დამრჩენოდა?

მოკლედ, წამოსვლა გადაწყვეტილი მქონდა. ამ დროს "მეტალურგის" მთავარი მწვრთნელი გიორგი ყიფიანი დამიკავშირდა და გადასვლა შემომთავაზა. ქართული კლუბის ყურადღებამ ძალიან გამახარა, სიამოვნებით დავთანხმდი და "ზიმბრუს" კონტრაქტის გაწყვეტა ვთხოვე. ისინი ჩემს თხოვნას გაგებით მოეკიდნენ, შიშხანოვმა კი წამოსვლამდე "დაჩიასა" და "ზიმბრუში" გამოსვლისთვის მადლობა გადამიხადა.

მირჩევნია საქართველოში ნაკლები ანაზღაურება მქონდეს და ოჯახში ვიყო. ადრეც ბევრჯერ მითქვამს, რომ საქართველოში მსურდა დაბრუნება. სულ ვფიქრობდი, რაღა სხვისთვის ვითამაშო, რაც ძალა და ენერგია მაქვს, ჩემს ქვეყანაში დავხარჯავ-მეთქი. "ზიმბრუში" 2011 წლის დეკემბერში რომ გადავედი, მაშინაც იმავეს ვფიქრობდი, გული არ მიმიწევდა, მაგრამ იმ დროს საქართველოში თამაში ვერ მოხერხდა. ყიფიანმა რომ დამირეკა, ძალიან გამიხარდა. "მეტალურგს" კი ნდობისთვის მადლობა მინდა გადავუხადო. ორი ქვეყნის, ლატვიისა და მოლდოვის ჩემპიონი ვარ და იქნებ, ეს ტიტული საქართველოში გავასამო.


ლევან კორლალიძე

**- მაგრამ "მეტალურგს" სულ სხვა ამოცანა აქვს გადასაწყვეტი - ჯერ ზედა ექვსეულში უნდა მოხვდეთ.**

- იმედია, ასეც იქნება და მერე ჩემპიონობისთვისაც ვიბრძოლებთ.

**– რატომ "მეტალურგი" და არა ვთქვათ, იგივე "ჩიხურა", სადაც ასევე გიწვევდნენ - წლეულს ხომ საჩხერელები უკეთ თამაშობენ.**

- "ზესტაფონიც" შემეხმიანა, მოლაპარაკება იყო, მაგრამ რუსთავი თბილისთან ახლოს არის. ხომ გითხარით, სახლიდან შორს ყოფნა არ მინდოდა - 1999 წლიდან უცხოეთში ვთამაშობ, სახლი და ოჯახი სულ მენატრება. ასე ცხოვრება ძნელია. კიდევ ერთი ფაქტორი, რამაც ამ არჩევანზე გავლენა მოახდინა - გიორგი ყიფიანს მინდა გვერდში დავუდგე.

**– საქართველოსა და მოლდოვის ჩემპიონატებში რა განსხვავებას ხედავ?**

- შედარება გამიძნელდება. ერთი მხრივ, ბოლო 2 წელია, რაც მოლდოვის ჩემპიონი "შერიფი" ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გადის და კიევის "დინამოს" და სხვა ცნობილ კლუბებს უგებს. საქართველოში ასეთი შედეგი არც ერთ კლუბს არ ჰქონია. მეორე მხრივ, იმავე ევროპის ლიგაზე შარშან ორმა ქართულმა კლუბმა დაამარცხა მოლდოვის გუნდები. იყო მიზეზი, "დაჩიამ" "ზესტაფონს" რომ ვერ აჯობა, მაგრამ ეს ფაქტს ვერ დააკნინებს. ყველაზე დიდი განსხვავება მაინც ისაა, რომ მოლდოვური კლუბები უფრო სწრაფად თამაშობენ. ეს თვალში ძალიან ცუდად მომხვდა.

**- "მეტალურგში" როდის ითამაშებ?**

- ტრავმა მოვიშუშე, ჯანმრთელად ვარ და გუნდთან ერთად ვვარჯიშობ, მაგრამ თამაშს მხოლოდ მომავალი წლიდან მოვახერხებ, რადგან სეზონი სხვა გუნდში დავიწყე და ზამთრამდე განაცხადში ვერ შეგიყვანთო. არადა, თამაში ძალიან მინდოდა.

**მერაბ მამულაშვილი**

გულშემატკივრები

## გლადიატორები: ფედერაციის ჯარიმები ვერ შეგვაშინებს

ბოლო დროს, თბილისის "დინამოს" გულშემატკივართა კლუბი "გლადიატორები" საკმაოდ გაძლიერდა. თბილისელთა ფანების ხმა უფრო და უფრო ომახიანად ისმის "დინამო-არენაზეც" და გუნდის გასვლით შეხვედრებზეც. სასიამოვნო იყო სტადიონზე მათ მიერ ორგანიზებული "ფაერ-შოუს" ხილვა, რაც მიძინებულ ეროვნულ ჩემპიონატს აცოცხლებს და ალამაზებს. მეტიც, გვრჩება შთაბეჭდილება, რომ არა ფანები, სტადიონი მიტოვებულ სასაფლაოს დაემსგავსებოდა.

მაგრამ, ამ შოუს გამო, "დინამოს" ფანებს ჯიბეები დაუცარიელდათ.

*"გვიხარია, რომ ამ ქვეყანაში არის ხალხი, ვისაც არ უნდა, საქართველოს ჩემპიონატი პანაშვიდს ჰგავდეს. მადლობა დავით მინაშვილს და ბეჭდური მედიის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ყოველთვის ხაზს უსვამენ, რომ "გლადიატორები" ფაერ-შოუთი არაფერ ცუდს არ ჩავდივართ. სულ ვცდილობთ, თამაშები გავალამაზოთ და სიახლეები დავნერგოთ, ხან რას ვიგონებთ და ხან რას. პიროტექნიკას თავი რომ დავანებოთ, ბუშტების, ჩეკის ქაღალდების, ლურჯ-თეთრი ფურცლების სროლა დავიწყეთ, დროშებისა და ბანერების გადმოფენაზე აღარაფერს ვამბობ. შარფების ნაწილი უკრაინაში გავაკეთეთ, ნაწილიც - რუსეთში.*

*მაგრამ გაუგებარია ფედერაციის პოზიცია: მესმის, რომ პიროტექნიკა ევროპაში აკრძალულია, მაგრამ ჯარიმების დიდი ნაწილი საერთაშორისო თამაშებზე მოდის, შიდა ჩემპიონატს ფედერაცია კურირებს და მისი პრეროგატივაა, ჯარიმას დაწერს თუ არა. ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ამაზე თვალს ხუჭავენ, რადგან მატჩებს უეფას კომისარი არ ესწრება და მონადინებული არიან, რომ ჩემპიონატები ასე მაინც გაალამაზონ. მაგალითად, მსგავს საქციელს არ სჯიან ლიტვაში, ყაზახეთში. გერმანიასა და ბევრ ევროპულ ქვეყანაში პიროტექნიკის დაშვების საკითხი განიხილება.*

*სამწუხაროდ, დღეს ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, ვარსკვლავები ჩამოვიყვანოთ. და თუ ვინმე ჩვენს ფეხბურთს ტრიბუნებიდან მაინც გააცოცხლებს, წამოწყებას ხელს თუ არ შეუწყობენ, ჩანასახშივე არ ჩაკლან. ჯერ ერთი, ამას უეფა ვერ გაიგებს და თუ ფან-მოძრაობები ფაერ-შოუთი ტრიბუნაზე ქაოსის და არეულობის შეტანას არ ცდილობენ, რა არის ამაში ცუდი? 2 წლის წინ, ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობამდე, განსაკუთრებული კონტროლი იყო უკრაინა-პოლონეთში, ახლა კი მსოფლიოს ჩემპიონატის მომავალ მასპინძელ რუსეთში. მაგრამ ამ ქვეყნებშიც იშვიათად თუ ვინმეს სჯიდნენ და მაშინაც ყველა ცენტი გაწერილი იყო. ჩვენ უკვე რამდენჯერმე დაგვაჯარიმეს, მაგრამ არსად დაწერილა, ეს ფული რას მოხმარდა. ჯარიმის ოდენობაც ქვეყნის ცხოვრების დონის ადეკვატური უნდა იყოს. ახლახან, "დილასთან" მატჩზე ამ შოუსთვის 1 500 ლარის გადახდა დაგვაკისრეს. დაახლოებით იგივე ჯარიმა დაგვიწესეს შარშან "ტორპედოსთან" შეხვედრის შემდეგაც. "გლადიატორებს" მატჩის გალამაზების მეტი არაფერი გაუკეთებიათ. ამ თამაშისთვის საგანგებოდ თურქეთში შევიძინეთ პიროტექნიკა. მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნიდან მივიღეთ გამოხმაურება, რომ "დილასთან" ულამაზესი შოუ დავდგით, სარბენ ბილიკზე კი არც ერთი ფაერი არ გადავარდნილა. თავად ფედერაციის მოღვაწეობამ მოიყვანოს ხალხი ტრიბუნაზე და მერე ებრძოლოს ფაიერ-შოუს.*

*თუ ჯარიმის დაწერა უნდათ, სიმბოლური თანხა გამოიტანონ. მაგრამ აქ სხვა რამეზეა საუბარი - ფედერაცია ასეთ პოზიციაში არ უნდა იყოს. იმ "ხლაპუშკებზეც" გვაჯარიმებენ, რაც არც ერთ ქვეყანაში აკრძალული არ არის, რადგან მაღაზიებში ოფიციალურად იყიდება. ჩვენ თვითნაკეთი ფეთქებადი ნივთიერებები არ გამოგვიყენებია. მაგრამ "დინამოს" თამაშების გასალამაზებლად მომავალშიც იმავეს ვაპირებთ, რასაც აქამდე ვაკეთებდით. ფედერაციის ჯარიმები ხელს ვერ შეგვიშლის"* – გვითხრა "გლადიატორების" ლიდერმა **როლანდ გაფრინდაშვილმა.**

**მერაბ მამულაშვილი**


გლადიატორები

ფუტსალი

## ნაკრებში ბრაზილიელების დამატებას არ აპირებენ


ლევან ცქიტიშვილი

როგორც ცნობილია, 4 დეკემბერს უეფაში გამართულ კენჭისყრაზე საქართველოს ფუტსალის ნაკრების მეტოქეები გაირკვა: ევრო-2014 წლის წინასწარ ეტაპზე (22-27 იანვარი) ჩვენი ნაკრები B ჯგუფში მალტაზე მასპინძლებსა და მოლდოვას დაუპირისპირდება.

გამარჯვებული კი 27-30 მარტს ძირითად ეტაპზე მოხვდება ჩეხეთთან, ბელარუსთან და ჰოლანდიასთან ერთად.

*"ნაკრების მეტოქეების გარკვევის შემდეგ, ჩვენი გეგმები დავალაგეთ: მალტაში მასპინძლებსა და მოლდოვას შევხვდებით და შემდეგ ეტაპზე გასვლას შევეცდებით. ამ ეტაპზე "იბერიას" ბრაზილიელების ნატურალიზაცია არ იგეგმება. ჯგუფიდან გასვლის შემთხვევაშიც ქართველებს დავეყრდნობით. ვფიქრობთ, რომ ნაკრებს გააჩნია რესურსი. 4 იანვარს მალტის საერთაშორისო ტურნირზე ვითამაშებთ, 25, 26 და 29 იანვარს კუნძულს კიდევ ერთხელ ვესტუმრებით და უკვე ოფიციალურ მატჩებში დავუპირისპირდებით"* – გვითხრა საქართველოს ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტმა **ლევან ცქიტიშვილმა.**

**მერაბ მამულაშვილი**

ჩემპიონთა ლიგა. VI ტური. ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა

# ჩემპიონის ისტორიული ფიასკო

**„ჩელსიმ“ ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში არასახარბიელო თავი დაწერა: ლონდონური კლუბი პირველი მოქმედი ჩემპიონია, რომელიც მომდევნო სეზონში ჯგუფში ჩარჩა. რას აღარ ამბობდნენ „შახტარისა“ და „იუვენტუსის“ მატჩზე – ისიც კი ითქვა, რომ რომან აბრამოვიჩი დონეცკელებს მილიონებს შესთავაზებდაო. შესაძლოა, შესთავაზა კიდეც, მაგრამ „იუვენტუსმა“ არათუ ფრე გაახერხა, დონეცკში სულაც მოიგო და რაფა ბენიტესის პირველ გამარჯვებას „ჩელსის“ თავკაცის რანგში მნიშვნელობა დაუკარგა...**

## E ჯგუფი

### ჩელსი–ნორდსიელანდი 6:1

**გოლები:** 1:0 დავიდ ლუიზი (38-პენ), 2:0 ტორესი (45), 2:1 ჯონი (46), 3:1 კეჰილი (51), 4:1 ტორესი (56), 5:1 მატა (63), 6:1 ოსკარი (71)
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ხუან მატა (ჩელსი)

პირველი გამარჯვება **რაფა ბენიტესის** ხელში, თანაც 6:1 და **ფერნანდო ტორესის** დუბლი – მიუხედავად ამ „სასწაულებისა“, „ჩელსიში“ მწუხარების ჟამია, რადგან ლონდონური კლუბი პირველია ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში, რომელმაც ჯგუფური ეტაპი მოქმედი გამარჯვებულის რანგში ვერ გადალახა. „ნორდსიელანდის“ განადგურება „არისტოკრატებს“ არად წაადგათ, რადგან „შახტარმა“ „იუვეს“ ვერ მოუგო.

ამ მატჩზე საუბრის დასრულება აქ შეგვეძლო, მაგრამ შეხვედრამ, რომელმაც ორივე გუნდი უკმაყოფილო დატოვა, კიდევ ერთი საინტერესო რეკორდი სრულყო: პირველ ტაიმში სამი პენალტი დაინიშნა (სამივე საჯარიმოში ხელით თამაშისთვის), რაც ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ასევე პირველი შემთხვევა გახლდათ. პირველი თერთმეტმეტრიანი „ნორდსიელანდის“ კაპიტანმა **სტოკჰოლმმა** გააფუჭა, მეორე – **აზარმა**, მერე კი **დავიდ ლუიზმა** ორივეს უჩვენა, როგორ უნდა პენალტის შესრულება.

ჰო, მართლა: „ჩელსის“ ქომაგები, რა თქმა უნდა, მღეროდნენ მთელი საფეხბურთო ევროპისთვის უკვე ძალიან კარგად ნაცნობ სიმღერას ტექსტით „There's Only one Di Matteo!“ - არსებობს მხოლოდ **დი მატეოო**...

**რაფაელ ბენიტესი („ჩელსის“ მწვრთნელი):** *„როცა იგებ, წესით, ბედნიერი უნდა იყო, ჩვენ კი უბედურები ვართ. ახლა ევროპალიგას ისე უნდა შევხედოთ, როგორც დიდ გამოწვევას.“*

**კასპერ ჰიულმანდი („ნორდსიელანდის“ მწვრთნელი):** *„მთელი მატჩის განმავლობაში ერთი წუთითაც არ დავაკმაყოფილეთ ჩემპიონთა ლიგის მოთხოვნები. თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ, მრცხვენია...“*

### შახტარი–იუვენტუსი 0:1

**გოლი:** 0:1 კუჩერი (56-საკ. კარში)
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** სტეფან ლიხტშტაინერი (იუვენტუსი)

„შახტარმა“ „ჩელსის“ არათუ დახმარება ვერ აღმოუჩინა, საკუთარ მოედანზე „იუვენტუსთან“ დამარცხდა კიდეც და ჯგუფში პირველი ადგილიც დაკარგა. ამ შეხვედრაში მთელი ევროპა ფრეს ვარაუდობდა, ტოტალიზატორებმა ყაიმზე კოეფიციენტები უკიდეგანოდ დააგდეს, მაგრამ შეცდა ყველა, ვინც იფიქრა, რომ დონეცკელები და ტურინელები მშვიდობიან ფრეს გააგორებდნენ. ეს, ერთი შეხედვით ორივეს ხელს აძლევდა, მაგრამ როგორც ვნახეთ, თურმე არ აწყობდა „იუვენტუსს“ - ტურინელებმა მოსაგებად იბრძოლეს და ამ გამარჯვებით ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს. პრინციპში, „შახტარმაც“ იბრძოლა – როგორც შეეძლო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **კუჩერის** ავტოგოლამდე, ტურინელთა მარჯვენა გარემარბი **სტეფან ლიხტშტაინერი** თამაშგარე მდგომარეობაში იყო...

ამრიგად, „იუვე“ 2008/09 წლების სეზონის შემდეგ პირველად გავიდა ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში.

**მირჩა ლუჩესკუ („შახტარის“ მწვრთნელი):** *„გაწონასწორებული თამაში იყო, სერიოზულ უპირატესობას ვერც ერთი გუნდი ვერ დაეუფლა. მიუხედავად მარცხისა, ჩემი ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ. მინდა ყველამ იცოდეს, რომ ჩვენ არავისი გვეშინია. მხოლოდ „ბარსელონას“ ვუფრთხით და ისიც ცოტათი.“*

**სტეფან ლიხტშტაინერი (იუვენტუსი):** *„ამ სტადიონზე, ასეთი ძლიერი გუნდის დამარცხება ადვილი არ არის. „შახტარს“ ფაქტობრივად არაფერი გავაბედვინეთ. მოგება და პირველ ადგილზე გასვლა ძალიან გვინდოდა და მიხარია, რომ მიზანს მივაღწიეთ.“*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 6 | 3 | 3 | 0 | 12-4 | 12 |
| 2. შახტარი | 6 | 3 | 1 | 2 | 12-8 | 10 |
| 3. ჩელსი | 6 | 3 | 1 | 2 | 16-10 | 10 |
| 4. ნორდსიელანდი | 6 | 0 | 1 | 5 | 4-22 | 1 |

## F ჯგუფი

### ბაიერნი–ბატე 4:1

**გოლები:** 1:0 გომესი (22), 2:0 თ. მიულერი (53), 3:0 შაჩირი (66), 4:0 ალაბა (83), 4:1 ფილიპენკო (89)
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ჯერდან შაჩირი (ბაიერნი)

„ბაიერნი“ თავის ქომაგებს 2012 წლის ევროსარბიელიდან მორიგი ლამაზი გამარჯვებით გამოეთხოვა და ისევე, როგორც სამშაბათს „შალკემ“ და „დორტმუნდმა“, ჯგუფში მიუნხენურმა გრანდმაც პირველი ადგილი დაიკავა, რაც გერმანული საკლუბო ფეხბურთისთვის ძალიან კარგი შედეგია. ერთი ეგაა, რომ **ჟერომ ბოატენგი** მოედნიდან გააძევეს და მერვედფინალს დისკვალიფიკაცირებული შეხვდება.

**იუპ ჰაინკესი („ბაიერნის“ მწვრთნელი):** *„კარგია, რომ მიუხედავად კაცნაკლულობისა, დიდი ანგარიშით მოვიგეთ, მაგრამ ჩვენთვის მთავარი პირველი ადგილის დაკავება იყო. მიხარია, რომ მერვედფინალში პირველ მატჩს სტუმრად გავმართავთ.“*

**ალექსანდრ გლები (ბატე):** *„ცუდად ვითამაშეთ და ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით. კარგი ისაა, რომ „ბატემ“ დიდი გამოცდილება მიიღო და ევროპალიგაში გადავდივართ.“*

### ლილი–ვალენსია 0:1

**გოლი:** 0:1 ჟონასი (36)
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ჟონასი (ვალენსია)

ეს არის მატჩი, რომლის შესახებაც ბევრი საუბარი საჭირო არ არის: „ლილისა“ და „ვალენსიას“ დაპირისპირება მოლოდინისამებრ დუნე და უინტერესო გამოდგა, შეხვედრის ბედი კი პენალტმა გადაწყვიტა, რომელიც **ჟონასმა** მოიპოვა და მანვე გაიტანა. მეორე ტაიმში „ვალენსიას“ თავი დიდად აღარ შეუწუხებია, „ლილმა“ კი მოუმატა, მაგრამ ანგარიში ვერაფრით გაათანაბრა. ამრიგად, „ვალენსია“, რომელსაც გუშინწინ დროებითი მწვრთნელი თავკაცობდა და რომელმაც „ბაიერნის“ დარად 13 ქულა დააგროვა, მერვედფინალში მეორე პოზიციიდან გავიდა, რადგან მიუნხენურ კლუბთან პირად დუელებში დამარცხებული გამოვიდა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 6 | 4 | 1 | 1 | 15-7 | 13 |
| 2. ვალენსია | 6 | 4 | 1 | 1 | 12-5 | 13 |
| 3. ბატე | 6 | 2 | 0 | 4 | 9-15 | 6 |
| 4. ლილი | 6 | 1 | 0 | 5 | 4-13 | 3 |

## G ჯგუფი

### ბარსელონა–ბენფიკა 0:0

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ხოსე მანუელ პინტო (ბარსელონა)

„ბარსელონას“ პირველი ადგილი გარანტირებული ჰქონდა, რის გამოც **ტიტო ვილანოვამ** მოედანზე ფაქტობრივად მეორე შემადგენლობა გაიყვანა. „ბენფიკასთვის“ კი სასიცოცხლო მნიშვნელობის თამაში გახლდათ და ამიტომაც დაიწყეს ლისაბონელებმა ასე ომახიანად. „ბენფიკამ“ არაერთი საგოლე მომენტი შექმნა, რომელთაგან საუკეთესო **ნოლიტომ** გაანიავა – ეს უკანასკნელი „ბარსას“ კიპერ პინტოსთან პირისპირ ორ თანაგუნდელთან ერთად გავიდა და ნაცვლად ერთადერთი ლოგიკური გადაწყვეტილებისა, თვითონვე დაარტყა და ააცილა.

P.შ. **ლეო მესის** ტრავმის შესახებ სტატიას ცალკე გაეცნობით.

**ტიაგო ალკანტარა (ბარსელონა):** *„სამწუხაროა, რომ ვერ მოვიგეთ, მაგრამ ახლა ყველანი მხოლოდ ლეო მესის გამო ვნერვიულობთ. იმედია, მისი ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდება.“*

**ნოლიტო (ბენფიკა):** *„ბრწყინვალე მატჩი ჩავატარეთ და ბევრი მომენტი შევქმენით, მაგრამ „ბარსელონას“ კარი ვერაფრით დავლაშქრეთ - „ნოუ კამპზე“ მოგება ურთულესია.*

### სელტიკი–სპარტაკი 2:1

**გოლები:** 1:0 ჰუპერი (21), 1:1 არი (39), 2:1 კომონსი (81-პენ)
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** სამარასი (სელტიკი)

გლაზგოელებს ტყუილად ჰქონდათ იმის იმედი, რომ სპორტული მოტივაციის გარეშე დარჩენილი „სპარტაკი“ მეორე შემადგენლობით ითამაშებდა ან, მოსკოველები ბრძოლით თავს არ მოიკლავდნენ – **ვალერი კარპინმა** ძირითადში წამყვანი მოთამაშეები გაამწესა და საწყის წუთებში რუსეთის სახალხო გუნდი შოტლანდიურ გრანდს სჯობდა კიდეც, მაგრამ მაინც „სელტიკი“ დაწინაურდა: **სამარასის** გრძელი პასი **ინსაურალდეს** ფეხებსშუა გაუძვრა და ბურთი **ჰუპერს** მიუვიდა, რომელსაც ანგარიშის გახსნა არ გაუჭირდა. გოლის შემდეგ შოტლანდიელები მოდუნდნენ და პასიურობისთვის არის გოლით დაისაჯნენ.

მეორე ნახევარში „სელტიკი“ ისევ გააქტიურდა და მეორე გოლის გატანა პირველად სამარასს შეეძლო, მაგრამ ბურთი ძელს მოარტყა. ცხადია, გლაზგოში კარგად უწყოდნენ, რომ „ბენფიკა“ ნოუ კამპზე მედგრად უტევდა და თავადაც უკანმოუხედავად შეუტიეს. შედეგმაც არ დააყოვნა: 81-ე წუთზე სამარასმა დიდი მონდომებით იმოქმედა და პენალტი მოიპოვა, რომელიც **კომონსმა** გარდასახა – ოღონდ სანამ კარში გავიდოდა, ბურთი ხარიხას მოხვდა და წარმოიდგინეთ „სელტიკის“ ფანობის განცდა წამის იმ მეათედში...

**ნეილ ლენონი („სელტიკის“ მწვრთნელი):** *„ბრწყინვალე საღამოა - საუკეთესო ჩემს სამწვრთნელო კარიერაში. ახლა ჩვენ მარტო ის გუნდი კი არ ვართ, რომელმაც „ბარსელონას“ მოუგო, არამედ ვართ გუნდი, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გავიდა.“*

**ვალერი კარპინი („სპარტაკის“ დროებითი მწვრთნელი):** *„სელტიკს“ მთელი გულით ვულოცავ – გლაზგოელებს ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ და ჯგუფიდან გასვლა დაიმსახურეს. თუ არ ჩავთვლით ორიოდე შეცდომას, ჩვენც კარგად ვითამაშეთ როგორც დაცვაში, ასევე წინა ხაზზეც.“*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 6 | 4 | 1 | 1 | 11-5 | 13 |
| 2. სელტიკი | 6 | 3 | 1 | 2 | 9-8 | 10 |
| 3. ბენფიკა | 6 | 2 | 2 | 2 | 5-5 | 8 |
| 4. სპარტაკი | 6 | 1 | 0 | 5 | 7-14 | 3 |

## H ჯგუფი

### მანჩესტერ იუნაიტედი–კლუჟი 0:1

**გოლი:** 0:1 ლუის ალბერტო (56)
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** მარიო ფელგეირაში (კლუჟი)

„მანჩესტერ იუნაიტედს“ პირველი ადგილი ჰქონდა გარანტირებული, „ბრაგას“ – მეოთხე. მეორე ადგილისთვის კი ერთმანეთს „გალათასარაი“ და „კლუჟი“ გასვლით მატჩებში, შორიდან ებრძოდნენ. **სერ ალექს ფერგიუსონმა** პრემიერლიგის ბოლო მატჩისგან განსხვავებით სასტარტო შემადგენლობა ათ (!) პოზიციაზე შეცვალა და „კლუჟმაც“ თავისი საქმე მოსალოდნელზე იოლად გააკეთა – „ოლდ ტრაფორდზე“ ლუის ალბერტოს ულამაზესი გოლით მოიგო, მაგრამ ეს არ ეყო, რადგან გაიმარჯვა „გალათასარაიმაც“...

**სერ ალექს ფერგიუსონი („მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი):** *„ოლდ ტრაფორდზე ნაგება ყოველთვის და ყველა შემთხვევაში გულსატკენია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჩვენ მერვედფინალში ვართ. ნაღდი ჩემპიონთა ლიგა თებერვლიდან დაიწყება – პლეი ოფი ძალიან მიყვარს.“*

### ბრაგა–გალათასარაი 1:2

**გოლები:** 1:0 მარსიო მოსორო (32), 1:1 ბ. ილმაზი (57), 1:2 ა. ილმაზი (78)
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ბურაქ ილმაზი (გალათასარაი)

პირველ ტაიმში „ბრაგამ“ „გალათასარაის“ აჯობა და მოუგო, მეორე ნახევარში კი აბსოლუტურად განსხვავებული სურათი ვნახეთ – „გალათასარაი“ ათამაშდა და მატჩი თავის სასარგებლოდ შეატრიალა, რამაც **ფათიჰ თერიმის** გუნდი მერვედფინალში გაიყვანა. სულ ეს იყო, რაც ამ მატჩზე უნდა გვეთქვა – დანარჩენზე იმ კომისიამ იმსჯელოს, გარიგებული მატჩების გამოაშკარავება რომ ევალება ხოლმე. ჩვენ ნამდვილად არ გაგვიკვირდება, თუ „კლუჟი“-„გალათასარაის“ დარად, ეს მატჩიც მოხვდა საეჭვო შეხვედრების სიაში.

**აიდინ ილმაზი (გალათასარაი):** *„უბედნიერესი ადამიანი ვარ, რადგან გამარჯვების გოლის ავტორობის პატივი წილად მე მხვდა. ეს გამარჯვება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია „გალათასარაის“ ისტორიაში. შესვენებაზე მწვრთნელმა ისეთი სიტყვები გვითხრა, რომ მეორე ნახევარში თითოეულმა ჩვენგანმა უდიდესი მონდომებით ითამაშა.“*

**ფათიჰ თერიმი („გალათასარაის“ მწვრთნელი):** *„პირველი ტაიმის შემდეგ მაინც მჯეროდა, რომ ამ მატჩს მოვიგებდით და შევეცადე, ამაში ბიჭებიც დამერწმუნებინა. მერვედფინალამდე ურთულესი გზა გავიარეთ. „გალათასარაი“ პლეი ოფშიც მედგრად იბრძოლებს.“*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 6 | 4 | 0 | 2 | 9-6 | 12 |
| 2. გალათასარაი | 6 | 3 | 1 | 2 | 7-6 | 10 |
| 3. კლუჟი | 6 | 3 | 1 | 2 | 9-7 | 10 |
| 4. ბრაგა | 6 | 1 | 0 | 5 | 7-13 | 3 |

**გოტფრიდ ლენცი**



ლონდონელებმა ნორდსიელანდი 6:1 გაანადგურეს, მაგრამ ჯგუფში ჩარჩნენ და ევროპალიგაში გადაინაცვლებს

# უცხოური ფეხბური

## ამბები

### ფერდინანდი, კაკა და ფრიდელი MLS-ში

MLS-ის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა იმ ფეხბურთელების გვარები, ვინც შესაძლოა 2013 წელს აშშ-ის საფეხბურთო ლიგა გააძლიერონ. ამერიკელი ჟურნალისტების განცხადებით, "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი **რიო ფერდინანდი** შესაძლოა "ჩიკაგო ფაიერში" გადავიდეს, ხოლო ბრაზილიელი **კაკა** "ლოს ანჯელეს გელექსის" ხელმძღვანელებს აინტერესებთ. გარდა ამ ორი ფეხბურთელისა, საუბარია **ფერნანდო კავენაგის** (ვილიარეალი), **იოსი ბენაიუნის** (ვესტ ჰემი), **მარტინ პეტროვის** (ბოლტონი), **ბრედ ფრიდელის** (ტოტენჰემი) და **კლაუდიო პისაროს** (ბაიერნი) ტრანსფერებზე.

### ბრაიან რუისი ფულჰემს ახალ წლამდე დააკლდება

"ფულჰემის" კოსტარიკელი ნახევარმცველი **ბრაიან რუისი** საკუთარ გუნდს ახალ წლამდე ვერ დაეხმარება. ლონდონელთა მწვრთნელ **მარტინ იოლის** განცხადებით, 27 წლის ფეხბურთელს მუხლის მყესის ძველი დაზიანება გაუმიზეზდა და მის მოშუშებას დაახლოებით ოთხი კვირა მოუნდება.

რუისმა "ფულჰემის" რიგებში ბოლოს სამი კვირის წინ, "სანდერლენდთან" ნაგებულ შეხვედრაში ითამაშა და მას შემდეგ მოედანზე აღარ გასულა. მისი დაბრუნება ორშაბათს "ნიუკასლთან" იგეგმებოდა.

### კლევერლიმ, შესაძლოა, დერბიში ვერ ითამაშოს

**ტომ კლევერლიმ** ჩემპიონთა ლიგის ბოლო ტურის შეხვედრაში მცირე დაზიანება მიიღო და ახლა შესაძლოა "მანჩესტერ სიტის" წინააღმდეგ ვერ ითამაშოს. **სერ ალექს ფერგიუსონმა** კლევერლი "ბრაგასთან" შეხვედრის 45-ე წუთზე შეცვალა და მის ნაცვლად მოედანზე **პოლ სქოულზი** გამოიყვანა.

*"ზუსტი პასუხი ხვალ გვეცოდინება. ტომმა წვივის არეში ტკივილი იგრძნო და გადავწყვიტეთ, არ გაგვერისკა. ხვალ გავიგებთ შეძლებს თუ არა "სიტისთან" თამაშს"* – განუცხადა ფერგიმ ჟურნალისტებს.

კლევერლის დაზიანების გარდა, შოტლანდიელმა პორტუგალიელებთან გამართულ მატჩზეც ისაუბრა: *"ჩვენთვის ფეხბურთლების დასვენება ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ვფიქრობ, ცუდად არ გვითამაშია და წაგებას არ ვიმსახურებდით, რადგან ბევრი კარგი საგოლე შანსი გვქონდა, მათ კი მართლაც საოცარი გოლი გაიტანეს და ამ ბურთის წყალობით მოგვიგეს. ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელები ასეთ შეხვედრებში დიდ გამოცდილებას იძენენ, რაც მომავალში აუცილებლად გამოადგებათ".*

მიუხედავად წაგებისა, "მანჩესტერ იუნაიტედმა" ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და ერთწლიანი პაუზის შემდეგ, კვლავ გავიდა ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში, სადაც "წითელ ეშმაკებს" შესაძლოა საკმაოდ ძლიერი მეტოქე შეხვდეს.

*"ჩვენ ჯგუფში პირველ ადგილზე გავედით, მაგრამ შესაძლოა "შახტარს", "მილანს" ან "პორტუს" შევხვდეთ. მთავარი ტურნირი თებერვლიდან იწყება – პლეი ოფის ეტაპი შესანიშნავი რამ გახლავთ".*

### ნიუკასლი მარკოს როჩათი დაინტერესდა

"დეილი მეილის" ცნობით, "ნიუკასლ იუნაიტედი" "ატლეტიკო მინეიროს" მარჯვენა მცველის, **მარკოს როჩას** შეძენას აპირებს. 23 წლის ფეხბურთელი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ბრაზილიის ჩემპიონატის წლის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა, ჯორდების მთავარი სატრანსფერო სამიზნეა. **ალან პარდიუს** "ლილის" და საფრანგეთის ნაკრების მარჯვენა მცველის, **მატიო დებუშის** შეძენა სურდა, მაგრამ ტრანსფერი ჩაიშალა და ახლა ინგლისურმა გუნდმა მთელი ყურადღება ახალგაზრდა ბრაზილიელზე გადაიტანა, რომელიც ამ წლის დასაწყისში ეროვნულ ნაკრებშიც გამოიძახეს.

მთავარი პრობლემა, რომელსაც გუნდი და ფეხბურთელი შესაძლოა წააწყდნენ, ბრიტანეთის ტერიტორიაზე მუშაობის უფლების მიღება გახლავთ, რადგან როჩა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაწესებულ მოთხოვნათა უმეტესობას ვერ აკმაყოფილებს.

### რიკელმე სანტოსში

"ბოკა ხუნიორსის" და არგენტინის ნაკრების ყოფილმა ვარსკვლავმა, **ხუან რომან რიკელმემ** პრესასთან საუბრისას განაცხადა, რომ მოლაპარაკებას აწარმოებს ბრაზილიურ "სანტოსთან" და მალე შესაძლოა ამ გუნდში ჩაირიცხოს. ამ ამბავმა აღაფრთოვანა "სანტოსის" ლიდერი **ნეიმარი**, რომელიც რიკელმესთან ერთად თამაშზე ოცნებობს.

34 წლის რიკელმეს ფეხბურთი ივლისის შემდეგ არ უთამაშია, თუმცა კარიერა ოფიციალურად არ დაუსრულებია. არგენტინელის ბოლო მატჩი კოპა ლიბერტადორესის ფინალი იყო, რომელშიც მისმა "ბოკა ხუნიორსმა" ბრაზილიურ "კორინთიანსთან" წააგო.

*"არგენტინაში ბევრს საუბრობენ იმაზე, თითქოს "სანტოსში" გადავდივარ, რადგან ამ გუნდიდან განსო წავიდა და გამთამაშებელი სჭირდება. მე მათ დამირეკეს, ჩვენ ვისაუბრეთ, მაგრამ ამის იქით საქმე ჯერ არ წასულა"* – განაცხადა რიკელმემ ბრაზილიელ ჟურნალისტებთან საუბრის დროს.

მიუხედავად იმისა, რომ რიკელმეს თქმით, გადაწყვეტილი ჯერ არაფერია, ნეიმარი აღფრთოვანებული დარჩა ამ ინფორმაციით: *"რიკელმესთან ერთად თამაში შესანიშნავი იქნებოდა. ის საოცარი ფეხბურთელია, პლეიმეიკერი, რომელთან ერთადაც თამაში აბსოლუტურად ყველა ფორვარდს მოუნდებოდა".*

ისევ რიკელმეს მოვუსმინოთ: *"ლიბერტადორესის თასის ფინალის შემდეგ, ახლოს ვიყავი "კრუზეიროში" გადასვლასთან. ძალიან ბევრი ვისაუბრე სორინთან, რომელიც ჩემს დათანხმებას ცდილობდა და ბრაზილიაში სათამაშოდ გადასვლისკენ მომიწოდებდა. ბრაზილიის ჩემპიონატის დონე საკმაოდ გაიზარდა, ბევრ გუნდს შემადგენლობაში მსოფლიო დონის ვარსკვლავი ჰყავს. ივლისში "ფლამენგოს", "კრუზეიროს" და "გრემიოს" ხელმძღვანელებს ვესაუბრე, მაგრამ მაშინ "ბოკას" პრეზიდენტის გამო ჩემი ტრანსფერი არ გამოვიდა".*

შეგახსენებთ, რომ ხუან რომან რიკელმეს კარიერის განმავლობაში "ბოკა ხუნიორსის" გარდა, ნათამაშები "ბარსელონასა" და "ვილიარეალში" აქვს, არგენტინის ნაკრებში კი რიკელმემ 51 თამაში ჩაატარა და 17 გოლიც გაიტანა.

### გროსო სათამაშოდ ბრაზილიაში მიდის

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთმა გმირმა **ფაბიო გროსომ** უარყო პრესაში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ის კარიერის დასრულებას აპირებს და განაცხადა, რომ თამაშის გაგრძელება იტალიის საზღვრებს მიღმა სურს.

*"მე გადავწყვიტე, რომ იტალიაში აღარ ვითამაშებდი, მაგრამ კარიერის დასრულებას არ ვაპირებ. დიდი სურვილი მაქვს, საკუთარი ძალები საზღვარგარეთ მოვსინჯო"* – განუცხადა 35 წლის ვეტერანმა ბრაზილიურ "ლანსნეტს".

"იუვენტუსის", "ინტერის" და "ლიონის" ყოფილი მოთამაშე ბრაზილიური კლუბების ინტერესის სფეროშია და ადგილობრივი ჟურნალისტების ინფორმაციით, იტალიელი მოლაპარაკებებს "ფლამენგოსთან" და "სანტოსთან" აწარმოებს.

**ტატო ბაციკაძე**

## კოპა სუდამერიკანა. ფინალი. I მატჩი

# არგენტინაში უგოლოდ

**ტიგრე–სან პაულო 0:0**

**ტიგრე** (4-5-1): ალბილი – პაპარატო, დონატი, ეჩევერია, ორბანი – გალმარინი, გ. დიასი, დ. ფერეირა, ლეონე, ბოტა (88 ტორასა) – მახიოლო (79 ფტაკლა).

**სან პაულო** (4-2-2-2): როჟერიო სენი – რაფაელ ტოლოი, როდოლფო, პაულო მირანდა, ბრუნო კორტესი – დენილსონი, ველინგტონი – ჟადსონი (61 სისერო), ლუკას მოურა – ოსვალდო, ლუიშ ფაბიანო.

**გაფრთხილება:** ბოტა, პაპარატო – რაფაელ ტოლოი, დენილსონი, როდოლფო.

**გაძევება:** დონატი (14) – ლუიშ ფაბიანო (14).

კოპა სუდამერიკანას პირველი ფინალური მატჩი "ლა ბომბონერაზე" გაიმართა და უგოლოდ დასრულდა. შეხვედრის მიმდინარეობაზე დიდი გავლენა იქონია მატჩის მე-14 წუთზე მომხდარმა ინციდენტმა, როდესაც არგენტინელთა მცველმა **ალეხანდრო დონატიმ** და **ლუიშ ფაბიანომ** წითელი ბარათები მიიღეს. პარაგვაელმა არბიტრმა **ანტონიო არიასმა** აშკარად გადააჭარბა, რადგან ბრაზილიელი **დონატის** საერთოდ არ შეხებია, ეს უკანასკნელი კი ისე დაეცა, თითქოს ტყვია მოხვედროდა. საბოლოოდ მსაჯმა ორივე ფეხბურთელი მოედნიდან მიაბრძანა, რამაც სტუმარი გუნდი უფრო შეასუსტა, რადგან ლუიშ ფაბიანოს დონის ფორვარდი "სან პაულოს" კი არა, თითქმის არც ერთ სამხრეთამერიკულ გუნდს არ ჰყავს. არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ ამ ბარათის გამო, 32 წლის ფორვარდი საპასუხო შეხვედრასაც გამოტოვებს.




ამ ინციდენტს ლუიშ ფაბიანოს (მარცხნივ) და დონატის (მარჯვნივ, № 2) გაძევება მოჰყვა.

მინდორზე 10-10 ფეხბურთელით დარჩენის შემდეგ, გუნდები ფრთხილ ტაქტიკაზე გადაეწყვნენ და იშვიათად უტევდნენ. ყველაზე სახიფათო მომენტი **დენილსონმა** შექმნა, მაგრამ მის დარტყმულს "ტიგრეს" სარეზერვო კიპერი **დამიან ალბილი** გაუმკლავდა. არგენტინელთა უნივერსალი მცველი **ლუკას ორბანი** გუნდის თამაშით და საბოლოო შედეგით კმაყოფილი იყო: *"ჩვენი თამაშით კმაყოფილი ვარ. წითელმა ბარათებმა შეხვედრის სცენარი შეცვალა და ჩვენ ცოტათი გაგვიჭირდა. "სან პაულომ" კარგად ითამაშა, ისინი ბურთს შესანიშნავად აკონტროლებდნენ და სწრაფად მოქმედებდნენ. 0:0 ცუდი შედეგი არ არის და ჩვენ საბოლოო გამარჯვების იმედი გვაქვს".*

ორბანისგან განსხვავებით ძალიან გაბრაზებული და უკმაყოფილო იყო "სან პაულოს" კაპიტანი **როჟერიო სენი:** *"ჩვენ ცუდად ვითამაშეთ. საყურებლად საშინელი და საკმაოდ უცნაური შეხვედრა გამოდგა. გუნდი გადაღლილი იყო, მაგრამ ეს გასაკვირი არ არის, ახლა ხომ სეზონის ბოლოა. უგოლო ფრე ცუდი შედეგი არ არის, რადგან საპასუხო მატჩი საკუთარ სტადიონზე გვაქვს და თანაც საგარეო გოლის წესი არ მოქმედებს".*

საპასუხო შეხვედრა ერთ კვირაში "მორუმბიზე" გაიმართება და როგორც სენის კომენტარიდან შეიტყობდით, კოპა სუდამერიკანას ფინალში, განსხვავებით წინა ეტაპებისგან, საგარეო გოლის წესი არ მოქმედებს, შესაბამისად, თუ შეხვედრა ფრედ დასრულდა, დამატებითი დრო დაინიშნება, რასაც უკვე პენალტების სერია მოჰყვება.

**ტატო ბაციკაძე**

## ევროპალიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური

### A ჯგუფი

**იანგ ბოიზი–ანჟი 3:1**

გოლები: 1:0 სარატე (38), 1:1 აჰმედოვი (45), 2:1 კოსტანცო (52), 3:1 გონსალესი (90)

**უდინეზე–ლივერპული 0:1**

გოლი: 0:1 ჰენდერსონი (23)
გაძევება: პასკუალე (79. უდინეზე)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 6 | 3 | 1 | 2 | 11-9 | 10 |
| 2. ანჟი | 6 | 3 | 1 | 2 | 7-5 | 10 |
| 3. იანგ ბოიზი | 6 | 3 | 1 | 2 | 14-13 | 10 |
| 4. უდინეზე | 6 | 1 | 1 | 4 | 7-12 | 4 |

### B ჯგუფი

**ჰაპოელი–აკადემიკა 2:0**

გოლები: 1:0 მარეე (56), 2:0 მამანი (80)

**პლზენი–ატლეტიკო 1:0**

გოლი: 1:0 პროხაზკა (26)
გაძევება: დ. კოშტა (90. ატლეტიკო)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პლზენი | 6 | 4 | 1 | 1 | 11-4 | 13 |
| 2. ატლეტიკო | 6 | 4 | 0 | 2 | 7-4 | 12 |
| 3. აკადემიკა | 6 | 1 | 2 | 3 | 6-9 | 5 |
| 4. ჰაპოელი | 6 | 1 | 1 | 4 | 4-11 | 4 |

### C ჯგუფი

**აელ–მარსელი 3:0**

გოლები: 1:0 სა (41), 2:0 ედმარი (79), 3:0 ჟუნიორი (82)

**ფენერბაჰჩე–გლადბახი 0:3**

გოლები: 0:1 ჩიგერჩი (23), 0:2 ჰანკე (28-პენ), 0:3 ლ. დე იონგი (79)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჰჩე | 6 | 4 | 1 | 1 | 10-7 | 13 |
| 2. გლადბახი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-6 | 11 |
| 3. მარსელი | 6 | 1 | 2 | 3 | 9-11 | 5 |
| 4. აელ | 6 | 1 | 1 | 4 | 4-10 | 4 |

### D ჯგუფი

**მარიტიმუ–ბრიუგე 2:1**

გოლები: 1:0 აბრეუ (18), 1:1 რაფაელოვი (85-პენ), 2:1 ელდონი (87)

**ბორდო–ნიუკასლი 2:0**

გოლები: 1:0 დიაბატე (29), 2:0 დიაბატე (73)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორდო | 6 | 4 | 1 | 1 | 10-5 | 13 |
| 2. ნიუკასლი | 6 | 2 | 3 | 1 | 7-5 | 9 |
| 3. მარიტიმუ | 6 | 1 | 3 | 2 | 4-6 | 6 |
| 4. ბრიუგე | 6 | 1 | 1 | 4 | 6-11 | 4 |

### E ჯგუფი

**შტუტგარტი–მოლდე 0:1**

გოლი: 0:1 ანგანი (45)

**კოპენჰაგენი–სტიაუა 1:1**

გოლები: 0:1 რუსესკუ (73), 1:1 ვეტოკელე (87)
გაძევება: ტანასე (49. სტიაუა)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტიაუა | 6 | 3 | 2 | 1 | 9-9 | 11 |
| 2. შტუტგარტი | 6 | 2 | 2 | 2 | 9-6 | 8 |
| 3. კოპენჰაგენი | 6 | 2 | 2 | 2 | 5-6 | 8 |
| 4. მოლდე | 6 | 2 | 0 | 4 | 6-8 | 6 |

### F ჯგუფი

**დნეპრო–აიკ 4:0**

გოლები: 1:0 კალინიჩი (20-პენ), 2:0 ზოზულია (39), 3:0 ზოზულია (52), 4:0 კრავჩენკო (86)

**ნაპოლი–პსვ 1:3**

გოლები: 1:0 კავანი (18), 1:1 მატავჟი (30), 1:2 მატავჟი (41), 1:3 მატავჟი (60)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დნეპრო | 6 | 5 | 0 | 1 | 16-8 | 15 |
| 2. ნაპოლი | 6 | 3 | 0 | 3 | 12-12 | 9 |
| 3. პსვ | 6 | 2 | 1 | 3 | 8-7 | 7 |
| 4. აიკ | 6 | 1 | 1 | 4 | 5-14 | 4 |

### G ჯგუფი

**გენკი–ბაზელი 0:0**

**სპორტინგი–ვიდეოტონი**

დღეს გაიმართება

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გენკი | 6 | 3 | 3 | 0 | 9-4 | 12 |
| 2. ბაზელი | 6 | 2 | 3 | 1 | 7-4 | 9 |
| 3. ვიდეოტონი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-6 | 6 |
| 4. სპორტინგი | 5 | 0 | 2 | 3 | 2-9 | 2 |

### H ჯგუფი

**ინტერი–ნეფთჩი 2:2**

გოლები: 1:0 ლივაია (9), 1:1 სადიგოვი (52), 2:1 ლივაია (54), 2:2 კანალესი (89)

**პარტიზანი–რუბინი 1:1**

გოლები: 1:0 მარკოვიჩი (53), 1:1 რონდონი (59)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუბინი | 6 | 4 | 2 | 0 | 10-3 | 14 |
| 2. ინტერი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-9 | 11 |
| 3. ნეფთჩი | 6 | 0 | 3 | 3 | 4-8 | 3 |
| 4. პარტიზანი | 6 | 0 | 3 | 3 | 3-8 | 3 |

### I ჯგუფი

**ლიონი–შმონა 2:0**

გოლები: 1:0 სარი (15), 2:0 ბენზია (58)

**ბილბაო–სპარტა 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 6 | 5 | 1 | 0 | 14-8 | 16 |
| 2. სპარტა | 6 | 2 | 3 | 1 | 9-6 | 9 |
| 3. ბილბაო | 6 | 1 | 2 | 3 | 7-9 | 5 |
| 4. შმონა | 6 | 0 | 2 | 4 | 6-13 | 2 |

### J ჯგუფი

**მარიბორი–ლაციო 1:4**

გოლები: 0:1 კოზაკი (16), 0:2 რადუ (32), 0:3 ფლოკარი (38), 0:4 ფლოკარი (51), 1:4 ტავარეში (84)

**ტოტენჰემი–პანათინაიკოსი 3:1**

გოლები: 1:0 ადებაიორი (29), 1:1 ზეკა (54), 2:1 დემპსი (76), 3:1 დეფო (83)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლაციო | 6 | 3 | 3 | 0 | 9-2 | 12 |
| 2. ტოტენჰემი | 6 | 2 | 4 | 0 | 8-4 | 10 |
| 3. პანათინაიკოსი | 6 | 1 | 2 | 3 | 4-11 | 5 |
| 4. მარიბორი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-10 | 4 |

### K ჯგუფი

**რაპიდი–მეტალისტი 1:0**

გოლი: 1:0 ალარი (13)
გაძევება: პიხლერი (44. რაპიდი)

**ლევერკუზენი–როსენბორგი 1:0**

გოლი: 1:0 რიდელი (65)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალისტი | 6 | 4 | 1 | 1 | 9-3 | 13 |
| 2. ლევერკუზენი | 6 | 4 | 1 | 1 | 9-2 | 13 |
| 3. როსენბორგი | 6 | 2 | 0 | 4 | 7-10 | 6 |
| 4. რაპიდი | 6 | 1 | 0 | 5 | 3-14 | 3 |

### L ჯგუფი

**ლევანტე–ჰანოვერი 2:2**

გოლები: 0:1 შტინდლი (18), 0:2 ია კონანი (26), 1:2 ანხელი (50), 2:2 იბორა (93)

**ტვენტე–ჰელსინგბორგი 1:3**

გოლები: 0:1 ჯურჯიჩი (6), 0:2 ბედოია (22), 0:3 სორუმი (67), 1:3 ტადიჩი (74)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰანოვერი | 6 | 3 | 3 | 0 | 11-8 | 12 |
| 2. ლევანტე | 6 | 3 | 2 | 1 | 10-5 | 11 |
| 3. ჰელსინგბორგი | 6 | 1 | 1 | 4 | 9-12 | 4 |
| 4. ტვენტე | 6 | 0 | 4 | 2 | 5-10 | 4 |



ეინდჰოვენელმა ტიმ მატავჟმა ჰეთ-თრიკი შეასრულა

● ბლიც-ინტერვიუ. მარიო ბალოტელი

# ამოუცნობი და შეუფასებელი

## დღეს არც ერთ იტალიურ გუნდს არ აქვს ჩემი შესაძენი ფული

ახალგაზრდა ფეხბურთელებს ხშირად არ მოსწონთ, როდესაც რომელიმე ვარსკვლავს ადარებენ, რადგან როგორც ამბობენ, ეს უფრო დამთრგუნველია, ვიდრე სტიმულის მიმცემი. ეს ლოგიკურიც არის, რადგან როდესაც მაგალითად დიეგო მარადონას გადარებენ, ძნელია ოდესმე მისი ჩრდილიდან გამოხვიდე. თუმცა, არიან განსაკუთრებული ფეხბურთელები, რომლებიც ყველაფერში არაორდინალურობით გამოირჩევიან, როგორც მოედანზე, ისე მის მიღმა... მაგალითად, 22 წლის მარიო ბალოტელი, რომელმაც საკუთარი თავი არა თუ რომელიმე ვარსკვლავს, თვით მონა ლიზას მიამსგავსა. მარიომ იტალიელი ჟურნალისტის საინტერესო კითხვებს, საინტერესოდვე უპასუხა...

**- ამბობენ, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში "მილანში" გადადიხართ, მართალია?**

- მეეჭვება, რომ ასე მოხდეს, რადგან ამ თემაზე არავინ დამკავშირებია. პრესაში მეც წამიკითხავს მილანელთა ინტერესის შესახებ, მაგრამ საქმე სიტყვას არ გასცდენია. ვფიქრობ, ეს უბრალო ჭორებია, რომელიც დიდი ხანია ისმის მედიისგან. "მილანთან" არაერთხელ დამაკავშირეს, ჯერ კიდევ იქიდან მოყოლებული, როდესაც "ინტერში" ვასპარეზობდი.

**- მაინც რატომ არ გგონიათ, რომ "მილანი" თქვენით დაინტერესებულია?**

- შესაძლოა, მართლაც არის დაინტერესებული, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ცვლის. სულ რომ კონტაქტზე გამოვიდნენ "როსონერის" მესვეურები, მეეჭვება ტრანსფერი შედგეს. დღეს, არც ერთ იტალიურ გუნდს არ აქვს იმდენი ფული, რომ ჩემი გადაბირება შეძლოს. "მანჩესტერ სიტის" მესვეურების პოზიცია კარგად ვიცი, ჩემს გაყიდვას არ აპირებენ და თუ დააპირებენ, ისეთ თანხას იტყვიან, რომელსაც სერია A-ს ვერც ერთი ბინადარი ვერ გაწვდება.

**- ამბობენ, რომ ბავშვობიდან "მილანის" გულშემატკივარი ხართ, მართალია?**

- ალბათ ამიტომ უკავშირებენ ყოველ ზამთარ-ზაფხულს ჩემს მომავალს "მილანს". ბავშვობაში ყველას ჩვენი ფავორიტი გუნდი გვყავდა და არ დავმალავ, რომ "მილანის" მიმართ სიმპათია მქონდა, მაგრამ ვერ დავიჩემებ, რომ თავგადაკლული ტიფოზი ვიყავი. ეს უფრო მითია, ვიდრე რეალობა.

**- რომელ ფეხბურთელს შეადარებდით თავს?**

- არც ერთს, რადგან მე სრულიად განსხვავებულ სტილში ვთამაშობ. თუ შედარებაა, საკუთარ თავს მონა ლიზას მივამსგავსებდი... მასავით ამოუცნობი ვარ და მასავით შეუფასებელი. ეს სიტყვები ჩემს აგენტს ეკუთვნის და მას სრულიად ვეთანხმები. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ დღეს, ჩემი გადაბირების რესურსი არც ერთ იტალიურ გუნდს არ აქვს. სხვათა შორის, მონა ლიზასაც უცხოეთში აქვს ბინა დადებული.



მარიო ბალოტელი თავს მონა ლიზას ადარებს

**- მიმდინარე სეზონში აშკარად ჩავარდნა გაქვთ და ამ ფონზე, ასეთი შედარება ცოტა გადამეტებული ხომ არაა?**

- თამაში პრაქტიკულად არ მიწევს და გამომდინარე აქედან, არ ვთვლი, რომ ჩავარდნა მაქვს. რობერტო მანჩინი სხვა ფორვარდებზე აკეთებს აქცენტს და ძირითადად შეცვლებზე მათამაშებს, რაც შესაძლებლობათა სრულად წარმოჩენის საშუალებას არ მაძლევს. თუმცა, ამით მწვრთნელთან პოლემიკაში არ შევდივარ, მან უკეთ იცის, რასაც აკეთებს.

**- არ მოგბეზრდათ მანჩინისთან გაუთავებელი კამათი?**

- არ ვკამათობთ, ის უბრალოდ ხშირად მეჩხუბება, მე კი ყოველთვის თავი მაქვს დახრილი. მანჩინი შესანიშნავი ადამიანია, მასთან სერიოზული კონფლიქტი არასდროს მომსვლია და არც მომივა. დიდი იმედი მაქვს, რომ "მანჩესტერ სიტიში" კიდევ დიდხანს ვიქნებით ერთად.

**ლაშა წიკლაური**

● მოსაზრება

# ფიორენტინას წარმატების საიდუმლო

## ორგანიზებული დაცვა




ფაკუნდო რონკალია არ ნანობს, რომ არჩევანი "ფიორენტინაზე" შეაჩერა

მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი აღმოჩენის, **ფაკუნდო რონკალიას** აზრით, „ფიორენტინას" წარმატების მთავარი საიდუმლო დაცვის კარგ თამაშშია. შეგახსენებთ, რომ სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში 15 ტურია გასული, "ვიოლას" კი მხოლოდ 14 გოლი აქვს გაშვებული. ამ მაჩვენებლით ფლორენციული გუნდი მესამე ადგილზეა და მხოლოდ ლიდერებს, „იუვენტუსსა" და "ნაპოლის" ჩამორჩება. 25 წლის რონკალიამ „კორიერე დელო სპორტთან" საინტერესო კომენტარი გააკეთა:

*„მიმდინარე სეზონში ყველაფერი იმაზე უკეთესად მიდის, ვიდრე გვეგონა - გამომდინარე აქედან, ერთი წუთითაც არ ვნანობ, რომ მიუხედავად არაერთი შეთავაზებისა, არჩევანი "ფიორენტინაზე" შევაჩერე. რაშია „ვიოლას" წარმატების საიდუმლო? - ჩემი პირადი აზრით, ჩვენი მთავარი იარაღი ორგანიზებული თავდაცვაა, რის ხარჯზეც ძალიან ცოტა გოლს ვუშვებთ. არ იფიქროთ, რომ ამით მხოლოდ მცველებს, მათ შორის საკუთარ თავს ვაქებდე - პირიქით, მინდა სხვა ამპლუის ფეხბურთელებიც გამოვარჩიო, რომლებიც აქტიურად გვეხმარებიან და დიდ სამუშაოს ასრულებენ დაცვით ფაზაში. „ფიორენტინა" ერთ მუშტად შეკრული გუნდია და ეს ყველაფერში აისახება".*

**ლაშა წიკლაური**

● რომა

# დე როსი არაფერს გამორიცხავს

## თუმცა, რომის დატოვება მაინც არ სურს

დიდი ხანია, დაირხა ხმები იმის შესახებ, რომ "მანჩესტერ სიტის" მთავარ მწვრთნელ **რობერტო მანჩინის** "რომადან" **დანიელე დე როსის** გადაბირება სურს. ამის შესახებ გასულ ზაფხულსაც ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობენ დღესაც – თავად ფეხბურთელი მშობლიურ გუნდში თავს კარგად გრძნობს და არსად წასვლის სურვილი არ აქვს, თუმცა მოვუსმინოთ 29 წლის ნახევარმცველს:

*"დიახ, ჩემით მართლაც არიან "მანჩესტერ სიტის" ხელმძღვანელები დაინტერესებულნი და კონტაქტზეც არაერთხელ გამოვიდნენ. ჩემი პასუხი ყოველთვის ერთნაირია, მათ პირველ რიგში "რომასთან" უნდა დაილაპარაკონ და მხოლოდ შემდეგ თუა შესაძლებელი ჩვენი შეხვედრა. პირადად მე, რომში თავს შესანიშნავად ვგრძნობ და არსად წასვლის სურვილი არ მაქვს. რაიმეს გამორიცხვა კი ჩემი მხრიდან უგუნურება იქნებოდა, რადგან ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. თანამედროვე ფეხბურთში ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ ნებისმიერ წუთს შეიძლება ვითარება რადიკალურად შეიცვალოს".*

**ლაშა წიკლაური**



დანიელე დე როსი

● ლაციო

# ერნანესით პსჟ დაინტერესდა



ერნანესი

იტალიურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფრანგული პსჟ-ს მესვეურებს სხვა უამრავი ფეხბურთელის მსგავსად, **ერნანესის** გადაბირებაც მოსურვებიათ. ამ ამბავმა „ლაციოს" 27 წლის ნახევარმცველის ყურამდეც მიაღწია და ბუნებრივია, რომ ჟურნალისტებმა მას პოზიციის დაფიქსირება სთხოვეს. თავად ერნანესმა არა, მაგრამ მისმა პირადმა აგენტმა შემდეგი განაცხადა:

*„ჯერჯერობით პარიზიდან არავინ შეგვხმიანებია, მაგრამ ფრანგული კლუბის ერნანესისადმი ინტერესის შესახებ კულუარებიდან მეც შევიტყვე. მითხრეს, რომ ოფიციალურ შეთავაზებას რომაული კლუბის მესვეურები უახლოეს პერიოდში მიიღებენ და ვნახოთ, გამართლდება თუ არა ეს ამბავი. თუ "ლაციო" ერნანესის გასხვისებას გადაწყვეტს, ბუნებრივია, რომ პარიზელთა შეთავაზებაზე ჩვენც დავფიქრდებით. ამ ეტაპზე, სხვა უფრო მნიშვნელოვანს ვერაფერს გეტყვით - ჩემი კლიენტი "ლაციოს" მოთამაშეა და რა იქნება მომავალში, ამას დრო გვიჩვენებს".*

**ლაშა წიკლაური**

● დიდი მატჩის წინ



ანდრეა სტრამაჩონისთვის "ნაპოლისთან" მატჩი უმნიშვნელოვანესი იქნება

# სტრამაჩონის სეზონის მატჩი

სერია A-ს მომდევნო ტურის ცენტრალური შეხვედრა „ჯუზეპე მეაცაზე" გაიმართება, სადაც „ინტერი" „ნაპოლის" უმასპინძლებს. მატჩი მართლაც უდიდეს ინტერესს იწვევს, რადგან ერთმანეთის პირისპირ სკუდეტოსთვის მებრძოლი გუნდები წარდგებიან. „ნაპოლი" მეორე ადგილზეა და მხოლოდ ორი ქულით უსწრებს მილანურ გრანდს. ანუ, მილანელები შეეცდებიან, რომ სამხრეთელებს გადაასწრონ და ლიდერ "იუვენტუსს" კუდში ჩაუდგნენ - ნეაპოლელთა მიზანი კი მდევრის კიდევ უფრო ჩამოტოვება და "იუვეს" მთავარი კონკურენტის სტატუსის განმტკიცებაა. ერთი სიტყვით, წინ დიდი მატჩია, რომელიც პროგნოზებს ნამდვილად არ ექვემდებარება. მოახლოებულ პაექრობაზე თავისი მოსაზრება „ინტერის" სპორტულმა დირექტორმა **მარკო ბრანკამ** გამოთქვა:

*„ტრიბუნებზე ანშლაგი იქნება, რაც ძალიან სასიამოვნოა. ჩემი აზრით, „ინტერი" და „ნაპოლი" სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობენ და შესაბამისად, სტადიონზე მოსული გულშემატკივარი დიდ სიამოვნებას მიიღებს. ორივე გუნდი სკუდეტოსთვის იბრძვის, რაც დამატებით ინტრიგას სძენს ისედაც საინტერესო პაექრობას. ვფიქრობ, რომ "ნაპოლისთან" მატჩი ანდრეა სტრამაჩონისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია სამწვრთნელო კარიერაში - გამარჯვებათა შთამბეჭდავი სერიის შემდეგ, მცირე ჩავარდნა გვქონდა, რამაც ანდრეას რეპუტაცია შეარყია და ამის გამოსასწორებლად ნეაპოლელთა დამარცხება საუკეთესო საშუალებაა. მინდა გავამხნევო სტრამაჩონი, რომელიც ენთუზიაზმის ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივის. იმედია, სამივე ქულა ჩვენ დაგვრჩება".*

**ლაშა წიკლაური**

● აფრიკა

# სამი ნომინანტი ცნობილია

აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ ის სამი ფეხბურთელი დაასახელა, რომელიც კონტინენტის წლის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზისთვის იბრძოლებს. კანდიდატები არიან: **დიდიე დროგბა** (კოტ დივუარი, "შანხაი შენხუა), **ალექს სონგი** (კამერუნი, "არსენალი"/"ბარსელონა") და **იაია ტურე** (კოტ დივუარი, "მანჩესტერ სიტი").

გამარჯვებულს 20 დეკემბერს, განის დედაქალაქ აკრაში დაასახელებენ. შეგახსენებთ, რომ შარშან აფრიკის წლის საუკეთესო ფეხბურთელი იაია ტურე გახდა.

**ტატო ბაციკაძე**

ინტერვიუ. ლუიშ ფელიპე სკოლარი

# ბედნიერი ვარ რომ ნეიმარი ჩემ გუნდშია

**ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნიდან რამდენიმე დღეში, ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ფიფას ოფიციალურ საიტს ინტერვიუ მისცა და ბევრ საინტერესო საკითხზე ისაუბრა. ბრაზილიის ნაკრების გარდა, 64 წლის "ფელიპაომ" საკუთარი მოსაზრება ფიფას ოქროს ბურთის და წლის საუკეთესო მწვრთნელის პრიზის შესაძლო მფლობელზეც გამოთქვა.**



> მე მოურინიოს და რონალდოს ავირჩევდი

**- მიუხედავად იმისა, რომ უამრავი წარმატებისთვის მიგიღწევიათ, მათ შორის ბრაზილიის ნაკრებშიც, 2013 წლის კონფედერაციის თასი თქვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ტურნირი უნდა იყოს...**

- რა თქმა უნდა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბრაზილია ამ ტურნირის მასპინძელია. საერთოდ, რა რანგის შეჯიბრებაც უნდა იყოს და რა დონისაც არ უნდა იყოს ამ შეჯიბრების მასპინძელი, გულშემატკივარი მისგან ყოველთვის გამარჯვებას ითხოვს. ჩვენთვის კონფედერაციის თასი მუნდიალის გენერალური რეპეტიციაა, რომელიც წარმატებით უნდა ჩავატაროთ.

**- არის თუ არა კონფედერაციის თასი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იმის გამო, რომ ბრაზილიის ნაკრები, რადგან მსოფლიოს პირველობის მასპინძელია, ოფიციალურ მატჩებს მოკლებულია?**

- სწორედ ამ ტურნირზე მოგვეცემა საშუალება, რომ შევაფასოთ ჩვენი მოთამაშეები და გადავწყვიტოთ, ღირს თუ არა ამა თუ იმ ფეხბურთელის მუნდიალზე წაყვანა. მახსოვს, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ კოპა ამერიკაზე ვიასპარეზეთ და მაშინ ფეხბურთელებზე დაკვირვების საშუალება მომეცა. სწორედ იმ ტურნირზე ვნახე პირველად, რამდენად კარგად შეეძლოთ ფეხბურთელებს სატურნირო ბატალიების გადატანა და შემჭიდროებულ გრაფიკში თამაში. აღმოვაჩინეთ ხარვეზები, რომლებიც შემდეგ გამოვასწორეთ და ამან უდიდესი დივიდენდები ერთი წლის შემდეგ მოგვიტანა.

**- როდესაც "სატურნირო ბატალიების გადატანა" ახსენეთ, ალბათ მოედანს მიღმა მიმდინარე პროცესებიც იგულისხმეთ**

- რა თქმა უნდა. კლუბის მწვრთნელმა საკუთარი ფეხბურთელების შესახებ ყველაფერი იცის, მაგრამ ნაკრების მწვრთნელს მოთამაშეებთან კონტაქტის საშუალება არცთუ ისე ხშირად ეძლევა. ფეხბურთელს და ზოგადად ადამიანს კარგად მხოლოდ მაშინ თუ გაიცნობ, როდესაც მასთან ერთად დღეების განმავლობაში ცხოვრობ და მუშაობ, ნაკრების დამრიგებელს კი ამის საშუალება მხოლოდ რომელიმე ტურნირის დროს თუ აქვს. საბედნიეროდ, უმეტესად მწვრთნელები ნაკრებში ახლად გამოძახებული ფეხბურთელის თვისებებით სასიამოვნოდ გაოცებულნი რჩებიან, მაგრამ არის გამონაკლისებიც, როდესაც ფიქრობ, ღირს კი ამ მოთამაშის შეკრებაზე, შემდეგ კი ტურნირზე წაყვანა და გარისკვა?

**- თქვენ საკმაოდ დიდი არჩევანი გაქვთ. უკვე წარმოგიდგენიათ როგორი სტილით ითამაშებთ, თუ ჯერ ფეხბურთელებს შეარჩევთ და სათამაშო სტილსაც ამის მიხედვით განსაზღვრავთ?**

- დაახლოებით ვიცი, როგორც ვითამაშებთ, რადგან ჩვენი პირველი ამხანაგური მატჩისთვის ფეხბურთელების უმეტესობა შერჩეული მყავს. ჩემი წარმოდგენა ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელებზე ტელევიზიით ან ტრიბუნებიდან ნანახით შემოიფარგლება, ამიტომ მთავარი მაინც შეკრება და ვარჯიშია. ჩვენ ერთად ორი-სამი დღე ვიმუშავებთ და ვეცდებით ყველა იდეა და მოსაზრება მოედანზე გადავიტანოთ. ამხანაგურ შეხვედრებში და კონფედერაციის თასზე ყველა სიახლის და იდეის განხორციელებას ვეცდებით, თუმცა მუნდიალამდე შესაძლოა ბევრი რამეც შევცვალოთ. მაგალითად, 2002 წლის ჩემპიონატამდე სამი მცველით არასოდეს მითამაშია, მაგრამ ჩემპიონატის წინ, ფეხბურთელებთან საკმარისი დროის გატარების შემდეგ, მივხვდი რომ ეს კარგი აზრი იქნებოდა. ასე რომ, დაახლოებით კი წარმომიდგენია რას და როგორ გავაკეთებთ, მაგრამ ეს მუშაობის პროცესში ცვლილებებს არ გამორიცხავს.

**- ბოლო თვეების განმავლობაში ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ ამ ბრაზილიის ნაკრებს, რომელიც ძირითადად ახალგაზრდებით არის დაკომპლექტებული, გამოცდილი ფეხბურთელები სჭირდება. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?**

- ვფიქრობ, რომ ბრაზილიას საკმაოდ ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი ჰყავს, რომელსაც ნაკრებში თამაში უმაღლეს დონეზე შეუძლია. ვერავინ გეტყვით, რამდენი გამოცდილი ფეხბურთელია საჭირო ნაკრებში, ერთი, ორი, შვიდი, თუ ათი, მაგრამ ფაქტია, რომ გამოცდილების და ახალგაზრდების ნაზავი აუცილებელია. მე პირველ რიგში ყურადღებას მოთამაშის დონეს ვაქცევ და არა ასაკს, ასე რომ, თუ რომელიმე ფეხბურთელი "სელესაოს" მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, ის ნაკრებში აუცილებლად მოხვდება.

**- გეხმარებათ თუ არა ფეხბურთელებთან ურთიერთობაში და მათთვის თქვენ იდეების გადაცემაში ის ფაქტი, რომ წარმატებული მწვრთნელი ხართ და მსოფლიოს ჩემპიონატი გაქვს მოგებული?**

- ნამდვილად ვერ გეტყვით. არ ვიცი მოქმედებს თუ არა ფეხბურთელებზე ეს ფაქტორები და უფრო მეტად იგებენ ჩემ ნათქვამს თუ არა, მაგრამ მე და კარლოს ალბერტო პარეირას ძალიან ბევრი რამ გვაქვს ნანახი და უდიდესი გამოცდილებაც დაგვიგროვდა, შესაბამისად ფეხბურთელებსაც ბევრი რამ შეგვიძლია ვუთხრათ.

**- არის თუ არა ფეხბურთელი, რომელმაც ბოლო წლებში ცხოვრება გაგირთულად და ახლა ნაკრებში თქვენთან ერთად იქნება?**

- ჰმ... თუ რომელიმე მოთამაშე უნდა დავასახელო, მაშინ იყოს ნეიმარი. დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი მასთან ერთად "პალმეირაში", როდესაც ამ გუნდის მწვრთნელი ვიყავი. რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ იმის გამო, რომ ის ჩვენთან არის და არა მოწინააღმდეგის ბანაკში, მაგრამ ასეთი ფეხბურთელი კიდევ საკმაოდ ბევრია, მე უბრალოდ ერთი დაგისახელეთ.

**- განუხებთ თუ არა ის ფაქტი, რომ სელესაოს ერთ-ერთი მთავარი ფიგურა მხოლოდ 20 წლის არის?**

- არა, რადგან როდესაც რონალდო ბრაზილიის ნაკრების ლიდერი იყო და მოედანზე საოცრებებს სჩადიოდა, მხოლოდ 19 წლის გახლდათ, პელე კი 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დროს მხოლოდ 17 წლის იყო და მიუხედავად ამისა, ის ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. ახალგაზრდა ფეხბურთელი შესაძლოა გუნდის გამორჩეული ფეხბურთელი იყოს, მაგრამ ის ვერ იქნება ლიდერი. ასეთ დროს მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ურთიერთგაგება სამწვრთნელო შტაბსა და მოთამაშეებს შორის, რათა ყველამ იცოდეს საკუთარი ადგილი და დანიშნულება, თორემ ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ იმაში, რომ გუნდის ლიდერი 20 ან 21 წლის ფეხბურთელი იყოს.

**- ინდივიდუალურ პრიზებზე გადავიდეთ. თქვენი აზრით, ვინ უნდა გახდეს წლის საუკეთესო მწვრთნელი, ვისენტე დელ ბოსკე, პეპ გვარდიოლა თუ ჟოზე მოურინიო?**

- მე მოურინიოს ავირჩევდი, რადგან ჩემი აზრით, ის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია. ის ყველგან მოწოდების სიმაღლეზე იყო - "პორტუში", "ჩელსიში", "ინტერში" და ახლა "რეალში", ყველგან წარმატებას აღწევდა. ამდენი წლის განმავლობაში სტაბილურად წარმატებული მუშაობის გამო მე მოურინიოს ვირჩევ.

**- მადრიდის "რეალის" ან ბრაზილიის ნაკრების მსგავს გუნდებში, სადაც ბევრი ვარსკვლავი თამაშობს, აკისრია თუ არა მწვრთნელს კოლექტივის ერთიანობის შენარჩუნებაში განსაკუთრებული როლი?**

- რა თქმა უნდა. ბევრი ეგოს და პიროვნების საერთო იდეის გარშემო გაერთიანება ერთ-ერთი ყველაზე საჭირო თვისებაა, რომელიც შესაძლოა მწვრთნელს ჰქონდეს. მწვრთნელმა, გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, ხანდახან ფეხბურთელებს მათთვის არც თუ ისე ხელსაყრელი პირობები უნდა მიაღებინოს. მოურინიოს ყველა ეს თვისება აქვს და ეს ყველაფერი მის გუნდებში ჩანს. დააკვირდით როგორი ერთგულებით გამოირჩევიან მისი ფეხბურთელები მწვრთნელის მიმართ და როგორ მისტირიან მას იმ გუნდის მოთამაშეები, საიდანაც ჟოზე წავიდა.

**- შემდეგ პრიზზე გადავიდეთ: ვინ არის საუკეთესო, ანდრეს ინიესტა, ლიონელ მესი თუ კრიშტიანო რონალდო?**

- მე სამივეს თამაში ნანახი მაქვს, მაგრამ მხოლოდ რონალდოსთან მიმუშავია. ვფიქრობ, ის აღიარებას იმსახურებს. რონალდომ "მანჩესტერთან", "რეალთან" და პორტუგალიის ნაკრებთან ერთად უამრავ წარმატებას მიაღწია და გარდა ამისა, ბოლო 4-5 წელია, შესანიშნავად თამაშობს, მაგრამ „ოქროს ბურთი" მხოლოდ ერთხელ მოიგო. მე სწორედ მას ავირჩევდი, თანაც მასთან მიმუშავია და ვიცი როგორი თავდადებულიც არის და რამდენს შრომობს იმისთვის, რომ საუკეთესოთა შორის საუკეთესო იყოს.

**- როგორ ფიქრობთ, დღეს ნეიმარი მათი დონის ფეხბურთელია?**

- ჩემი აზრით, მომავალ წელს ნეიმარი ოქროს ბურთის ათეულში კი არ მოხვდება, არამედ სამეულში შევა. იმისთვის, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გახდეს, ევროპაში გადასვლა ნამდვილად არ სჭირდება, რადგან "სანტოსში" მას შესანიშნავი მწვრთნელი ჰყავს. ნეიმარი მურისი რამალიოსთან უკვე წელიწადზე მეტია მუშაობს და ყველა ვხედავთ, თუ როგორ მოუმატა მან ტაქტიკური თვალსაზრისით. ის წლიდან წლამდე უმატებს და მას იმხელა პოტენციალი აქვს, რომ უახლოეს პერიოდში კიდევ უფრო ძლიერი ფეხბურთელი გახდება.

**ტატო ბაციკაძე**

---

ამბები

## მადრიდელებს ლიოვი უნდათ, ანჩელოტი - არა

ესპანურმა გაზეთმა „მარკამ" გამოკითხვა მოაწყო გულშემატკივრებს შორის, კითხვით, ვინ სურთ მათ „რეალში" **ჟოზე მოურინიოს** შემცვლელად. გამოკითხვაში 50 ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

*„თქვენ რომ ფლორენტინო პერესი იყოთ, ივნისში ჟოზე მოურინიოს შემცვლელად ვის დაასახელებდით"*, - ასეთი ფორმულირება ჰქონდა შეკითხვას. გერმანიის ნაკრების თავკაცმა **იოახიმ ლიოვმა** 15 ათასი ხმა მიიღო, საერთო რაოდენობის 30 პროცენტია. სიის ათი კანდიდატიდან ლიოვი ყველაზე პოპულარულია. ყველაზე რეალური კანდიდატი, **კარლო ანჩელოტი** კი მეორე ადგილზე გავიდა. იტალიელი არც ისე პოპულარულია მადრიდელ ფანებში - მან ხმების მხოლოდ 2,5% მიიღო, 10 კანდიდატს შორის მე-9 ადგილზე გავიდა.

მეორე ადგილზეც გერმანელი სპეციალისტია - „დორტმუნდის" თავკაცმა **იურგენ კლოპმა** ხმების 15% მიიღო. მესამე ადგილზე, მოულოდნელად, „რეალის" სარეზერვო გუნდის 39 წლის მწვრთნელი **ალბერტო ტორილი** გავიდა - 14%.

## ემრეს იჭერენ?

მადრიდის „ატლეტიკოს" თურქმა ნახევარმცველმა **ემრე ბელოზოგლუმ** რასისტულ სკანდალში გაჰყო თავი, 32 წლის ფეხბურთელი შესაძლოა, დაიჭირონ კიდევაც. თურქული ყოველდღიური გაზეთი „ჰურიეთი" იუწყება, რომ სტამბოლის პროკურორმა მისთვის 6 თვიდან 2 წლამდე პატიმრობა მოითხოვა კოტ-დივუარელი ფეხბურთელის, **დიდიე ზოკორას** რასისტული შეურაცხყოფისათვის. ეს ამბავი 15 აპრილს მოხდა, როცა ემრე ჯერ კიდევ „ფენერბაჰჩეში" გამოდიოდა და მისი გუნდი „ტრაბზონსპორს" ხვდებოდა. ემრემ აღიარა, რომ ინგლისურად შეურაცხყოფა მიაყენა ზოკორას, თუმცა რასისტული ამაში არაფერი იყოო. თურქეთის ფეხბურთის ფედერაციამ ამისთვის ემრეს ორი მატჩი გამოატოვინა, მაგრამ ზოკორამ მას სასამართლოში უჩივლა. ემრეს კარიერის განმავლობაში „გალათასარაიში", მილანის „ინტერსა" და „ნიუკასლ იუნაიტედში" უთამაშია. თურქეთის ეროვნულ ნაკრებში მან 89 მატჩში 9 გოლი გაიტანა. ის გუნდის კაპიტანია.

სხვათა შორის, ემრე პირველად არ გამოიჭირეს რასისტულ ქმედებაში - „ნიუკასლში" თამაშისას ინგლისურმა პრესამ მას რასისტობა დასწამა, თავად თურქი კი ამტკიცებდა, რომ არ არის რასისტი, რომ მისი ყველაზე ახლო მეგობარი „ნიუკასლში" ნიგერიელი **ობაფემი მარტინსია**. „ლიგ ტვ"-ის ჩანაწერის მიხედვით, აღდგენილია, რომ ემრემ დიდიე ზოკორას „ფაქინგ ნიგერ" უწოდა.

## მატერაცი ესპანელებს - ინანებთ!

მილანის „ინტერის" ყოფილმა მცველმა **მარკო მატერაციმ** განაცხადა, რომ მადრიდელები **ჟოზე მოურინიოს** დამსახურებას „სამეფო კლუბისადმი" მაშინ მიხვდებიან, როცა პორტუგალიელი გუნდიდან წავა. იტალიელს სჯერა, რომ მოურინიო მეტ პატივისცემას იმსახურებს, ვიდრე ამას „სანტიაგო ბერნაბეუზე" იღებს. *„როცა ჟოზე ესპანეთს დატოვებს, მერე მიხვდება ხალხი, ვინ დაკარგა. მე ეს ზუსტად ვიცი, რადგან იტალიაშიც ანალოგიურად მოხდა. მოურინიოს ხშირად ვესაუბრები და ვიცი როგორი თავგადაკლულია თავის საქმეზე, მისი პრიორიტეტი „რეალისთვის" ჩემპიონთა თასის მე-10-ედ მოგებაა"*, - განუცხადა მატერაციმ „მარკას".

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა

# მესი გადარჩა, გერდ მიულერის რეკორდი?

## ერიკ აბიდალი უკვე მინდორს გაუშინაურდა!



ეპიზოდი, რომელმაც ლეოს მილიონობით ფანი შეაშფოთა

„ბარსელონასა“ და „ბენფიკას“ მატჩს მასპინძლებისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. სწორედ ამიტომაც „კამპ ნოუზე“ 51 ათასი მაყურებელი ძლივს შეიყარა. 58-ე წუთისთვის **ტიტო ვილანოვამ** ვერ გაუძლო ტრიბუნების შეძახილებს და მოედანზე **ლეო მესი** შეუშვა. ერთ ეპიზოდში (მატჩის 85-ე წუთი მიმდინარეობდა) მესიმ ბრწყინვალე პასი მიიღო და მეკარის მოტყუება გადაწყვიტა. **არტურთან** შეჯახებისას არგენტინელი ველარ წამოდგა. თამაში სამი წუთის მერე განახლდა... ოღონდ ლეოს გარეშე.

მოკლედ, „ბარსელონას“ გულშემატკივრები და არა მარტო ისინი, დაიზაფრნენ, თუმცა გუშინ გაირკვა, რომ საშიში არაფერია - მესის ტრავმა არც ისე სერიოზულია. არადა, მოგეხსენებათ, ლეოს ერთი გოლიღა უკლია **გერდ მიულერის** 1972 წლის მიღწევას, 85 ოფიციალურ გოლს. „ბარსას“ მომდევნო თამაში კვირას, „ბეტისთან“ აქვს. ძალზე საეჭვოა, თუმცა მესის თამაში უკვე ამ ტურში გამორიცხული არაა.

ტესტირებამ აჩვენა, რომ მესიმ მარცხენა მუხლის ძვლების კონტუზია მიიღო, ამიტომაც ვერ შეძლო თამაშის გაგრძელება. სტრუქტურული დარღვევა კი არ შეინიშნება.

### ლაზარეთი ცარიელდება

გუშინ „ბარსელონამ“ ვარჯიში განაახლა, გუნდთან ერთადაა 25 წლის არგენტინელიც, ოღონდ ის ჯერჯერობით ტრენაჟორებზე ვარჯიშობს. დღეს ექიმები „ბარსას“ ლიდერს კიდევ ერთხელ შეამოწმებენ.

ზოგადად, კლუბის ლაზარეთი თხელდება და ეს ინფორმაცია ტიტო ვილანოვას ახარებს. ამ კვირაში პირველად შეძლეს გუნდთან ერთად ნორმალურად ვარჯიში **ანდრეს ინიესტამ** და **ხორდი ალბამ**. გუნდს შეუერთდნენ: **მარკ ბარტრა, ალექსის სანჩესი** და **დანი ალვეში**. მინდორზე **ერიკ აბიდალიც** გამოჩნდა!

### რა რეკორდი გააფუჭა!

ტიტო ვილანოვას ბრწყინვალე დებიუტი გამოუვიდა „ბარსელონაში“: 14 ტურში 40 ქულა ლა ლიგის ყველა დროის საუკეთესო რეკორდია, ჩემპიონთა ლიგაშიც კარგა ხნით ადრე გადაწყვიტა ჯგუფიდან გასვლის საკითხი. თუმცა ვილანოვას მოგებით შეეძლო, პსჟ-ს დარად 15 ქულის დაგროვება, „ბარსამ“ კი ეს ვერ მოახერხა. კიდევ ერთი უსიამოვნო რამ - რაც ვილანოვა კატალონიურ გუნდს წვრთნის „ბენფიკასთან“ მატჩი პირველი უგოლო ფრეა.

* ამ ფრემდე „ბარსელონას“ გატანილი ჰქონდა ერთი გოლი მაინც ლა ლიგის 14-ივე მატჩში, ჩემპიონთა ლიგის ხუთივე შეხვედრაში, ესპანეთის თასზე და სუპერთასზე.

* ძმებმა **ალკანტარებმა (ტიაგომ და რაფინიამ)** ერთწლიანი შესვენების შემდეგ პირველად ითამაშეს ერთად პირველ გუნდში.

* **კარლეს პლანიასს** ერთი კვირის წინათ პირველ გუნდში დებიუტი ჰქონდა (თასზე, „ალავესთან“ მატჩში), ახლა მისი დებიუტი ჩემპიონთა ლიგაზე შედგა.

* ლეო მესი შეცვლაზე 34-ჯერ შემოვიდა კატალონიურ კარიერაში.

* **ჩავის** არყოფნაში, მთავარი მეპასეობა ტიაგო ალკანტარამ იტვირთა - 93-დან 83 ზუსტი პასი გააკეთა.

### იცით თუ არა, რომ... გერდ მიულერს ცოტა აკლდა ბარსაში გადასვლამდე

დიახ, ფეხბურთელი, რომლის რეკორდამდეც ლეო მესის სულ რაღაც 1 გოლი რჩება, შეიძლებოდა „ბარსელონას“ ფეხბურთელი გამხდარიყო. 1972-73 წლების სეზონის დასრულების შემდეგ მიულერი „ბარსაში“ გადადიოდა, შემორჩენილია ხელშეკრულების დოკუმენტიც - 30 მილიონი პესეტა და ორი ამხანაგური მატჩი „კამპ ნოუზე“, ასეთი იყო პირობა „ბარსელონასა“ და „ბაიერნს“ შორის. ეს ხელშეკრულება... გერმანიის მთავრობამ პოლიტიკური მოსაზრებით ჩაშალა და „ბარსელონამ“ სხვა ვარსკვლავზე დაიწყო მუშაობა. ის სხვა ვარსკვლავი კი **იოჰან კრუიფი** იყო...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ელვა.ჯი
პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო
www.elva.ge

ჩვენ ვჩუქნით წიგნებს!
ეს წიგნები მაღაზიებში 35 ლარამდე ღირს
იჩქარეთ, მხოლოდ 31 დეკემბრამდე!

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო“ და „პალიტრა მედიის“ კიდევ ერთი გამოცემა და აირჩიეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L“-ის წიგნი ბესტსელერები:

„მოგზაურობათა დიდი ილუსტრირებული ატლასი“
„დავით აღმაშენებელი“ - კონსტანტინე გამსახურდია (2 წიგნად)
„ვეფხისტყაოსანი“ (3 D)




| მედია "პალიტრის" გამოცემები | 1 ეგზ. ფასი | ერთეულის რაოდენობა 1 წლის მანძილზე | 1 წლის ფასი |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1 | 52 | 52 |
| არსენალი | 2 | 26 | 52 |
| ზომონდი | 5 | 12 | 60 |
| გზა | 1 | 52 | 52 |
| და... ქალი | 2 | 12 | 24 |
| ისტორიანი | 2 | 12 | 24 |
| კარიბჭე | 1 | 26 | 26 |
| კარუსელი | 0.80 | 52 | 41.60 |
| ლელო | 0.80 | 312 | 249.60 |
| ლიტ. პალიტრა | 2 | 12 | 24 |
| ოჯახის მკურნალი | 1 | 26 | 26 |
| რეიტინგი | 1.50 | 52 | 78 |
| საბავშვო კარუსელი | 1 | 52 | 52 |
| სიტყვა და საქმე | 1 | 260 | 260 |
| სიტყვა და საქმე (კატალოგი) | 2 | 52 | 104 |
| ყველა სიახლე | 1 | 52 | 52 |
| Georgian Journal | 2 | 52 | 104 |

დაწვრილებით, პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო ელვა.ჯი ტელ.: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76 www.elva.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სპორტი

## კრივი

# ბრინჯაოს დაუჯერდით

სომხეთის დედაქალაქში დღეს დამთავრდება ახალგაზრდა მოკრივეთა მსოფლიოს პირველობა, თუმცა ჩვენი სპორტსმენებისთვის შეჯიბრება გუშინ დასრულდა. 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში **ალექსანდრე დოკვაძემ** ნახევარფინალური პაექრობა შოტლანდიელ სქოთ ანტონი ფორესტთან დათმო - 7:13 (2:3, 2:3, 3:7) და საბოლოოდ იდრის შახმანოვთან (რუსეთი) ერთად ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. ფინალში ჩვენებურის მძლეველ ფორესტს სომეხი ნიკოლ არუტიუნოვი დაუპირისპირდება.




**ვაჟა დანელია**

## ძალოსნობა

# კვარცხლბეკს ვერ შესწვდნენ

ეილათში (ისრაელი) 20-წლამდელ ძალოსანთა ევროპის პირველობაზე გუშინ მედლები ორ წონით კატეგორიაში გათამაშდა. 85 კილოში ჩვენებურთაგან **ზურიკო თავაძემ** მოსინჯა ძალები: პირველსავე ცდაზე მან 145 კილო აიტაცა, მომდევნო ორი ცდა კი გაუცუდდა, სამაგიეროდ, აკვრაში სამივე შანსი გამოიყენა, მაგრამ 181 კილოს ვერ ასცდა. საბოლოოდ 326 კილოგრამით მე-6 ადგილი დაიკავა. 360 კილოგრამით (163+197) კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ბელარუსი ალეხ ხუნაიეუ ავიდა, მეორე-მესამე ადგილები კი, შესაბამისად, მისმა თანამემამულე დმიტრი ჟუკმა (350=158+192) და რუსმა ვიქტორ გეტსმა (346=154+192) გაინაწილეს.

94 კილოში **ვილიამინ ალექსიძემ** იასპარეზა. ქართველმა ათლეტმა 147 კილო კი აიტაცა, მაგრამ ამ მოძრაობაში ორი ცდა წარუმატებელი გამოდგა. ეტყობა, ტრავმა მიიღო, რადგან აკვრისას ფიცარნაგზე არ გამოსულა. საპრიზო ადგილები კი აქ ასე განაწილდა: 1. ზიგმანტას სტანულისი (ლიტვა, 376=168+208), 2. ალექსეი კოსოვი (რუსეთი, 369=172+197), 3. ალექსანდრ ვენსკელი (ბელარუსი, 366=164+202).

ხვალ ქართველ ძალოსანთაგან ფიცარნაგზე მძიმეწონოსანი **ლაშა ტალახაძე** იბრძოლებს მედლებისთვის.

**ვაჟა დანელია**




ზურიკო თავაძე

## აკადემიური ნიჩბოსნობა

# უარის მიზეზი ინვენტარის სიმწირეა

თბილისის ზღვაზე ყოველდღიურად, გარდა კვირისა, ქართველი ნიჩბოსნები იყრიან თავს. მათ შორის ოთხი მოზარდი აკადემიურ ნიჩბოსნობაში იმაღლებს ოსტატობას გამოცდილი სპორტსმენისა და მწვრთნელის - **კახა ელყანიშვილის** ხელმძღვანელობით. იგი საბჭოთა კავშირის პრიზიორია ორადგილიანი ნავით ასპარეზობაში - 1990 წელს კობა კოკოევთან ერთად დაიკავა მესამე ადგილი, ოთხადგილიანი უმესაჭეო გასაშლელი ნავით კი სტამბოლის რეგატაზე მეორე ადგილი. ბრინჯაოს მედლები ერგო დსთ-ის ჩემპიონატსა და მოსკოვის საერთაშორისო რეგატაში. მწვრთნელობას 2008 წლიდან მიჰყო ხელი.



გიორგი ჯიქია

- ორი წლის წინათ იტალიის A რეგატაში, სადაც 18 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, ერთადგილიანი ნავით ჩემმა შეგირდმა გიორგი ბალათურიამ მე-3 ადგილი დაიკავა და უცხოელთა ყურადღებაც მიიპყრო, - გვითხრა კახა ელყანიშვილმა. - სამწუხაროდ, მან მერე მძიმე ტრავმა მიიღო, ფეხზე ორი ოპერაცია გაიკეთა და აქტიურ სპორტს დროებით ჩამოშორდა. სამაგიეროდ, ახლა მყავს კიდევ ერთი ნიჭიერი შეგირდი - 14 წლის გიორგი ჯიქია, რომელიც სხვებისგან აშკარად გამოირჩევა. სულ ექვსი თვის ნავარჯიშები იყო, შარშან მინგეჩაურში აზერბაიჯანის პრეზიდენტის - ალიევის თასის გათამაშებაში, სადაც მასპინძლებთან ერთად რუსეთის, ბელარუსის, ირანისა და თურქეთის წარმომადგენლებიც გამოდიოდნენ, გიორგი ჯიქიამ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, მერე ფოთში შავი ზღვის რეგატა მოიგო. ზაფხულში მინსკის საერთაშორისო ტურნირზე 24 მონაწილეს შორის ფინალში გავიდა, ხოლო ნოემბერში მინგეჩაურის რეგატაზე მიაღწია წარმატებას - ორი წლით უფროს მეტოქეებს აჯობა.

**- ვინმე თუ გეხმარებათ?**

- ცხადია, უპირველესად, ჩვენი ფედერაცია, მაგრამ განსაკუთრებით თბილისის მერიის სპორტის სამსახურის მესვეურთა გულისხმიერება მინდა აღვნიშნო. შარშან მინსკის რეგატის წინ ბელარუსში ერთკვირიანი საწვრთნელი შეკრების ხარჯები აგვინაზღაურეს. გაისად ორი შეჯიბრებისა და ამდენივე შეკრების დაფინანსებას დაგვპირდნენ. თბილისის ზღვაზე ბაზაც ოთხი წლის წინათ მერიისა და ფედერაციის ხელშეწყობით გაიხსნა.

აკადემიურ ნიჩბოსნობაში ვარჯიშის მსურველი ბევრია, მაგრამ ინვენტარის სიმწირის გამო ახალგაზრდებს უარს ვეუბნებით. ინვენტარი ძალიან ძვირი ღირს. საერთაშორისო ფედერაცია 10 ნავს შეგვპირდა მესამედ ფასში, რომელსაც ჩვენი ფედერაცია ზაფხულამდე შეიძენს და მერე აკადემიურ ნიჩბოსნობაში მოვარჯიშეთა რაოდენობაც საგრძნობლად გაიზრდება.

**- სამომავლოდ რას გეგმავთ?**

- მარტში საქართველოს პირველობა ჩატარდება, აპრილში კი ისევ მინგეჩაურში ვართ მიწვეული პრეზიდენტის თასზე. რადგანაც 14-15-წლიანებში მსოფლიოს და ევროპის პირველობები არ ეწყობა, პირადი კონტაქტების მეშვეობით რამდენიმე ქვეყნის რეგატებში ვიასპარეზებთ.

**ვაჟა დანელია**

## ჭადრაკი

# ლიდერობა შეინარჩუნა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში, სადაც საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 70-ე ჩემპიონატის პირველი ლიგის ტურნირი მიმდინარეობს, გუშინ მე-5 ტურის პარტიები გაიმართა. ერთპიროვნულმა ლიდერმა სოფიო გვეტაძემ თეთრი ფიგურებით სოფიო ტერელაძე დაამარცხა და 4,5 ქულით პოზიცია განიმტკიცა.

დაძაბული და შედეგიანი აღმოჩნდა უმაღლესი ეშელონის საგზურებისთვის მებრძოლ სხვა კონკურენტთა პაექრობებიც: ალექსანდრა ვახანია-მაკა ფურცელაძე 0:1, ინგა ხურცილავა-მერი ჟორჟოლიანი 1:0, ანა შამათავა-ანა გავაშელი 1:0, ანა კუჭავა-მარიამ ჭოლაძე 1:0, ნინო ხომერიკი-ნინო გუმბერიძე 0:1. ერთპიროვნულ ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით ხურცილავა, ფურცელაძე და შამათავა ჩამორჩებიან.

დღეს მე-6 ტურში ითამაშებენ: გვეტაძე-ხურცილავა, ფურცელაძე-შამათავა, გავაშელი-კუჭავა, ჟორჟოლიანი-ვახანია, ტერელაძე-ვალიშვილი, გუმბერიძე-ბოკუჩავა.

**ვაჟა დანელია**

## ჭიდაობა

# შური თუ სინანული

### განსხვავება საქართველოსა და მეზობლებს შორის

ჩვენს მეზობელ რუსეთსა და აზერბაიჯანში ჭიდაობა რამდენად განვითარდა, არაერთხელ დაგვიწერია და არ დაგიმალავთ - კეთილი შურითაც, რადგან მათი დონე დღეს ჩვენთვის სანატრელია. თუმცა ეს იქნებ შურზე უფრო მეტად სინანულია, ვინაიდან მათი წარმატებისა კი არ გვშურს, გული იმაზე გვტკივა, რომ ჩვენთან ასეთი პირობები არ არის. ცხადია, მავანი აუცილებლად მოგედავება და გაგვახსენებს ფინანსურად გამყარებულ ყოვლისშემძლე რუსულ-აზერბაიჯანულ ლობის, რასაც არ უარვყოფთ, მაგრამ მათ ლობისტობის გარეშეც ძლიერი ფალავნები ჰყავთ.

მასობრიობა და სპორტული ბაზები - ვფიქრობთ, ესაა მათი წარმატების წინაპირობა. ალბათ, იმის თქმაც თამამად შეიძლება, რომ დღეს ჭიდაობის ცენტრად კავკასია იქცა, რადგან რუსეთში ტონს ჩრდილოკავკასიელები იძლევიან. განსაკუთრებით - თავისუფალ ჭიდაობაში. ჩვენში ჩრდილოკავკასიელებზე ხშირად ამბობენ, რომ ჭიდაობის გარდა მათ სხვა თავის გამოსაჩენი არ აქვთო, თუმცა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად განავითარეს ჭიდაობის არატრადიციული სახეობები - ძიუდო და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, აგრეთვე - სპორტის სხვა სახეობები. ყველას კარგად მოგეხსენებათ, ფეხბურთში რა დონის კლუბებად იქცნენ მახაჩყალის „ანჟი", ვლადიკავკაზის „ალანია", გროზნოს „ტერეკი", ნალჩიკის „სპარტაკი" - როგორც ვხედავთ, თითქმის ყველა იქაურ ავტონომიურ რესპუბლიკას ჰყავს ერთი სოლიდური საფეხბურთო გუნდი, ამასთან ჩრდილოკავკასიელებს უკვე მოეძებნებათ ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები ძიუდოში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, კრივში, ძალოსნობაში, სერიოზულ წარმატებებს აღწევენ მძლეოსნობაში (მართალია, ელენა ისინბაევა დაღესტნელია, მაგრამ ის მაღალი კლასის სპორტსმენად მოსკოვში ჩამოყალიბდა), ტანვარჯიშში, ფარიკაობაში... ამას მასობრიობით და თანხის სწორად დაბანდებით მიაღწიეს. კონკრეტულად ჭიდაობაში ეს მასობრიობა იმდენად დიდია, რომ ჩრდილო კავკასიიდან, დედამიწის ამ პატარა რეგიონიდან გამოსული მოჭიდავეებით ლამის მთელი მსოფლიო გაივსო. თვით აზერბაიჯანსაც ბევრი ჰყავს აქედან გადაყვანილი ათლეტი, უფრო შორეულ ქვეყნებში კი ისინი გამოჩნდნენ კანადაში, შუა აზიის გუნდებში, რომ არაფერი ვთქვათ ევროპაზე. გერმანიაში, ავსტრიაში, საფრანგეთში და სხვაგან უკვე გამოჩნდნენ ბოლო წლების ომების შედეგად ევროპაში გადახვეწილ ემიგრანტთა შვილები. მაგალითად, ასეთი ემიგრანტი იყო ლაფანყურის ოპერაციისას დაღუპული 21 წლის ჩეჩენი **სალამ ზაურბეკოვი** ავსტრიის სამგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში. მისი ოჯახი ჩეჩნეთის მეორე ომისას წავიდა ემიგრაციაში და ავსტრიაში დამკვიდრდა. სალამს წლეულს ევროპის პირველობაზეც უნდა ესასპარეზა, მაგრამ მოსამზადებელი შეკრებიდან გაუჩინარდა და მას შემდეგ ოჯახს აღარ უნახავს, ვიდრე ლაფანყურის ტყეში არ დაიღუპა.

### დაღესტნელთა დალხინება

დღეს საშუალება გვაქვს, მასობრიობა და პირობები რუსეთში წამყვანი საჭიდაო რეგიონის - დაღესტნის მაგალითზე ქართულ რეალობას შევადაროთ და ყველაფერი თვალნათელი გახდება. მოგეხსენებათ, ჩვენთან სპორტსკოლები როგორ შეამცირეს (პრაქტიკულად, გააქრეს), იქაური ჭიდაობის საიტის მიხედვით კი მხოლოდ მახაჩყალასა და ხასავიურტში რამდენიმე ასეთი სპეციალიზებული სასწავლებელია.

მახაჩყალაში ერთ-ერთი ავტორიტეტული და სტაჟიანია უმაღლესი დაოსტატების სკოლა, სადაც 450 ბავშვი ვარჯიშობს. აქ მუშაობს ცნობილი მწვრთნელი **ამირბეკ იუსუპოვი**, რომლის მრავალრიცხოვან აღზრდილს შორის ყველაზე წარმატებული არიან დაღესტნის ნაკრების დღევანდელი მწვრთნელი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ოლიმპიური ბრინჯაოს მედალოსანი **საჯიდ საჯიდოვი**, ევროპის ხუთგზის და მსოფლიოს ჩემპიონი **კურამაგომედ კურამაგომედოვი**, ევროპის ოთხგზის ჩემპიონი და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **მაგომედ აზიზოვი**, ჩვენთვის კარგად ნაცნობი **იუსუპ აბდუსალამოვი** ტაჯიკეთიდან (მას **რევაზ მინდორაშვილმა** პეკინის ოლიმპიადის ფინალი მოუგო) და სხვები. მახაჩყალაში ყველაზე დიდია „დინამოს" ოლიმპიური რეზერვების სპეციალიზებული რესპუბლიკური ბავშვთა საჭიდაო სკოლა, სადაც ერთბაშად 1100 მოზარდი ვარჯიშობს. მას ფილიალები აქვს ქალაქის სხვადასხვა უბანში, ქალაქ ბუგლენსა და ყიზილიურტში. ამ სკოლის აღზრდილები არიან ოლიმპიური ჩემპიონები - **საიპულა აბსაიდოვი, მაგომედ აბუშევი, შირვანი მურადოვი, საგიდ მურთაზალიევი**, ვერცხლის მედალოსნები - **ელმადი ჯაბრაილოვი, ბახტიარ ახმედოვი**, ბრინჯაოს მედალოსანი **მარიდ მუტალიმოვი**, მსოფლიოს ჩემპიონი **ნასრულა ნასრულაევი** და არაერთი ცნობილი ფალავანი. აქაური მწვრთნელებიდან უდავოდ გამოსარჩევია **იმანმურზა ალიევი**, მურთაზალიევის, მურადოვისა და ახმედოვის პირადი აღმზრდელი.




450 ბავშვი ვარჯიშობს გამიდ გამიდოვის სახელობის სკოლაში, რომელიც თავს იწონებს ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონ **მაგომედხან არაცილოვის**, მსოფლიოს ჩემპიონ **რუსლან აშურალიევის** თუ სხვათა მიღწევებით. ჯერჯერობით მთლად ასეთი მყვირალა ვარსკვლავებით ვერ დაიკვეხნის მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ალი ალიევის სახელობის მუნიციპალური სკოლა, რადგან ის 1999 წელს გაიხსნა, თუმცა ასაკობრივ ნაკრებებში უკვე ბევრს მიაღწიეს. საგულისხმოა, რომ აქ 600 ბავშვი ვარჯიშობს, ხოლო სკოლას ფილიალები აქვს დაღესტნის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ერთ-ერთ სკოლა-ინტერნატში და სოფელ ბოგატირიოვკაში ანუ ეს მთელი ქსელია და არა ერთი კონკრეტული წერტილი.

ხასავიურტში ყველაზე დიდია ძმებ ირბაიხანოვების სახელობის ოლიმპიური რეზერვების რესპუბლიკური სპეცსკოლა, სადაც 1400 ბავშვი ეუფლება ჭიდაობის ხელოვნებას. სწორედ აქ გაიზარდა ჩეჩენი ოლიმპიური ჩემპიონი **ჯამალ ოთარსულთანოვი**, რომელმაც მსაჯთა დიდი დახმარებით ლონდონის ოლიმპიადის ფინალში **ვლადიმერ ხინჩეგაშვილს** მოუგო. საინტერესოა, რომ ამ სკოლას ფილიალები აქვს ხასავიურტის რაიონის სხვადასხვა სოფელში, სადაც მათივე აღზრდილი 20 მწვრთნელი მუშაობს ანუ ეს საკმაოდ დიდი ორგანიზაციული სტრუქტურაა.

ეს სკოლა 1998 წელს გახსნეს სახელოვანმა ჩეჩენმა ძმებმა, ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონებმა **ადამ და ბუვაისა საიტიევებმა**. მას თავიანთი პირველი მწვრთნელის, მსოფლიოს ჩემპიონ ისაკ ირბაიხანოვის სახელი უწოდეს, მოგვიანებით კი იქაურობას გამოეყვნენ და საკუთარი სკოლა დააარსეს. როგორც შარშან თბილისში სტუმრად მყოფმა სამგზის ოლიმპიურმა და ექვსგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ბუვაისა საიტიევმა გვითხრა, იქ 400-მდე ბავშვი ვარჯიშობს. ჯერ დიდი წარმატებები არც ამ სკოლას

>> მე-11 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ქართულ ჩოგბურთს მეტრეველი-უმცროსი უთავკაცებს

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა გაიმართა. განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ ფედერაციის პრეზიდენტმა **ლეილა მესხმა**




ილაპარაკა, რომელმაც აღნიშნა, რომ ქალთა ჩოგბურთში სერიოზული წინსვლაა, რასაც **ანა ტატიშვილის** მსოფლიო რეიტინგის საუკეთესო ასეულის 51-ე საფეხურზე დამკვიდრებაც მოწმობს. აღსანიშნავია ისიც, რომ ანამ, რომელსაც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი 130 ათასი ლარით დაეხმარა, ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საგზური თავად მოიპოვა. ფედერაციის პრეზიდენტის უშუალო მცდელობით საქართველოსთვის გამოყოფილი მეორე ლიცენზია **მაკა ჩახნაშვილს** ერგო. ბრიტანეთის დედაქალაქში მან წყვილებში ანასთან ერთად იასპარეზა. ითქვა ჩოგბურთელ ქალთა ნაკრების საერთაშორისო ფედერაციის თასზე წარმატებით გამოსვლაზეც. ცხადია, იმავეს ვერ ვიტყვით ვაჟთა ჩოგბურთზე, დიდი ჩავარდნაა დევისის თასზე. მომხსენებელი საქართველოში ჩატარებულ ქალ-ვაჟთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირებსაც შეეხო.

მოხსენების გარშემო გამართული კამათის შემდეგ გაიმართა არჩევნები, პრეზიდენტობაზე კენჭს იყრიდნენ ლეილა მესხი და სახელოვანი ჩოგბურთელის - ალექსანდრე მეტრეველის ვაჟი **ალექსანდრე მეტრეველი**-უმცროსი. 57 დელეგატიდან 33-მა ხმა მეტრეველს მისცა, 22-მა - მესხს, ორი ბიულეტენი გაბათილდა.

**ალექსანდრე მეტრეველი:** დღევანდელ ქართულ ჩოგბურთში ბევრი პრობლემაა. ჩამოსაყალიბებელია სხვადასხვა ასაკში ნაკრები გუნდები, გასაძლიერებელია კლუბები, მისახედია ჩოგბურთი რეგიონებში, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია. დამოუკიდებლად არაფრს გავაკეთებ, ძლიერი გუნდით მოვდივარ და ყველაფერს ერთობლივად გადავწყვეტთ.

**ლეილა მესხი:** მეტრეველების ოჯახს გამარჯვებას ვულოცავ. ქართულ ჩოგბურთს 17 წელიწადი ვხელმძღვანელობდი და ამ ხნის განმავლობაში ფედერაციას საკუთარი სახსრებით ვინახავდი. საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხების მიუხედავად, ჩოგბურთში ვრჩები. თბილისში უდიდესი ბაზა მაქვს. უწინდებურად განვაგრძობ ტურნირების ჩატარებას. მზად ვარ, დავეხმარო ახლადარჩეულ ფედერაციას, რადგან ჩოგბურთი ჩემი ცხოვრებაა. გვერდით დავუდგები ყველა იმ ადამიანს, ვინც სპორტის ამ სახეობისთვის იზრუნებს.

**ირაკლი დოლაბერიძე**, სპორტის დეპარტამენტის უფროსი: არჩევნები ცივილიზებულად კონკურენტულ გარემოში გაიმართა. სასიამოვნოა, რომ ორივე მხარემ საერთო ენა გამონახა. ეს ხელს შეუწყობს ჩვენთან ჩოგბურთში არსებული ყველა პრობლემის დროულად გადაჭრას. უპირველესად ბაზებია მისახედი. მესმის, ძვირადღირებული სპორტია, მაგრამ ყველაფერი უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ იგი ყველა მსურველისთვის ხელმისაწვდომი გახდეს, რათა ნიჭიერი ბავშვები არ დავკარგოთ. ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა, ვფიქრობ, ამას შეძლებს.

**ვაჟა დანელია**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*

# ფავორიტი წინ მიიწევს

ანტალიაში ჩოგბურთელ ქალ-ვაჟთა საერთაშორისო ტურნირებზე (თითოეულის საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) მორიგი შეხვედრები გაიმართა. მამაკაცთა ასპარეზობის რეიტინგფავორიტმა **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** მეორე წრეში იორის დე ლოორეს სძლია - 6:4, 7:6 და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც მე-5 ნომრად განთესილ ესპანელს - გილერმო ოლასოს დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა გუშინ ბელგიელი ჟულიენ დუბაილი ჩამოიშორა გზიდან - 6:4, 6:2.

ქალთა ტურნირში თბილისელი **სოფიო ქვაცაბაია,** რომელიც მე-7 ნომრად იყო განთესილი, პირველ წრეს ვერ გასცდა: სტარტზევე ხორვატ ტენა ლუკასთან დამარცხდა - 1:6, 1:6.

**ვაჟა დანელია**

« მე-10 გვერდიდან

მოუპოვებია, მაგრამ ასაკობრივ ტურნირებში აქვთ მიღწევები. მაგალითად, ამას წინათ მათ საკმაო რაოდენობის მედლები მოიპოვეს აბდუსალამოვის სახელობის ტურნირში მშობლიური საქართველოს მოსაზღვრე ბოთლიხის რაიონში. 1000 მოზარდია გაერთიანებული 2000 წელს გახსნილ სპეციალიზებულ სკოლაში, რომელსაც 2006 წლიდან ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ **მავლეტ ბატიროვის** სახელი ენოდა. მოსწავლეთა რაოდენობით ბევრად პატარაა 2001 წელს გახსნილი ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელი, თუმცა მისი აღზრდილია სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი, ლონდონში **დავით მოძმანაშვილთან** დამარცხებული ყაბარდოელი **ბილიალ მახოვი**. აქვე მუშაობს მისი პირადი მწვრთნელი და რუსეთის ნაკრების დღევანდელი თავკაცი **მაგომედ ჰუსეინოვიც**.

### საქართველოს გაჭირვება

აი, ასეთია მდგომარეობა დაღესტანში, თუმცა გავითვალისწინოთ, რომ აქ ჩამოთვლილი არ არის ცალკეულ სოფლებში, უმაღლეს სასწავლებლებში თუ სხვა ორგანიზაციებში არსებული დარბაზები. აქ ლაპარაკია მხოლოდ სპეციალიზებულ სასწავლებლებსა და გავითვალისწინოთ, რომ ასეთ ცენტრებში სამეცნიერო კვლევაც მიმდინარეობს. ჩამონათვალში არაა არც მსოფლიოს ჩემპიონ **იური შახმურადოვის** სასწავლებელი. არადა, მან წლების განმავლობაში მოჭიდავეებზე დაკვირვებით, ექსპერიმენტებით ფიზმომზადების თუ ფუნქციონალური ვარჯიშის მთელი სკოლა შექმნა. საერთოდ, ჩრდილოკავკასიელები ამ მხრივ ძალიან წინ წავიდნენ.

თუმცა თავი დავანებოთ ფიზმომზადებას და მასობრიობა-ბაზების მხრივ ჩვენთან სავალალო მდგომარეობაა. როგორც საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში გვითხრეს, დღეს მთელ ქვეყანაში 4000-მდე ათლეტი ვარჯიშობს - პატარებიდან დაწყებული, უფროსებით დამთავრებული, იქ კი, როგორც ხედავთ, ამდენი 4-ოდე დარბაზშია! თუმცა ეს ციფრი ბოლო წლებში გამოსწორდა, თორემ წინა პერიოდის გაჭირვების ჟამს მოვარჯიშეთა რაოდენობა 1500-მდე დაეცა!

კატასტროფული მდგომარეობაა ბაზების მხრივაც. ასევე ფედერაციის ცნობით, თბილისში 4 სპეციალიზებული დარბაზია (თუმცა ამათი უმეტესობა სპორტკომპლექსია ანუ იქ სხვა სახეობების წარმომადგენლებიც ვარჯიშობენ), ამათ თუ იმ სკოლებსაც დავუმატებთ, სადაც ჭიდაობაში ავარჯიშებენ, 10-მდე ავალთ, მაგრამ არც ესაა დიდი ბედენა. რეგიონებში ცოტა გამოსწორდა ვითარება და ერთი დარბაზი მაინცაა, მაგრამ მაინც არასაკმარისია და ყოველი მათგანი გადატვირთულია. ჩვენ რამდენჯერმე დავწერეთ გორის დარბაზის პრობლემაზე, სადაც ოლიმპიური ნაკრების ნახევარი ვარჯიშობს, მაგრამ აშკარად მცირე ფართობია; დავით მოძმანაშვილის ტრავმაზე, რომელიც ასევე ხალხმრავლობამ განაპირობა... სპეციალისტთა ერთი ნაწილის აზრიც დავწერეთ, ჩვენები ილეთებს ამ გადაჭედილი ატმოსფეროს გამო ვერ აკეთებენო. როცა უმცროს ასაკში ვერ ეჩვევიან ამას, მერე ვერც დიდობაში ასრულებენო... იქნებ ეს საკამათო მოსაზრებაა, მაგრამ არცთუ უსაფუძვლო. მთავარი უბედურება ისაა, რომ ასეთ პირობებში მასობრიობა ვერ განვითარდება, უამისოდ კი არც ამოსარჩევი გვეყოლება ბევრი. იმავე ჩრდილო კავკასიაში ამ მასობრიობით იმდენი ნიჭიერი ფალავანი ჩნდება, იქაურობა მათ ვერ იტევს და ისინიც ადიდებულ მდინარესავით მიედინებიან მთელ მსოფლიოში. ჩვენგან განსხვავებით, იქ ლამის ყოველ სოფელშია დარბაზი, სადაც თითქმის ყოველკვირეულად ეწყობა შეჯიბრებები. ჩვენებისგან განსხვავებით, იქაური მოზარდებისთვის ეს დიდი მიღწევაა. მაგალითად, ბერძნულ-რომაულში ინგუშმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ასლანბეკ ხუშტოვმა** მასზე გადაღებულ ფილმში თავისი სოფლის დარბაზში განაცხადა, აქ არასოდეს არაფერი მომიგია, მედალიც კი არ მომიპოვებიაო. ყურადღება მიაქციეთ იმას, ზემოჩამოთვლილი სკოლებიდან რამდენია ბოლო წლებში გახსნილი! ჩვენთან ამ მხრივაც სრული ყამირია.

### აზერბაიჯანული სასწაული

დაღესტნელთა მაგალითი გაგიკვირდებათ და მოვუსმინოთ, რას ამბობს აზერბაიჯანში სამუშაოდ გადასული იქაური მწვრთნელი **სირაზუდინ ელდაროვი** ამ ქვეყნის მოჭიდავეთა წარმატებაზე: *„გინახავთ სადმე დარბაზი, სადაც 14 საჭიდაო ხალიჩაა გაშლილი? მე მაგალითად, ისეთი საჭიდაო ცენტრი, როგორიც ბაქოშია, არსად მინახავს. იქ თანამედროვედ აღჭურვილი ტრენაჟორების ცენტრია, მოჭიდავეები ფიზიკურად ემზადებიან სპეციალურად გერმანიიდან მოწვეული ფიზმომზადების მწვრთნელის მეთვალყურეობით. ცენტრის ახლოსაა 6-სართულიანი სასტუმრო საგანგებოდ მოჭიდავეებისთვის, სადაც მშვენიერი კვება და წყნარი ნომრებია ტელევიზორითა და ინტერნეტით. შეკრებებზე ფალავნები დადიან გაბალში, კუსარსა და სხვა ქალაქებში, სადაც ასევე ჩინებული პირობებია სავარჯიშოდ, დასვენებისა და ძალების აღდგენისთვის. პლუს - სუფთა ჰაერი და ლამაზი ბუნება. აზერბაიჯანელ ფალავნებს არ აქვს შეჯიბრებებისა და ტურნირებზე წასვლის პრობლემა. ამიტომაც აღწევენ წარმატებებს ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე. იქაურებს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ხელფას-სტიპენდიები აქვთ“.*

მათ თავისი ღმერთმა მოახმაროთ, მაგრამ ჩვენ როდის მივალთ ამ დონეზე?

**ირაკლი თავაძე**

„...აჯობებს, თუ გამორჩევით მქნელია“. გამოხმაურება

# ვინ როგორ ფიქრობს...

**გასულ კვირაში „ლელოს“ ახალი რუბრიკა: „...აჯობებს, თუ გამორჩევით მქნელია“ სწავლისა და სპორტის შეთავსება-შეუთავსებლობას დაეთმო. კვირის ბოლოს თემა შევაჯამეთ და იქვე ამ კვირისთვის განსახილველად ახალი შემოგთავაზეთ - “ბავშვთა ფეხბურთი”. თქვენი აზრისა და წინადადებების რედაქციაში მოსაწოდებლად გამოიყენეთ “ლელოს” ბოლო გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული საკონტაქტო საშუალებები. გთავაზობთ გამოხმაურების მეხუთე ბლოკს.**

■ ■ ■

უეფა ბოლო წლებში დიდ ყურადღებას უთმობს ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას ცალკეულ ქვეყნებში. ეროვნულმა ფედერაციებმა მიიღეს უეფასგან რეკომენდაცია, შექმნან ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მუნიციპალური საფეხბურთო სკოლები. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ეს თხოვნა დაიყვანა ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებამდე და ბევრგან პროგრამა ამოქმედდა კიდეც. ჩვენთან, მცხეთაში, კომპლექსურ სპორტულ სკოლას გამოეყო ფეხბურთი და შეიქმნა მცხეთის მუნიციპალური ბავშვთა საფეხბურთო სკოლა, რომლის ჯგუფები მცხეთის გარდა მუშაობენ მუხრანში, წილკანში, გლდანში, ძეგვში, საგურამოში. უკვე 450 მოზარდი მეცადინეობს 5 ასაკობრივ ჯგუფში. ამჟამად სკოლების პროგრამის რეალიზებაზე მუშაობენ დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტები. ყოველ სკოლას წელიწადში უეფა ხსენებული პროგრამით გამოუყოფს 10 ათასი ევროს ღირებულების ინვენტარს, რაც დიდი შეღავათია. საქართველოში სკოლები უკვე ამუშავდნენ სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონებშიც.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად მხარში გვიდგანან საერთაშორისო საზოგადოება „ბავშვთა ღია ფეხბურთის სკოლების“ რეგიონული ორგანიზაცია, რომლის ოფისი თბილისშია განთავსებული და სპორტის ცნობილი მუშაკი ვალერი ჩოლარია თავკაცობს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კონფლიქტურ რეგიონებს. ცალკე ტარდება ასაკობრივი შეჯიბრებები აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან დევნილი ოჯახების ბავშვებისთვის.

**ვიტალი ბრძელიშვილი**
მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი

■ ■ ■

ვაკვირდები და იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ბავშვთა ფეხბურთში მწვრთნელად მუშაობა ყველას ეადვილება. ეს მგონი, მხოლოდ ჩვენი მინუსი არ არის თორემ ფეხბურთის საერთაშორისო მმართველი ორგანოები მწვრთნელთა ლიცენზირების წესს არ შემოიღებდნენ. რამდენადაც ვიცი, ბავშვთა ფეხბურთში მუშაობის მსურველ მწვრთნელებს ჩვენთანაც ამზადებენ და ლიცენზიას ოფიციალურად აძლევენ. ეს უკვე საქმეა, წინგადადგმული პროგრესული ნაბიჯია.

**ბესო მუმლაძე**
ჭიათურა

■ ■ ■

არ ვიცი უმაღლესი და პირველი ლიგის საფეხბურთო კლუბებს ჰყავთ თუ არა ბავშვთა გუნდები. თუ არ ჰყავთ, ძალიან ცუდია. გორში მაგალითად, ასეთი გუნდები არის და იქ ნიჭიერი ფეხბურთელებიც იზრდებიან. ადგილობრივმა არაერთმა გორელმა მოზარდმა დაიკავა ადგილი მთავარ გუნდში. შიდაქართლელები ამას კარგად ხედავენ და ამიტომ არის, რომ მათ სურთ ბევრი თავისიანი იხილონ მოედანზე და არა ლეგიონერები. ცხადია არც ულეგიონერობა იქნება, მაგრამ ამას გაგებით მოეკიდება გულშემატკივარი თუ დარწმუნებული იქნება, რომ უყურადღებოდ არც ადგილობრივი ბიჭები რჩებიან.

**გია ტარუაშვილი**
გორი

ჩვენებურები



# 18 წლის აფრიკელი ქართველი

**ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენი, 18 წლის მორაგბე ზალიკო რუხაძე რამდენიმე კვირაა თბილისშია. იგი აფრიკაში იანვრის შუა რიცხვებში დაბრუნდება, როცა არდადეგები დაუმთავრდება. მანამდე კი ამ ინტერვიუს შემოგთავაზებთ.**

**– როდის დაიწყე რაგბის თამაში?**

– 10 წლიდან, უკვე 8 წელიწადია, ვთამაშობ. თამაში თსუ-ში დავიწყე, მერე გაიყო ასაკობრივი ჯგუფები და ჩვენს გუნდს „შევარდენი“ დაერქვა. 3 წელიწადი „ჯიქების“ სახელით გამოვდიოდი და საქართველოს ასაკობრივ ჩემპიონატში ვთამაშობდი.

**– და, როგორც გავიგე, მეგობრის დახმარებით აფრიკაში წახვედი, რაც იგივეა, ქართველი კალათბურთელი რომ ნბა-სკენ მიილტვის, აფრიკა ხომ რაგბის ქვეყანაა.**

– ამიტომაც გამიწია გულმა აფრიკისკენ. ჩემი მეგობარი სწავლობდა იქ, შარკის რაგბის აკადემიაში და მან დამაკავშირა იქაურ აგენტებთან, მწვრთნელებთან. ამ აკადემიაში სწავლა იმანაც განაპირობა, რომ რა პოზიციაზეც მინდოდა თამაში, იმ პოზიციაზე საუკეთესო მოთამაშეები ამ სასწავლებლიდან გამოდიან.

**– რა პოზიციაზე თამაშობ?**

– ქართულად ამ პოზიციას კვაჭი ჰქვია, ინგლისურად – ჰუკერი, 2 ნომერია.

**– ესე იგი, აქ ვერ იკვაჭე და იმიტომაც წახვედი აფრიკაში?**

– დიახ, აქ ვერა, აფრიკაში კი ვიკვაჭე.

**– იმ აკადემიაში ზოგადსაგანმანათლებლო სწავლება რა დონეზეა?**

– იქ მხოლოდ რაგბის ასწავლიან, თეორიულადაც და პრაქტიკულადაც, პროფესიონალ მორაგბეებს ზრდიან.

**– როგორ, ზოგად განათლებასაც არ იღებ? 18 წლის ბიჭისთვის რამდენად მისაღებია ეს?**

– სტადიონიდან წასული ადამიანი პირდაპირ ოფისში ვერ დაჯდება, ამიტომ ჩემი არჩევანია, მთლიანად რაგბის მივუძღვნა თავი, თუნდაც რაგბის მენეჯმენტი რომ შევისწავლო ან სპორტის ექიმი რომ გავხდე.

**– ამას როგორ მოახერხებ?**

– რომ ჩავედი, ენის პრობლემები მქონდა, ამიტომ წლეულს არ ამიღია სასწავლო პროგრამა, ახლა 19 იანვარს მივდივარ და უკვე ავიღებ.

**– ამერიკაში ცხოვრობს ჩვენი ნაკრების მძლეოსანი გოგონა და მას რომ აკადემიური მოსწრება არ ჰქონდეს, კოლეჯში ვინ გააჩერებდა და სპორტს ვინ გააკარებდა?! აფრიკაში როგორ არის ამ მხრივ საქმე?**

» მე-12 გვერდზე

## ქართული სპორტი

« მე-11 გვერდიდან

– ეს სხვა ქვეყნებშიც ასეა, ჩვენთან კი მთავარი პრიორიტეტი რაგბია. ჩვენთან მთავარია, ძლიერი იყო შენს საქმეში, რაგბიში, და თუ დამატებით განათლებასაც მიიღებ, ეს შენი პლუსია, მაგრამ ამაზე ძალიან დიდი მოთხოვნა არ არის.

**– რა სახსრებით ცხოვრობ?**

– მე მყავდა სპონსორი და პირველი წელიწადი მან დამიფინანსა, ახლა კი 70-პროცენტიანი დაფინანსება ავიღე აკადემიიდან და მარტო საკვები და ყოველდღიური სახარჯო მექნება გადასახდელი. ბინა უფასო მაქვს, ისინი ორჯერ გვაჭმევენ, მე კი დღეში 6-7-ჯერ მაინც უნდა ვჭამო.

**– ჩახვედი აფრიკაში და...**

– მათთან ერთად დავიწყე მოსამზადებელი ვარჯიში, ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ 4 თვეში მოვიმატე 30 კილო, კვირაში ორჯერ გავდივართ სამედიცინო შემოწმებას.

**– ესე იგი, პერსპექტივა დაინახეს შენში.**

– ალბათ. მათთვის ყველაზე მომხიბვლელი ის იყო, რომ 17 წლის ბიჭი წავედი მარტო ამხელა გზაზე და ვცდილობდი რაღაცის დამტკიცებას. სამი ლიგა ვითამაშე – 19, 20 და 21 წლამდე ასაკის ლიგა, ვთამაშობდი ძირითად შემადგენლობაში, 70-80 წუთს და მოვიგე სამივე ლიგა.

**– ანუ კიდევ ორი წელიწადი შეგიძლია ასაკობრივებში ითამაშო...**

– დიახ, ეს ჩემზეა დამოკიდებული. წლეულს ასეთი გეგმა მაქვს, რომ თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, შევეცდები რამდენიმეჯერ მაინც ვითამაშო უმაღლეს ლიგაში.

**– მოგცემენ ამის საშუალებას?**

– მომცემენ, მაგრამ არა 80 წუთს, ალბათ 35-40 წუთს დამითმობენ სათამაშო დროს.

**– რამდენი უცხოელი ხართ?**

– მარტო მე ვარ უცხოელი.

**– შენი მეგობარი?**

– ერთი წლის მერე წამოვიდა იქიდან, ძალიან ძნელი იყო მისთვის ასეთ პირობებში ცხოვრება.

**– რა პირობებია ასეთი?**

– თუნდაც ის, რომ 10 თვე მოწყვეტილი ხარ ოჯახს, აბსოლუტურად ყველაფერს.

**– მერე, შენთვის არ არის ეს მძიმე?**

– არა, მე თავიდანვე დავისახე მიზნად, რომ მივაღწიო საწადელს და სხვა პრიორიტეტები წამოვწიე წინა პლანზე.

**– შენ იქ მოძლიერდები, დავაჟკაცდები და შეიძლება საქართველოს ნაკრებშიც მიგიწვიონ. ჩამოხვალ?**

– რა თქმა უნდა! მე ხომ აფრიკის მოქალაქეობას არ ვიღებ. უპრობლემოდ გამომიშვებენ. ასაკობრივ ნაკრებში რომ გამომიძახონ, შეიძლება დაფიქრდნენ, რადგან ასაკობრივებში ტრავმის მიღების საშიშროება დიდია. ეროვნულ ნაკრებში კი უპრობლემოდ გამომიშვებენ.

**– მაგრამ შენი მომზადების დონის მიხედვით, ალბათ ასაკობრივები არც გამოგიძახებენ, უფრო დიდების ნაკრების მწვრთნელები დაინტერესდებიან შენით.**

– 2015 წელს უკვე 21 წლის ვიქნები და დიდი სურვილი მაქვს იმ წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვითამაშო ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში.

**– ჩვენი და აფრიკული რაგბის დონეს როგორ შეაფასებ?**

– ეს არის ცა და დედამიწა. აფრიკის ჩვეულებრივი სკოლის მოსწავლეები ტურისტებად იყვნენ ჩამოსული თბილისში და ეთამაშნენ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს, ჩამოსვლიდან მესამე დღეს წააგეს, მაგრამ მეორე შეხვედრაში დიდი ანგარიშით მოუგეს. აფრიკაში რაგბი სარწმუნოების დონეზეა აყვანილი, ისევე, როგორც ბრაზილიაში ფეხბურთი.

**– დავუშვათ, აფრიკამ შემოგთავაზა თავის ნაკრებში თამაში...**

– აფრიკა ვერ შემომთავაზებს, მაგრამ იქ არის ქალაქების ნაკრებები და იქ შეიძლება თამაში. 19 წლამდე ნაკრებში მაქვს კიდეც შემოთავაზება, მაგრამ მე რომ იქ დავრჩე მთავარ ნაკრებში, აუცილებლად უნდა მოვიყვანო იქაური ცოლი და მივიღო აფრიკის მოქალაქეობა.

**– რასაც ნამდვილად არ გირჩევ. კონტრაქტს არ გიფორმებენ?**

– არა, კონტრაქტი რომ გამიფორმონ, ასპროცენტიანი დაფინანსება უნდა მომცენ, რაც იქაურ თეთრკანიანებსაც ნაკლებად აქვთ. აი, თუ შავკანიანი ხარ, რა დონის მოთამაშეც უნდა იყო, მაინც გიფორმებენ კონტრაქტს და მთლიანად გაფინანსებენ. რა არის იცით, კიდევ საინტერესო? ასეთი რამ მითხრეს: ჩვენ ვარსკვლავები გვჭირდება, მაგრამ არა მხოლოდ მოთამაშე ვარსკვლავი, ყველაფრით ვარსკვლავი უნდა იყო, ცნობადი სახე უნდა გახდე, ფიზიკურად, გარეგნულად ვარსკვლავი უნდა იყო. იმაზე, რომ რაგბიში ძალიან მაგარი იყო, არ ვსაუბრობთ, ეს თავისთავადი. ანუ, თუ ჩვენს ნაკრებში გინდა თამაში, ეს მოთხოვნები უნდა შეასრულო.

**– კი მაგრამ, 18 წლის ბიჭი როგორ იქნები ცნობადი სახე?**

– საქმე ისაა, რომ თუ ორი თანაბარი ძალის მოთამაშეა, მაგრამ ის, თავისი „დამატებითი" ვარსკვლავობით გაყიდის 5 ბილეთს და შენ მხოლოდ ერთს ან ორს, მწვრთნელი უპირატესობას იმას მიანიჭებს. ჩვენ გვინდა შოუ, რომ მოვიდეს ხალხი, რაც ნიშნავს ახალ ინვესტიციებს, თანხას, მოკლედ რომ ვთქვა, ეს მათი ბიზნესია და არა მხოლოდ სპორტი.

**– და შენ წახვედი ამაზე.**

– დიახ, წავედი და ვეცდები ყოველმხრივ ვარსკვლაობას.

**– ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მაგრამ ამ შოუმ ძალიანაც არ ჩაგითრიოს.**

– ვეცდები...

**დავით ჭელიძე**



ზალიკო რუხაძე (ბურთით)

### განცხადება

2012 წლის 10 დეკემბერს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში ჩატარდება საქართველოს ტაეკვანდოს ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა. დღის წესრიგშია პრეზიდენტისა და გამგეობის წევრების არჩევნები. დასაწყისი 11 საათზე.

**ტაეკვანდოს ფედერაცია**

---

*თავისუფალი ჭიდაობა. ინტერვიუ ნუგზარ სხირელთან*

# თაობები მიდიან, მედლები რჩება

*ახლახან დასრულებულ საქართველოს ჩემპიონატზე თავისუფალ ჭიდაობაში ჩვეული წარმატებით გამოვიდა გორის გუნდი, სამი კი ჩემპიონი გახდა. ოთარ თუშიშვილის და გიორგი გოგშელიძის კარიერის დასასრულიდან გამომდინარე საინტერესოა, რომ რაოდენობრივად ეროვნულ ნაკრებში, წონითი კატეგორიის ლიდერი გორელების რიცხვი არ შეიცვლება. ადრინდელისაგან განსხვავება კი ისაა, რომ სხირელის შეგირდთაგან ორი ჩემპიონი (ხაბალაშვილი, პეტრიაშვილი) ახალია, ერთი (ხინჩაგაშვილი) კი ახალ წონაში გადასვლის მერეც საუკეთესოდ დარჩა. ჩემპიონატში გორელი ფალავნების მორიგი წარმატებული ასპარეზობის შეფასება მათ მთავარ მწვრთნელს ნუგზარ სხირელს ვთხოვეთ.*



ნუგზარ სხირელი

**— ბატონო ნუგზარ, დავიწყოთ 18 წლის გენო პეტრიაშვილის (120 კგ) ტრიუმფით. სპეციალისტებმა და ჟურნალისტებმა მისი გამოსვლა შეჯიბრების კულმინაციად შეაფასეს.**

— გენოს მრავალი წარმატება აქვს მოპოვებული ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში. უფროსებში საქართველოს ჩემპიონატშიც მხოლოდ კვარცხლბეკზე ასვლას ვუგეგმავდით. როგორც მოსალოდნელი იყო, იგი განთესილი არ ყოფილა, საპირისპირო ჯგუფებში კი იყვნენ წონის უდავო ფავორიტები მოძმანაშვილი და საკანდელიძე. მოქმედ ოლიმპიურ პრიზიორ მოძმანაშვილთან ნახევარფინალში გენოს გამარჯვებაში გარკვეული როლი შეასრულა სამივე პერიოდში წილისყრის დროს ორჯერ მის სასარგებლოდ დამჯდარმა ბურთულამაც. მაგრამ ოლიმპიადის პრიზიორთან 18 წლის ჭაბუკის ტოლ-სწორად პაექრობა უბრალო საქმეა? მოძმანაშვილი ძალიან ძლიერი სპორტსმენია, თუმცა ჩვენ მის წინააღმდეგ სწორი ტაქტიკა შევარჩიეთ. კიდევ უფრო დამაჯერებელი იყო პეტრიაშვილის გამარჯვება საკანდელიძესთან. ეს დაპირისპირება ალბათ ყველას მოეწონა, ორივე ფალავანმა შემტევ სტილში, ლაღად ისასპარეზა და პეტრიაშვილმა ასეთ სანახაობრივ დაავში იმარჯვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მესამე პერიოდში მისი საოცარი მობილიზება და უწყვეტი იერიშები. როდესაც უკანაა მოტოვებული მთელი მარათონი, მათ შორის მოძმანაშვილთან უმძიმესი ბრძოლა, გენო მაინც დაუღალავად ირჯებოდა! მინდა საკანდელიძის ღირსეული საქციელის გამო პატივისცემა ერთხელაც გამოვხატო. მძიმე წონაში დაჯილდოებისას, მოულოდნელი მარცხით გამოწვეული გულისტკივილის მიუხედავად, გიორგიმ გულწრფელად მომილოცა ჩემი შეგირდის წარმატება. სხვათა შორის, ახალგაზრდული ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატისათვის მოსამზადებელ შეკრებაზე ვარიანში, გენო პეტრიაშვილის მზადყოფნის შემოწმება რომ მინდოდა, მასთან სასპარინგოდ რამდენიმე მძიმე წონის წარმომადგენელ მოჭიდავეს ვთხოვე ერთი დღით ჩამოსულიყვნენ შეკრებაზე და პირველი, ვინც მყისვე დამთანხმდა და ადგილზე ყოველმხრივ დაგვეხმარა, სწორედ საკანდელიძე გახლდათ.

**— პეტრიაშვილის გამორჩეულ თვისებებზე რას გვეტყვით?**

— გენომ საქართველოს ჩემპიონატზეც თვალნათლივ გვაჩვენა, რომ უშიშარია, ორთაბრძოლისას სუნთქვა შესანიშნავად აქვს დაბალანსებული. შეხვედრის წინ მიცემული დარიგების მიხედვით ჭიდაობს და უშუალოდ პაექრობისასაც მწვრთნელის ლეიბის მიღმიდან მითითება იდეალურად გადააქვს ხალიჩაზე. გორში, მოგეხსენებათ, მძიმე წონაში მწირი კონკურენციაა და პეტრიაშვილიც კვირაში ერთხელ თბილისში ჩამყავდა, უფრო ძლიერ სპარინგ-პარტნიორებთან სავარჯიშოდ. ახლანდელ წარმატებაში კარგი შედეგი ამის გავლენითაც მივიღეთ.

**— კოტე ხაბალაშვილის ჩემპიონობაც მოულოდნელი ხომ არ ყოფილა?**

— არანაირად. კოტეზე ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ. მას წლეულს ახალგაზრდებში კარგი სეზონი ჰქონდა, რომელიც უცხოეთში მსოფლიოს ჩემპიონატზე მოპოვებული ვერცხლის მედლით დააგვირგვინა, შინ კი დიდებში მოგებული ოქროთი. არც ხაბალაშვილის ფინალში გამარჯვება ყოფილა მოულოდნელი იაკობაშვილთან, ვინაიდან ისინი ერთმანეთს რამდენჯერმე შეხვდნენ და გორელ ფალავანს ზედმიწევნით დადებითი ბალანსი აქვს კონკურენტთან.

**— ლადო ხინჩეგაშვილი 60 კგ-შიც ჩემპიონი გახდა, მაგრამ გაუჭირდა. ცოტა ხომ არ გაუგრძელდა ადაპტაციის პერიოდი?**

— ახალ წონაში ადაპტაცია ლადოსნაირი სპორტსმენისთვისაც არ არის იოლი. საინტერესოა, რომ ამ ჩემპიონატზე ხინჩეგაშვილი 59,7 კგ-ით ასპარეზობდა, ანუ თავის წონაში ალბათ ყველაზე მსუბუქი იყო. ხინჩეგაშვილი-ლომთაძის ფინალური დაპირისპირება მართლაც დაძაბული გამოდგა, თუმცა ლადომ მაინც თავისი გაიტანა, სხვათა შორის, მესამე პერიოდში მოწინააღმდეგე უკიდურესად პასიური სტილით ჭიდაობდა, ხინჩეგაშვილი კი შეუპოვრად უტევდა და შეხვედრის ბოლო წამებზე შეასრულა მომგებიანი ქულა. მიუხედავად ყველაფრისა, იგი ახალ წონაში ისევ ის ძველი ლადოა, თავისი საჭიდაო სტილის მკვეთრად გამოხატული დადებითი მხარეებით.

**— 84 კგ-ში ვერცხლის მედალი ერგო კიდევ ერთ გორელს ნოდარ ეგაძეს, რომელიც აქამდე უცნობი იყო.**

— ეგაძეს ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში წარმატება არ ჰქონია. დიდებში იგი ახალი გადასულია და მოულოდნელად, მაგრამ დამსახურებულად გახდა ფინალისტი. მანამდე ოთხი მოწინააღმდეგე ჩამოიტოვა, გადამწყვეტი შეხვედრა კი დავით მარსაგიშვილთან, როგორც მოსალოდნელი იყო, დათმო. საინტერესოა, რომ ნოდარი გიორგი გოგშელიძის ნათესავია და მისი მეთვალყურეობით ვარჯიშობს. ეგაძის მთავარი პლუსად მე შრომისმოყვარეობა მიმაჩნია.

**— გუსოშვილის, ჩოჩიშვილის, ბერძენიშვილის გამოსვლასაც შევეხოთ, რომელთა უმედლოდ დარჩენაც, ვფიქრობთ, რომ თქვენთვის მოულოდნელი იქნებოდა.**

— ცხადია, არცთუ მცირე იმედს ვამყარებდით კიდევ რამდენიმე სპორტსმენზე. ქვეყნის შარშანდელმა ჩემპიონმა ბერძენიშვილმა (66 კგ) პირველი ბრძოლის მოგების მერე ტრავმა მიიღო. გუსოშვილი (96 კგ) ფრანგულ კლუბში ასპარეზობს, იქიდან ჩემპიონატის წინა დღეებში ჩამოვიდა და რატომღაც სათანადოდ ვერ იყო მომზადებული. ახალგაზრდებში მსოფლიოსა და ევროპის წლევანდელმა პრიზიორმა და საქართველოს ჩემპიონმა ჯუმბერ ყველაშვილმა (74 კგ) სამწუხაროდ, ჩემპიონატამდე ოთხი დღით ადრე მიიღო ტრავმა, ველოდით თენგიზ ჩოჩიშვილის (66 კგ) წარმატებით ასპარეზობასაც, თუმცა ამ ეტაპზე მას საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა გაუჭირდა.

**— მედლების ხარისხის და ოდენობის გარდა ნიშანდობლივია, რომ წარმატება გორელებმა ახალგაზრდების ხარჯზე მოიპოვეს.**

— დიახ, გოგშელიძეს და თუშიშვილს ნაკრებში სხვა ჩვენი ფალავნები რომ ჩაანაცვლებენ, რასაკვირველია, სასიხარულოა. სხვათა შორის იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ამჟამინდელი ჩემპიონების უმეტესობა 25 წლამდე ფალავანია, ჭიდაობის ფედერაციის სწორი გზით განვითარებაზე მიუთითებს.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

---

## კალათბურთი

*ქართველი ევროლიგაზე*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოგესალმებით, მანუჩარი

ხშირად გვიწევს წერა: ერთმა გაიტანა, მეორემ სამქულიანი ჩააგდო, მესამემ ლელო დადო... ჩაჭრა, დაამიწა, მოცელა... ასეთი სახის ინფორმაციაც საჭიროა, მაგრამ ბევრისთვის არანაკლებ საინტერესოა, უშუალოდ ბრძოლის წინ როგორ ემზადება სპორტსმენი, როგორი ემოციებით იმუხტება და ა.შ.

ამის შესახებ სპორტსმენთა დღიურებიდან შეიძლება შევიტყოთ. ჩვენს გაზეთში 2006 წელს მანუჩარ მარკოიშვილის დღიურის გამოქვეყნებას საინტერესო გამოხმაურება მოჰყვა. გავიდა დრო და ევროლიგის საიტის ჟურნალისტებმაც „მოგვბაძეს": მანუჩარს საკუთარი მოსაზრებების ერთ წერილებში დაფიქსირება სთხოვეს. ასეთ რუბრიკას „კომპიუტერულ ენაზე" ბლოგი ეწოდება.

მანუჩარმა „კანტუ-"რეალის" მნიშვნელოვანი დაპირისპირების წინ (ეს შეხვედრა გუშინ გვიან ღამით გაიმართა, თუმცა ვფიქრობთ, მაინც საინტერესოა მანუჩარის მატჩისწინა ნაფიქრალის გაცნობა) კალამი მოიმარჯვა და ნამუშევარი ასე დაასათაურა: „ბრძოლა ფინიშის ხაზთან".

„მოგესალმებით, ევროლიგის ფანებო! სასიამოვნოა ბლოგში საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ იოლი არ არის ლაპარაკი მაშინ, როცა უახლოეს საათებში უნდა ვიბრძოლოთ ჩვენი ბოლო შანსის გამოსაყენებლად.

„კანტუს" არ უმართლებდა - რიგრიგობით გამოგვაკლდნენ ჯერი სმიტი, მარკო სჩეკიჩი და პიეტრო არადორი (პიეტრო ევროლიგაზე ჩვენი გუნდის ბომბარდირია). არ გაგვიმართლა ორი მნიშვნელოვანი მატჩის ბოლო წუთებზე, ჯერ სლოვენიაში „ოლიმპიასთან", შემდეგ შინ „პანათინაიკოსთან". ორივე შემთხვევაში გამარჯვებასთან ახლოს ვიყავით, მაგრამ გადამწყვეტი ტყორცნები ვერ გამოვიყენეთ. ბერძნებთან სირენამდე 3 წუთით ადრე 6 ქულის სხვაობით ვიგებდით, მაგრამ **დიამანტიდისმა** ყველაფერი საკუთარ თავზე აიღო, მას **ბრამოსიც** მიეხმარა და სამქულიანებით გამარჯვება ათენში წაიღეს.

ევროლიგაზე ბოლო მატჩი რუსეთში გავმართეთ და „ხიმკისთან" დავმარცხდით. მეტოქემ შორი მანძილიდან მაღალი სიზუსტით ისროლა. საკუთარ თავს ხშირად ვეკითხები: ჩვენი მეტოქეები პერიმეტრიდან ხშირად რატომ თამაშობენ შესანიშნავად? შესაძლოა, ეს იღბალია...

ახლა, მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი საგრძნობლად შემცირდა - ჯერ მადრიდის „რეალს" უნდა მოვუგოთ, შემდეგ თურქეთში „ფენერბაჰჩეს" ვაჯობოთ. ამავე დროს „ფენერმა" პარასკევს „პანათინაიკოსთან" სტუმრად უნდა წააგოს. მცირე შანსი გვაქვს, რომლის ბოლომდე გამოყენებისთვისაც ძალას არ დავიშურებთ.

ამ ტურში „რეალი" გვესტუმრება. ჩემი აზრით, მადრიდელებს ჯგუფში ყველაზე ძლიერი გუნდი ჰყავთ. ეს ტურის თამაშია და მთელი მსოფლიო მიადევნებს თვალს. მახსოვს, შარშან ესპანურ „კახა ლაბორალთანაც" კვირის თამაში გვქონდა და დიდებულად გავისარჯეთ. ძლიერი მეტოქე დავამარცხეთ. შარშანდელის გამეორებას ვეცდებით.

ჩვენმა მეორე მწვრთნელმა ნიკოლა ბრეინამ შემახსენა, რომ „რეალსა" და „კანტუს" ბოლო 50 წელიწადში ევროპაში ყველაზე მეტი ტიტული აქვთ მოგებული. ეს შეხვედრას დამატებით სილამაზეს აძლევს."

**მანუჩარ მარკოიშვილი**



ჩოგბურთი



ენდი მიურეი

# მიურეი წლის ჩოგბურთელია

მსოფლიოსრეიტინგის მესამე ნომერი **ენდი მიურეი** ბრიტანეთის წლის საუკეთესო ჩოგბურთელად აღიარეს. გამოკითხვა ჩოგბურთში მომუშავე ბრიტანელ ჟურნალისტთა ასოციაციამ ჩაატარა.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის სეზონში მიურეიმ ორჯერ ითამაშა "დიდი სლემის" ტურნირის ფინალში: უიმბლდონზე დამარცხდა შვეცარიელ **როჯერ ფედერერთან**, ამერიკის ღიაზე კი დაამარცხა სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**. გარდა ამისა, ლონდონის ოლიმპიადაზე ენდი ერთეულებში ოქროს მედლის მფლობელი გახდა, მიქსტში კი **ლორა რობსონთან** ერთად მეორე ადგილზე გავიდა.

ასევე აღინიშნა **ჯონათან მიურეისა** და **ფრედერიკ ნილსენის** წარმატებები - ამ დუეტმა წყვილთა თანრიგში მოიგო უიმბლდონი. სპეციალური პრიზი მიილო როჯერ ფედერერმა, რომელმაც უიმბლდონზე სარეკორდო - მეშვიდე გამარჯვება მოიპოვა.



ვიქტორია ახალი მანქანით

# ვიკას ახალი მანქანა

ქალებს შორის მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ბელარუსმა **ვიქტორია აზარენკამ** სოციალური ქსელის მეშვეობით თავის გულშემატკივრებს აცნობა, რომ ახალი ავტომობილი შეიძინა.

*"ახალი მანქანა მყავს. ის ძალიან ლამაზია, სწრაფი და მძლავრი. მოგწონთ?"*, - დაწერა თავის Facebook-ზე ბელარუსმა ჩოგბურთელმა.

როგორც უკვე ვწერდით, ვიქტორია აზარენკამ წელს ქალებს შორის რეკორდი დაამყარა ერთ სეზონში მოპოვებული ჯამური ჰონორარის მიხედვით - ბელარუსმა 7 923 920 დოლარი გამოიმუშავა. აქამდე, ქალთა ჩოგბურთში ერთი სეზონის განმავლობაში არავის ჰქონდა მიღებული 7 მილიონ დოლარზე მეტი.

# რეტრო შარაპოვა

**ამ დღეებში, WTA-ის ოფიციალურ ვებგვერდზე რეტრო-ინტერვიუ გაჩნდა. ეს იყო ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის მიერ ათი წლის წინ გამოქვეყნებული მასალა. მაშინ ვებგვერდის ჟურნალისტმა ფლორიდაში იმოგზაურა და ნიკ ბოლეტიერის საჩოგბურთო აკადემიას ეწვია იმისთვის, რომ ქალთა ჩოგბურთის ამომავალი ვარსკვლავები გაეცნო. მაშინ, WTA-მ რამდენიმე კარგი ფსონი გააკეთა ქალთა ჩოგბურთის მომავალ ლიდერებზე. სტატიის ავტორები არ შემცდარან მარია შარაპოვასთან მიმართებაშიც. გთავაზობთ ამ ინტერვიუს ფრაგმენტებს.**

მაშინ ყველა ერთხმად აცხადებდა, რომ მარია შარაპოვა თავის ასაკში საუკეთესოა მსოფლიოში და მომავალში ტოპ-ათეულის პოტენციური წევრი გახლავთ.

ციმბირში დაბადებული რუსი ჩოგბურთელი უკვე შვიდი წელია ფლორიდაში ცხოვრობს. ის ამერიკაში მამასთან - **იური შარაპოვთან** ერთად გადავიდა. მას ძალიან უნდოდა თავისი ქალიშვილის ნიჭის განვითარება და ამერიკაში სხვადასხვა დაბალანაზღაურებად სამსახურს თანხმდებოდა, მაგალითად, ჭურჭლის მრეცხავი იყო. აღებული ფულით იური მარიას საჩოგბურთო გაკვეთილებს აფინანსებდა იქამდე, სანამ გოგონა ცხრა წლის ასაკში **ნიკ ბოლეტიერის** აკადემიაში არ აიყვანეს. მარიამ ჩოგბურთის თამაში ჯერ კიდევ რუსეთში, ოთხი წლის ასაკში დაიწყო. მოგვიანებით, მისმა ნიჭმა შთაბეჭდილება მოახდინა **მარტინა ნავრატილოვასა** და **ევგენი კაფელნიკოვზე**.

მარია შარაპოვა: *"პატარა ვიყავი, როცა კაფელნიკოვმა თავისი საჩოგბურთო ჩოგანი მომცა და მოგვიანებით, როცა ბოლეტიერის აკადემიაში შევედი, კიდევ ერთხელ მაჩუქა ჩოგანი – ის, რომლითაც საფრანგეთის ღია პირველობა მოიგო. შესანიშნავი იყო. ერთხელ, მოსკოვში გამოფენაზე მოვხვდი, რომელსაც ნავრატილოვა სტუმრობდა. რამდენჯერმე ბურთი დავარტყი და მარტინამ მითხრა, რომ დიდი ნიჭი მქონდა. ამიტომაც, როცა შინ დავბრუნდი, უბრალოდ გადავწყვიტე, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ამერიკაში გადავიდოდით საცხოვრებლად. აქცენტი ნიკ ბოლეტიერის აკადემიაზე გავაკეთეთ".*

მარიამ ამერიკაში თავიდანვე გამოაჩინა თავისი პოტენციალი. 2002 წლისთვის, მას უკვე რვა ტიტული ჰქონდა იუნიორთა ასაკობრივ ჯგუფში. იმავე წელს, შარაპოვამ იუნიორთა შორის ავსტრალიის ღია პირველობის ფინალამდე მიაღწია. მის წინსვლას თვალს ადევნებდნენ ისეთი პროფესიონალები, როგორებიც არიან **ანდრე აგასი** და **მონიკა სელეში**. მოკლედ, ნიკ ბოლეტიერი სრულად იყო ინფორმირებული, რომ ახალგაზრდა რუსს უდიდესი პოტენციალი ჰქონდა.

ნიკ ბოლეტიერი: *"ის ძალიან მონდომებული გოგონაა და ამით ყველასგან გამოირჩევა. ის არის ახალი სელეში – ცოტათი ეგოისტური, რომელიც მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს. ამით ის ჰგავს უდიადეს მეომარს ან დიდ ბიზნესმენს, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს. არა, მე არ ვამბობ, რომ ის ძუნწია სხვების მიმართ. მაგრამ ის არის მარია შარაპოვა – ეს სახელი და გვარი საკმარისია იმისთვის, რომ საუკეთესო იყო".*

სწორედ ამ ეტაპზე დაიწყო მარიამ პროფესიულ დონეზე თამაში. მართალია, ის ჯერ არ იყო სრულწლოვანი, მაგრამ 175 სანტიმეტრს მიაღწია და თითქმის აულებელი მოწოდება ჰქონდა. 2002 წელს მან ინდიან უელსის ტურნირზე ითამაშა, სადაც მეორე რაუნდამდე გააღწია. მაშინ ის მხოლოდ 14 წლის იყო.

მარია შარაპოვა: *"ეს დაუჯერებელი იყო. მოვიგე პირველი წრის თამაში, შემდეგ კი მონიკა სელეშს შევხვდი. ეს საოცარი შეგრძნება იყო – ასეთ ასაკში შენ წინ, კორტის მეორე მხარეს მონიკა სელეში დგას. მაშინ ვგრძნობდი, რომ ეს იყო საუკეთესო მატჩი, რაც კი ოდესმე მითამაშია. ეს მართლაც დიდი თამაში იყო".*

მარიას აშკარად ეტყობოდა, რომ ის თავის ასაკთან შედარებით, ჩამოყალიბებული პროფესიონალი იყო. მაშინ მას უკვე ჰქონდა გაფორმებული სასპონსორო კონტრაქტი, აგრეთვე ხელშეკრულება დადო სპორტული მენეჯმენტის კომპანიასთან. ყოველთვის არსებობს იმის შიში, რომ ახალგაზრდა მოთამაშე ზედმეტი ზეწოლის გამო, ვერ ახერხებს კარიერის განვითარებას, მაგრამ მარია ღრუბლებში არასოდეს დაფრინავდა და მას ამგვარი პრობლემა არ შეჰქმნია.

მარია შარაპოვა: *"მე მართლაც მომწონს ის, რასაც ვაკეთებ. ზოგიერთებს ამ ასაკში მოსწონთ სკოლაში სიარული, სხვებს მეგობრებთან ურთიერთობა, მე კი უპირატესობას მოგზაურობასა და ჩოგბურთის თამაშს ვანიჭებ. ბევრი ვერ ახერხებს იმის გაკეთებას, რითაც ახლა მე ვარ დაკავებული".*

მარიას პროგრესი საჩოგბურთო აკადემიაში მართლაც უდიდესი ტემპებით მიდიოდა. **ტედ მიკმა**, რომელიც მაშინ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო, ასევე აღიარებდა, რომ მარიას განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა.

ტედ მიკმა: *"თავის დროზე აქ მარტინა ჰინგისი ჩამოვიდა და რამდენიმე კვირის განავლობაში ვარჯიშობდა ნიკის აკადემიაში. ერთხელ მან გადაწყვიტა, რომ 10,11, 12 წლის გოგონებს გაეჯიბრებოდა. ბოლოს ნიკმა ჩოგბურთელები ერთ მწკრივში დააყენა და ჰკითხა მათ: "რას ფიქრობთ, ისიამოვნეთ მასთან თამაშით?" ყველა გოგონა მოკრძალებითა და შიშით პასუხობდა, ხოლო როცა ჯერი მარიაზე მიდგა, მან თქვა: "ვფიქრობ, მარტინასავით ვითამაშებ, როცა 16 წლის გავხდები". ის თავიდანვე ძალიან მიზანდასახული იყო".*

თავის დროზე, რუსი **ანა კურნიკოვა** ყველაზე სახელგანთქმული ჩოგბურთელი იყო და უამრავი სასპონსორო ხელშეკრულება გააჩნდა. 2002 წელს, მარიას "ახალი კურნიკოვა" უწოდეს.

მარია შარაპოვა: *"პატივს ვცემ ტურის ყველა მოთამაშეს, მათ შორის, ანას. უბრალოდ, ყოველთვის ვცდილობ ვიყო მარია შარაპოვა და არა სხვა ვინმე".*

ნიკ ბოლეტიერი: *"ანა კურნიკოვას კარგად ვიცნობდი. მასაც უდიდესი ნიჭი ჰქონდა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, ვერ შეძლო თავისი შესაძლებლობების სრულად რეალიზება. ვფიქრობ, მარიას შემთხვევაში ასეთი რამ არ მოხდება".*

WTA-ის ჟურნალისტმა ფლორიდა ისე დატოვა, რომ დარწმუნებული იყო – მალე ბევრს შეიტყობდა მარია შარაპოვას წარმატებების შესახებ. წლების განმავლობაში, მისი ვარაუდი დამტკიცდა კიდეც.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



მარია 2002 წელს, ინდიან უელსში

ამბები

ფორმულა 1

## თურქეთი ბრუნდება

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის სხდომაზე დამტკიცდა მომავალი სეზონის კალენდარი. მასში, ისევე როგორც შარშან, 20 რბოლა იქნება. 2014 წლისთვის გადადებული ნიუ ჯერსის ეტაპის ნაცვლად, განრიგში მოხვდა ევროპული რბოლა, თუმცა ჯერ უცნობია, რომელ ქვეყანაში გაიმართება ეს ეტაპი. ვარაუდობენ, რომ ამ ეტაპს თურქეთს მისცემენ, რომელმაც ერთი წლის წინ, ფინანსური მოსაზრებებით დატოვა "სამეფო რბოლები".

## ყველაზე სწრაფი მაკლარენია

გერმანულმა გამოცემა Speed Week-მა ჩაატარა 2012 წლის ბოლიდების ჩქაროსნული მახასიათებლების ანალიზი. კვლევის თანახმად, გასულ სეზონში ყველაზე სწრაფი ბოლიდი "მაკლარენს" ჰყავდა.

შეფასებისთვის აიღეს ოცივე ეტაპზე ყველაზე სწრაფი წრეები. "მაკლარენი" ამ შედეგს საშუალოდ 0.18 წამით ჩამორჩება. მეორე ადგილზეა "რედ ბული" 0,38-წამიანი ჩამორჩენით, მესამე ადგილი დაიკავა "ლოტუსმა" - ჩამორჩენა 0.7 წამი. და მხოლოდ მეოთხე პოზიციაზეა "ფერარი" - 0.75 წამი.

დოპინგი

## ჩამორთმეული მედლები

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ხელმეორედ შეამოწმა რვა წლის წინ, ათენის ოლიმპიადაზე აღებული დოპინგ-სინჯები. როგორც იცით, რამდენიმე დღის წინ, ოთხი სპორტსმენის ანალიზმა აჩვენა აკრძალული პრეპარატის მოხმარება და გადამოწმების შემდეგ სოკ-მა განაწყვიტა, რომ ამ ათლეტებს ოფიციალურად ჩამოართვას ათენის თამაშებზე მოპოვებული მედლები.

ბირთვის კვრაში მიღებული ბრინჯაო ჩამოერთვა რუს **სვეტლანა კრიველიოვას**, ამავე სახეობაში ოქრო დაკარგა უკრაინელმა **იური ბელონოგმა**, ბრინჯაოს მედლის გარეშე დარჩნენ ბელარუსები - **ივან ტიხონი** (უროს ტყორცნა) და **ირინა იატჩენკო** (ბადროს ტყორცნა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

● ჰოკეი



გარი ბეტმენი

# მოთამაშეებს ამერიკაში უხმობენ

ბოლო დღეებში, ოკეანის გაღმა ზედიზედ იმართება მოლაპარაკებები ჰოკეის ეროვნულ ლიგასა და მოთამაშეთა პროფკავშირებს შორის. დიალოგის მონაწილეებმა გარკვეული დეტალები გაუმხილეს ჟურნალისტებს. ლიგამ პროფკავშირს შესთავაზა 10-წლიანი კოლექტიური ხელშეკრულება მეექვსე წელს მისი შეწყვეტის შესაძლებლობით. ლიგის საერთო შემოსავალი 50/50-ზე უნდა გაიყოს. მაგრამ, პროფკავშირი ჯიუტად ითხოვს გაფორმდეს უფრო ხანმოკლე ხელშეკრულება, მაგალითად, რვაწლიანი. მოლაპარაკებები დღეს და ხვალ გაგრძელდება.

საერთო ჯამში, ჰოკეის წრეებში ოპტიმიზმი შეიმჩნევა. კერძოდ, ლიგა უკვე ლაპარაკობს 2012-13 წლების რეგულარული ჩემპიონატის ფორმატზე. ამ მომენტისთვის, განიხილება 56-60-მატჩიანი ჩემპიონატის ჩატარება. ასევე გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა ის ფაქტიც, რომ ლიგა არ ახსენებს ახალ თარიღს, როცა შეიძლება გაუქმდეს რეგულარული ჩემპიონატის მატჩების მორიგი ნაწილი. და კიდევ, დაუზუსტებელი ინფორმაციით, კლუბები უკვე მოუწოდებენ ევროპაში წასულ მოთამაშეებს ამერიკაში დაბრუნებისკენ, რადგან ლოკაუტი, შეიძლება, ნებისმიერ მომენტში დასრულდეს.

● ოლიმპიზმი

# სამგზის ჩემპიონები წავიდნენ

ბიატლონში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი **მიხაელ გრაისი** კარიერას ასრულებს. გერმანელმა თავის ბლოგში დაწერა, რომ დიდი სპორტიდან წასვლა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც 2012-13 წლების მსოფლიოს თასის პირველ ეტაპზე წარუმატებლად გამოვიდა - შვედეთის ესტერსუნდში გრაისმა ინდივიდუალურ რბოლაში 67-ე ადგილი დაიკავა.

გრაისმა დაწერა, რომ ინდივიდუალური რბოლის დროს ის სხეულის შიგნით სიცარიელეს გრძნობდა და ჯერ კიდევ ფინიშამდე გადაწყვიტა, რომ ეს მისი ბოლო გამოსვლა იყო. სპრინტსა და გამოდევნებით რბოლაში 36 წლის ბიატლონისტს მონაწილეობა არ მიუღია.

მსოფლიოს ჩემპიონატებზე გრაისს სამი ოქრო, სამი ვერცხლი და ექვსი ბრინჯაო აქვს მოგებული. 2006 წელს, ტურინის ოლიმპიადაზე გერმანელმა გაიმარჯვა ინდივიდუალურ რბოლაში, მას-სტარტსა და ესტაფეტაში. 2006-07 წლების სეზონში, გრაისმა მოიგო "ბროლის დიდი გლობუსი", რომელიც საერთო ჩათვლაში მსოფლიოს თასის გამარჯვებულს გადაეცემა.

■ ■ ■

ასევე კარიერის დასრულება გადაწყვიტა აკადემიურ ნიჩბოსნობაში სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ავსტრალიელმა **დრიუ ჯინმა**. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი სამწვრთნელო კარიერას დაიწყებს.

38 წლის მელბურნელმა თავისი პირველი ოლიმპიური ოქრო ჯერ კიდევ 1996 წელს, ატლანტაში მოიპოვა, სადაც ოთხადგილიანი ეკიპაჟის წევრი იყო. შემდეგი ოქრო მან 2004 წელს, ათენში მოიპოვა, როცა პირველი ადგილი დაიკავა ორადგილიან ნავებში **ჯეიმს ტომპკინსთან** ერთად. 2008 წელს, პეკინში ჯინმა გაიმეორა ოთხი წლის წინანდელი მიღწევა, მაგრამ უკვე **დანკან ფრისთან** ერთად. ავსტრალიელმა ლონდონის ოლიმპიადაზეც გამოიჩინა თავი, როცა ოთხადგილიანი ნავით მეორე ადგილი დაიკავა.



მიხაელ გრაისი

● ოლიმპიზმი

# 500-მილიონიანი შეცდომა

ბრიტანეთის აუდიტის ეროვნულმა კომიტეტმა შეამოწმა ლონდონში ოლიმპიური თამაშებისა და პარალიმპიადის ორგანიზება.

გამოქვეყნებულ ანგარიშში წერია, რომ თამაშებმა წარმატებით ჩაიარა, გარდა ამისა, აღნიშნულია ორგანიზატორების შეცდომა, რის გამოც მზადების ხარჯმა 500 მილიონი ფუნტი სტერლინგით მოიმატა. გარდა ამისა, აუდიტის ანგარიშის მიხედვით ვიგებთ, რომ ყველა სპორტული ობიექტის მშენებლობა დათქმულ ვადაში დასრულდა, გაიყიდა 11 მილიონი ბილეთი, ხოლო ბრიტანელმა სპორტსმენებმა ბრწყინვალე შედეგი აჩვენეს.

● კრივი

# მეივეზერმა 2013 წელი დაგეგმა

თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივე, პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელი ამერიკელი **ფლოიდ მეივეზერი** 2013 წელს ორჯერ აპირებს რინგზე გასვლას. ფლოიდის მრჩეველმა **ლეონარდ ელერბემ** ESPN-ს განუცხადა, რომ ორივე ბრძოლის თარიღი დაემთხვევა მექსიკურ დღესასწაულებს. და ეს დამთხვევა შემთხვევითი არ არის. *"ფლოიდმა გვითხრა, რომ ის 2013 წელს ორჯერ იჩხუბებს. პირველ თარიღია - 4 მაისი, სინკო დე მეივეზერი (სინკო დე მაიო - ეროვნული მექსიკური დღესასწაულია, რომელიც 5 მაისს ტარდება)*, - ამბობს ლეონარდ ელერბე. *- მეორე ბრძოლა შედგება 14 სექტემბერს"*.



ფლოიდ მეივეზერი

ელერბემ ასევე განაცხადა, რომ ორივე ბრძოლა ლას ვეგასში MGM Grand-არენაზე გაიმართება, სადაც ფლოიდ მეივეზერმა თავისი ბოლო ექვსი ბრძოლა ჩაატარა. მენეჯერმა ისიც აღნიშნა, რომ კონკურენტთა გვარები და წონითი კატეგორიები ზუსტად ჯერ არ არის განსაზღვრული.

ამ მომენტისთვის ფლოიდ მეივეზერი ფლობს საჩემპიონო ტიტულებს ორ წონით კატეგორიაში - ნახევრად საშუალო (66.7 კგ) და პირველ საშუალო წონაში (69.9 კგ). თანამედროვე კრივში სხვადასხვა წონაში ორი ტიტულის ფლობა მეტად უცნაური სიტუაციაა. ჩვეულებრივ, როცა მოკრივე სხვა წონით კატეგორიაში იგებს ტიტულს, მას რამდენიმე კვირას აძლევენ მოსაფიქრებლად - რომელი საჩემპიონო ქამრის შენარჩუნება სურს და რომელი უნდა გახდეს ვაკანტური. *"ჩვენ ჯერ ზუსტად არ გვაქვს განსაზღვრული მეტოქისა და წონითი კატეგორიის საკითხი - ეს ჯერ მოსაფიქრებელია*, - ამბობს ელერბე. - *ჩვენ ერთი რამ ვიცით: ფლოიდი აპირებს 2013 წელს ორი გიგანტური ბრძოლით დაბრუნებას და სურს კიდევ ერთხელ დაამტკიცოს, რომ საუკეთესოა მსოფლიოში"*.

2013 წელს, ფლოიდ მეივეზერთან შესახვედრად ყველაზე რეალური კანდიდატები არიან - პირველ საშუალო წონაში მსოფლიოს ჩემპიონი **საულ ალვარესი** და ნახევრად საშუალო წონაში დროებითი ჩემპიონი, რომელსაც არაერთხელ ჰყავს გამოწვეული ბრძოლაში ფლოიდი. ალვარესი და გერერო კონტრაქტებით არიან დაკავშირებულნი პრომოუტერულ კომპანია Golden Boy-თან, სადაც უკვე გამოაცხადეს, რომ ალვარესისთვის 4 მაისს ბრძოლას გეგმავენ. მოვლენათა განვითარების ერთ-ერთი სცენარი ასეთია: 4 მაისს გაიმართება მეივეზერი-გერეროს ორთაბრძოლა, იმავე საღამოს ანდერქარდზე იჩხუბებს საულ ალვარესიც. შემდეგ კი, მეივეზერისა და ალვარესის მოგების შემთხვევაში, ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ 14 სექტემბერს გავლენ რინგზე.

"ფლოიდს ძალიან ბევრი ვარიანტი აქვს, - აღნიშნა ელერბემ. - ვინ იტყვის მასთან ჩხუბსა და კარიერაში ყველაზე დიდი ჰონორარის მოპოვებაზე უარს?! გახდე მეივეზერის მოწინააღმდეგე - იგივეა, რომ ლატარია მოიგო".

● ფორმულა 1



შუმი და ბრიატორე

# შეტევა შუმახერზე

ფორმულა 1-ის სამყაროში ავტორიტეტულმა პიროვნებებმა იერიში მიიტანეს **მიხაელ შუმახერზე**, რომელიც დიდ სპორტში 2010 წელს დაბრუნდა და წელს საბოლოოდ დაასრულა კარიერა.

"დიდი ცირკის" მთავარ პრომოუტერს **ბერნი ექლსტოუნს** მიაჩნია, რომ ლეგენდარულმა გერმანელმა შეცდომა დაუშვა, როცა ფორმულა 1-ში დაბრუნება გადაწყვიტა. ბერნის თქმით, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ მან კონტრაქტი გააფორმა გუნდთან, რომელსაც არ ჰყავდა კონკურენტუნარიანი მანქანა.

*"თუ უახლოეს წარსულს გადავავლებთ თვალს, შეიძლება ითქვას, რომ შუმახერი არ უნდა დაბრუნებულიყო. რა შედეგები ექნებოდა, "რედ ბულში" ან "ფერარიში" რომ მოხვედრილიყო? ვფიქრობ, როცა ის "მერსედესთან" აფორმებდა კონტრაქტს, ფიქრობდა, რომ გუნდი გაცილებით ძლიერი იქნებოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო.*

*ვფიქრობ, შუმახერი წელს ნებისმიერ შემთხვევაში დაასრულებდა კარიერას - მისი წასვლა არ უკავშირდება ამ გუნდში ლუის ჰემილტონის გადასვლას. თავად ბრიტანელს კი რამდენიმე ვარიანტი ჰქონდა: "მაკლარენში" დარჩენა, გაცილებით სუსტ გუნდში გადასვლა ან "მერსედესში" ტრანსფერი"*, - ამბობს ექლსტოუნი.

■ ■ ■

სულ სხვა მიზეზით აკრიტიკებენ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს "ფერარის" პრეზიდენტი **ლუკა დე მონტეძემოლო** და "რენოს" ყოფილი შეფი **ფლავიო ბრიატორე**. დე მონტეძემოლომ შუმახერი იმის გამო გააკრიტიკა, რომ სეზონის ბოლო რბოლაში - ბრაზილიის გრანპრიზე მიხაელმა უბრძოლველად გაატარა **სებასტიან ფეტელი**. დი მონტეძემოლოს სოლიდარობას უცხადებს ბრიატორე.

*"ბრაზილიაში შუმახერი ცუდად მოიქცა. ცხადი იყო, რომ მას ერჩივნა ჩემპიონობა "რედ ბულს" მოეპოვებინა და არა "ფერარის"*, - განაცხადა იტალიელმა.

ბრიატორემ ასევე კომენტარი გაუკეთა თეორიულ შესაძლებლობას, რომლის მიხედვითაც **ფერნანდო ალონსო** და სებასტიან ფეტელი, შესაძლოა, თანაგუნდელები იყვნენ: *"ეს იდეა მხოლოდ გონებაში იარსებებს. რეალურად, ერთ გუნდში ასეთი შემადგენლობა ნამდვილი კატასტროფა იქნება"*.

● ჭადრაკი

# კასპაროვს რეკორდი მოუხსნეს

ნორვეგიელმა დიდოსტატმა **მაგნუს კარლსენმა** გააუმჯობესა ELO-ს რეიტინგში **გარი კასპაროვის** რეკორდი. 4 დეკემბერს, სკანდინაველმა ლონდონის სუპერტურნირზე დაამარცხა ინგლისელი **გაივეინ ჯონსი**, რის შემდეგაც რეიტინგში მას 2857,4 პუნქტი დაუგროვდა. ეს არის ე. წ. Live Rating (აქტუალური რეიტინგი), რომელიც ყველა ბოლო პარტიის შედეგს ითვალისწინებს. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალური რეიტინგი თვეში ერთხელ განახლდება-ხოლმე.

აქამდე, რეკორდი ეკუთვნოდა მსოფლიოს რიგით მე-13 ჩემპიონს გარი კასპაროვს, რომელმაც 1999 წლის ივლისში 2851 პუნქტს მიაღწია.

ჯონსზე გამარჯვების წყალობით, კარლსენს ლონდონის ტურნირზე 10 ქულა დაუგროვდა და ის პირველ ადგილზეა. მეორე პოზიციაზე ორქულიანი ჩამორჩენით რუსი **ვლადიმერ კრამნიკი** იმყოფება.

2012 წლის პირველი დეკემბრის მონაცემებით, ნორვეგიელს FIDE-ის რეიტინგში 2848 ქულა აქვს. ამ მაჩვენებლით კარლსენს პირველი ადგილი უკავია მოქმედ მოჭადრაკეებს შორის.



მაგნუს კარლსენი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ბრაიანტი: 30000 ჯორდანზე 1678 დღით ადრე



კობი ბრაიანტი

დიდი სათამაშო დღე გაიმართა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში და ერთ-ერთ შეხვედრაში მნიშვნელოვან მოვლენას ჰქონდა ადგილი. "ლოს ანჯელეს ლეიკერსმა", მოლოდინისამებრ დაამარცხა "ნიუ ორლეანი" – 103:87, ხოლო კალიფორნიელთა ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** თავის აქტივში 29 ქულა ჩაიწერა. ამის წყალობით, ვეტერანი ვარსკვლავი ყველაზე ახალგაზრდა კალათბურთელი გახდა ისტორიაში, ვინც კარიერაში 30 ათასი ქულა დააგროვა. ამ მაჩვენებელს მან პირველ ტაიმში მიაღწია.

კობიმ 30-ათასქულიან ზღვარს 34 წლის ასაკში მიაღწია – ერთი წლითა და 75 დღით ადრე, ვიდრე ეს წინა რეკორდსმენმა **უილტ ჩემბერლენმა** გააკეთა. სულ კი ისტორიაში 30-ქულიანი ზღვარი ოთხ ლეგენდარულ კალათბურთელს აქვს გადალახული: **ქარიმ აბდულ-ჯაბარს** (38 387), **კარლ მელოუნს** (36 928), **მაიკლ ჯორდანსა** (32 292) და **უილტ ჩემბერლენს** (31 419). მოქმედ კალათბურთელებს შორის ბრაიანტთან ყველაზე ახლოს არის "ბოსტონის" ფორვარდი **კევინ გარნეტი** – 24 535 ქულა.

მნიშვნელოვანი იყო ეს მატჩი "ლეიკერსის" კიდევ ერთი ნევრისთვის – **მეტა უორლდ პისისთვის**. ის შეუერთდა ისეთ კალათბურთელებს, რომლებსაც კარიერაში მოპოვებული აქვთ: 12 ათასი ქულა, 4 ათასი მოხსნა, 1500 ჩაჭრა და ჩაგდებული აქვთ 1000 სამქულიანი. აქამდე ასეთი რამ შეძლეს იმავე ბრაიანტმა, **გერი პეიტონმა, რეჯი მილერმა, ჯეისონ კიდმა** და **პოლ პირსმა**. მოკლედ, ასეთ სალამოს "ლეიკერსს" წაგების უფლება არ ჰქონდა. და არ წააგო. კალიფორნიელებმა მეორე ტაიმში მხოლოდ ერთი შეცდომა დაუშვეს და თან სეზონის რეკორდი გააუმჯობესეს მთელი თამაშის განმავლობაში ტექნიკური შეცდომების რაოდენობით (9).

**შარლოტი–ნიუ იორკი 98:100**

24:26, 29:25, 22:21, 23:28

**შ:** უოკერი (25+11 პასი), ჰენდერსონი (18+6 მოხსნა), გორდონი (17), კიდ-გილკირსტი (12), ბიიომბო (2+12 მოხსნა).

**ნ-ი:** ენტონი (23+3 ჩაჭრა), ჩენდლერი (18+17 მოხსნა), ფელტონი (17+9 პასი), სმიტი (13).

**ინდიანა–პორტლენდი 99:92**

20:21, 28:29, 31:14, 20:18

**ი:** ჯორჯი (22+8 მოხსნა+5 პასი), ჰილი (18), უესტი (16+10 მოხსნა), მაინმი (12), ჰიბერტი (10+7 მოხსნა+3 დაფარება), ჰენსბრო (10+5 მოხსნა).

**პ:** ლილარდი (23+6 პასი), მეტიუზი (19), ოლდრიჯი (18+10 მოხსნა), ჰიქსონი (14+12 მოხსნა).

**ბოსტონი–მინესოტა 104:94**

27:30, 20:21, 32:21, 25:22

**ბ:** გარნეტი (18+10 მოხსნა), პირსი (18), რონდო (17+11 პასი), ტერი (17+5 მოხსნა), ბასი (12+8 მოხსნა+3 დაფარება).

**მ:** ლავი (19+13 მოხსნა), პეკოვიჩი (14+9 მოხსნა), ჰოვარდი (12+3 ჩაჭრა), რიდნური (11+5 პასი), შვედი (11), ბარეა (10).

**ატლანტა–დენვერი 108:104**

27:26, 28:25, 30:27, 23:26

**ა:** ჰორფორდი (25+12 მოხსნა+4 ჩაჭრა), სმიტი (16+13 მოხსნა), უილიამსი (16+6 პასი), ჰარისი (12+5 პასი+3 ჩაჭრა), ფაჩულია (11+7 მოხსნა).

**დ:** ლოუსონი (32+7 პასი+5 ჩაჭრა), ბრიუერი (19), გალინარი (16+5 მოხსნა), მაკგი (11), მოზგოვი (6+13 მოხსნა).

**დეტროიტი–გ. სტეიტი 97:104**

20:21, 18:19, 23:39, 36:25

**დ:** პრინსი (24+5 პასი), სტაკი (17+9 პასი), დრამონდი (15+12 მოხსნა), ვილანუევა (11), მაგეტი (10).

**გ-ს:** ტომპსონი (27), კარი (22+10 პასი), ლი (20+11 მოხსნა), ბარნსი (10+5 მოხსნა).

**კლივლენდი–ჩიკაგო 85:95**

11:27, 24:18, 28:27, 22:23

**კ:** სლოუნი (14), ვარეჟაო (11+15 მოხსნა+3 ჩაჭრა), ტომპსონი (11+5 მოხსნა), ზელერი (10+7 მოხსნა), გიბსონი (10), მაილზი (10).

**ჩ:** ბელინელი (23), დენგი (22+7 მოხსნა), ნოა (13+15 მოხსნა+5 პასი), ჰაინრიხი (11+8 პასი), ბუზერი (10+12 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი–ლეიკერსი 87:103**

23:20, 25:27, 16:30, 23:26

**ნ-ო:** ანდერსონი (31+9 მოხსნა), ვასკესი (16+5 მოხსნა+9 პასი), ლოპესი (15+5 დაფარება), ამინუ (6+10 მოხსნა).

**ლ:** ბრაიანტი (29+6 მოხსნა), ჰოვარდი (18+8 მოხსნა+5 დაფარება), ჯეიმისონი (15), უორლდ პისი (11+9 მოხსნა), დუჰონი (3+5 მოხსნა+10 პასი).

**სან ანტონიო–მილუოკი 110:99**

29:32, 23:26, 24:18, 34:23

**ს-ა:** ნილი (22), პარკერი (22+10 პასი), დანკანი (17+10 მოხსნა), სპლიტერი (15), ჯინობილი (11).

**მ:** ელისი (21+11 პასი), ილიასოვა (17), ჯენინგსი (14), დენიელსი (12), მბა ა მუტე (10).

**იუტა–ორლანდო 87:81**

24:15, 21:19, 23:23, 19:24

**ი:** ჯეფერსონი (31+15 მოხსნა), მილსეპი (22).

**ო:** დევისი (18+12 მოხსნა), ნელსონი (17), აფლალო (16), რედიკი (14).

**საკრამენტო–ტორონტო 107:100**

29:29, 26:18, 23:29, 29:24

**ს:** კაზინსი (25+13 მოხსნა), ევანსი (23), ტომპსონი (13+10 მოხსნა).

**ტ:** ლოური (34+11 პასი), პიეტრუსი (21), დეროზანი (14).

**კლიპერსი–დალასი 112:88**

29:18, 31:24, 23:26, 29:20

**კ:** კროუფორდი (20), გრიფინი (19+13 მოხსნა), ბატლერი (16).

**დ:** კარტერი (16), ფიშერი (15), კამანი (14), მერიონი (14).



დამიენ ლილარდი

# თვის ლაურეატები

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ გააგრძელა ნოემბრის ლაურეატების გამოვლენა. გუშინდელ ნომერში გაგაცანით გასული თვის საუკეთესო მწვრთნელები, ახლა კი ჯერი თვის დებიუტანტებსა და მოთამაშეებზე მიდგა.

ნოემბერში, აღმოსავლეთიდან საუკეთესო ახალბედა გახდა "შარლოტის" ფორვარდი **მაიკლ კიდ-გილკირსტი**, რომელიც 2012 წლის დრაფტზე მეორე ნომრად აირჩიეს. ეს კალათბურთელი საშუალოდ მატჩში 10.9 ქულას, 6.5 მოხსნას, 1.5 შედეგიან გადაცემასა და 1.3 დაფარებას აგროვებდა. 10 ნოემბერს, "დალასთან" მატჩში მან დაამყარა პირადი რეკორდები: 25 ქულა და 12 მოხსნა.

დასავლეთ კონფერენციაში გამოარჩიეს 2012 წლის დრაფტის მეექვსე ნომერი, "პორტლენდის" გამთამაშებელი **დამიენ ლილარდი**, რომლის სტატისტიკა ნოემბერში ასე გამოიყურებოდა: 18.4 ქულა და 5.9 პასი. ის გახდა პირველი დებიუტანტი **გრანტ ჰილის** (1994) შემდეგ, ვინც კარიერაში პირველ სამ მატჩში მინიმუმ 20 ქულას აგროვებდა. 23 ნოემბერს, "მინესოტასთან" მატჩში ლილარდმა შედეგიანობის პირადი რეკორდი დაამყარა – 28 ქულა მოიპოვა.

ლილარდისა და კიდ-გილკირსტის გარდა, თვის დებიუტანტობაზე პრეტენზიას აცხადებდნენ: **დიონ უეიტერსი** ("კლივლენდი"), **ჯაე კროუდერი** ("დალასი"), **ჰარისონ ბარნსი** ("გოლდენ სტეიტი"), **უაილი სინგლერი** ("დეტროიტი") და **იონას ვალანჩუნასი** ("ტორონტო").

■ ■ ■

გამოვლინდნენ თვის საუკეთესო მოთამაშეებიც. აღმოსავლეთიდან ეს არის "მაიამი ჰიტის" ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი** და დასავლეთიდან "ოკლაჰომა-სიტის" შემტევი **კევინ დურანტი**.

ლებრონმა "მაიამის" შემადგენლობაში 16 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ, 24.8 ქულით, 9.1 მოხსნით, 6.8 შედეგიანი პასითა და 1.2 ჩაჭრით დაეხმარა თავის გუნდს. ლებრონმა ერთ შეხვედრაში სამმაგი დუბლი შეასრულა, მისმა გუნდმა კი 16-დან 12 მატჩი მოიგო.

ასევე ერთი სამმაგი დუბლი ჰქონდა დურანტს, მისი საშუალო-სტატისტიკური მონაცემები კი 26.5 ქულას, 8.5 მოხსნას, 4.4 შედეგიან პასსა და 1.6 ჩაჭრას უდრის.

გასულ სეზონში, ჯეიმსი და დურანტი ორ-ორჯერ დასახელდნენ თვის მოთამაშეებად, სულ კი ლებრონს კარიერაში 21 ასეთი აღიარება ჰქონდა, დურანტს - ექვსი.

# 5 ათასი სიმულაციისთვის

NBA-ის ხელმძღვანელობამ "მაიამი ჰიტთან" მატჩში სიმულაციისთვის 5 ათასი დოლარით დააჯარიმა "ბრუკლინ ნეტსის" მსუბუქი ფორვარდი **ჯერალდ უოლასი**. კალათბურთელი იმ ეპიზოდისთვის დაისაჯა, როცა "მაიამის" ფორვარდ **ლებრონ ჯეიმსს** დაეჯახა. "ნეტსის" ფორვარდისთვის ეს იყო სეზონში მეორე გაფრთხილება, რაც წესების თანახმად, ხუთიათასიანი ჯარიმით ისჯება. უოლასი მეორე კალათბურთელია, რომელმაც ორი გაფრთხილება მიიღო. პირველი გახლდათ მისი თანაგუნდელი **რეჯი ევანსი**.

ასევე NBA-მ პირველი გაფრთხილება გამოუტანა "ლოს ანჯელეს კლიპერსის" მცველ **ჩონსი ბილაპსს** - ეს მოხდა "იუტა ჯაზთან" შეხვედრაში.

ამ ზაფხულს შემოღებული წესების თანახმად, მოთამაშე სიმულაციისთვის პირველ ჯერზე გაფრთხილებას იღებს, მეორე შემთხვევისთვის - ჯარიმას 5 ათასი დოლარის ოდენობით. ამის შემდეგ, თანხა იზრდება და მეხუთე გაფრთხილებისთვის ის შეადგენს 30 ათასს. შემდეგი დარღვევა დისკვალიფიკაციით ისჯება.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევროპის ლიგა** | |
| უდინეზე-ლივერპული | 0:1 |
| იანგ ბოიზი-ანჟი | 3:1 |
| ჰაპოელი (თ-ა)-აკადემიკა | 2:0 |
| პლზენი-ატლეტიკო | 1:0 |
| აელ-მარსელი | 3:0 |
| ფენერბაჰჩე-ბორუსია (მ) | 0:3 |
| ბორდო-ნიუკასლი | 2:0 |
| მარიტიმუ-ბრიუგე | 2:1 |
| კოპენჰაგენი-სტიაუა | 1:1 |
| შტუტგარტი-მიოლდე | 0:1 |
| დნიპრო-აიკ | 4:0 |
| ნაპოლი-ეინდჰოვენი | 1:3 |
| გენკი-ბაზელი | 0:0 |
| ინტერი-ნეფთჩი | 2:2 |
| პარტიზანი-რუბინი | 1:1 |
| ბილბაო-სპარტა | 0:0 |
| ლიონი-ირონი | 2:0 |
| მარიბორი-ლაციო | 1:4 |
| ტოტენჰემი-პანათინაიკოსი | 3:1 |
| ლევერკუზენი-რუსენბორგი | 1:0 |
| რაპიდი-მეტალისტი | 1:0 |
| ტვენტე-ჰელსინგბორგი | 1:3 |
| ლევანტე-ჰანოვერი | 2:2 |
| სპორტინგი-ვიდეოტონი | დღეს |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **კლუბები** | |
| ჰიროშიმა-ოკლენდი | 1:0 |
| **პორტუგალია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ფეირენსე-არუკა | 5:0 |
| მადეირა-სპორტინგი B | 3:2 |

| აზერბაიჯანი | |
|---|---|
| ხაზარი-ბაქუ | 1:1 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| ცსკა-ბეშიქთაში | 87:72 |
| ცედევიტა-ოლიმპიაკოსი | 62:84 |
| პროკომი-მაკაბი | 73:89 |
| ალბა-უნიკახა | 63:74 |
| კანტუ-რეალი | 76:70 |
| პარტიზანი-ბარსელონა | 67:68 (ო) |
| **ხელბურთი** | |
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| სერბეთი-უკრაინა | 25:23 |
| შვედეთი-მაკედონია | 26:15 |
| ნორვეგია-ჩეხეთი | 21:19 |
| საფრანგეთი-დანია | 27:28 |
| **ჰოკეი** | |
| **ნორვეგია** | |
| ლორენსკოგი-სტრიერნენი | 6:4 |
| ტონსბერგი-სტავანგერი | 1:4 |
| ლილეჰამერი-სტორჰამარი | 2:4 |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-ლიტვინოვი | 2:1 |
| **შვედეთი** | |
| ბრიუნესი-როგლე | 5:4 (ო) |
| ვექსიო-ფრიოლუნდა | 3:0 |
| ლინჩოპინგი-მოდო | 4:5 (ო) |
| ლულეო-შელეფტეო | 0:3 |
| ტიმრა-აიკ | 3:4 (ბ) |

TV პროგრამა

**7 დეკემბერი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. გენკი-ბაზელი.
12:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ტოტენჰემი-პანათინაიკოსი.
14:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. კოპენჰაგენი-სტიაუა.
16:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. იანგ ბოიზი-ანჟი.
18:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXVIII ტურის მიმოხილვა.
18:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. უდინეზე-ლივერპული.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
23:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOT-BRAZIL.
23:30 გერმანიის ჩემპიონატი. XVI ტური. ჰამბურგი-ჰოფენჰაიმი (LIVE).
01:30 ინგლისის ჩემპიონატი. XV ტურის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-უიგანი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ნიუ იორკი.
15:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-ვაალვაიკი.
17:00 კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. IX ტური. კანტუ-რეალი.
19:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 NBA ACTION.
21:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ნიუ იორკი.
23:15 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
00:00 კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. IX ტური. პანათინაიკოსი-ფენერბახჩე (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
13:20 სპორტ-NEWS.
13:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
16:50 სპორტ-NEWS.
17:20 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ბორუსია (მ).
19:20 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-კლიპერსი.
21:20 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
22:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 3 | 13 | (მზე) |
| ქუთაისი | 5 | 20 | (მზე) |
| ბათუმი | 7 | 19 | (მზე) |
| ფოთი | 7 | 20 | (მზე) |
| ზუგდიდი | 4 | 21 | (მზე) |
| გორი | 0 | 14 | (მზე) |
| თელავი | 2 | 14 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 4 | 14 | (მზე) |
| ბაკურიანი | -5 | 7 | (მზე) |
| ბორჯომი | -2 | 11 | (მზე) |
| მესტია | -1 | 12 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1753 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6641 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6812 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3836 |

კალათბურთი

# ბილაპსი ისევ დაიმტვრა

"ლოს ანჯელეს კლიპერსის" მცველი **ჩონსი ბილაპსი** მარცხენა ფეხის ტრავმის გამო გაურკვეველი ვადით გამოეთიშა თამაშს. ეს დაზიანება არ უკავშირდება მარცხენა აქილევსის მყესის ტრავმას, რის გამოც ვეტერანმა მცველმა ცხრა თვე გამოტოვა და მოედანზე მხოლოდ გასულ კვირას დაბრუნდა.

ამ სეზონის სამ მატჩში ბილაპსი საშუალოდ 7.3 ქულასა და 1.3 შედეგიანი გადაცემას აგროვებდა.

■ ■ ■

"მაიამი ჰიტის" გამთამაშებელი **მარიო ჩელმერსი** თითის დაზიანების გამო 7-10 დღით გამოაკლდა თავის გუნდს. კალათბურთელმა ეს ტრავმა "ვაშინგტონთან" მატჩის დროს მიიღო.

წლევანდელ ჩემპიონატში 26 წლის მარიო 16 მატჩში მონაწილეობდა და საშუალოდ, 6.4 ქულა, 2.6 მოხსნა და 4.3 შედეგიანი პასი მიითვალა.

■ ■ ■

დაახლოებით სამ კვირას გამოტოვებს "ვაშინგტონის" ფორვარდი **ტრევორ არიზა** - მას მარცხენა ფეხი აქვს დაზიანებული. არიზა "მაიამისთან" მო-



ჩონსი ბილაპსი

გებული მატჩის მესამე მეოთხედში დაშავდა.

იმ მატჩში ტრევორმა 16 წუთის თამაში მოასწრო, რომლის დროსაც თავის გუნდს 4 ქულით, 2 მოხსნით, 5 პასითა და 3 ჩაჭრით დაეხმარა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ქართველი NBA-ში

# ზაზას ორი 107 და ატლანტას ერთი 108



„ატლანტა“-“დენვერის“ მატჩის მეორე პერიოდი **ზაზა ფაჩულიასი** იყო. დროის ამ 12-წუთიან მონაკვეთში ქართველი ცენტრის შეჩერება ვერავინ შეძლო, ზაზამ 11 ქულა ჩააგდო და დიდ შესვენებაზე „ატლანტა“ ოთხქულიანი ფორით გავიდა - 55:51.

მეორე ტაიმში ფაჩულიას სათამაშო დრო კი ერგო, მაგრამ მეტოქეებმაც დიდი ყურადღება დაუთმეს, თავადაც თანაგუნდელების დახმარებით შემოიფარგლა და მატჩი 11 ქულით 7 მოხსნით, 2 პასითა და 1 ჩაჭრით დაასრულა. საინტერესოა, რომ მან სწორედ „დენვერთან“ გადალახა ამ სეზონის 100-ქულიანი ბარიერი. სადღეისოდ 107 ქულა და 107 მოხსნა აქვს.

„ატლანტამ“ კი ერთით მეტი, 108 ქულა ჩაუგდო „დენვერს“ და საკუთარ კალათში 104 მიიღო. ამ მოგებით ჯორჯიელები აღმოსავლეთის კონფერენციაში მესამე ადგილზე გადავიდნენ (10 მოგება, 5 მარცხი).

ინტერვიუ ნიკა ცქიტიშვილთან

# თუ იგორ კოკოშკოვს დავჭირდები...

**გაზეთის გუშინდელ ნომერში მოგახსენეთ, რომ ნიკოლოზ ცქიტიშვილი კარიერას ლიბანურ „ჩამპვილში“ გააგრძელებს. მან შუა სეზონში დატოვა ირანული კლუბი „მაჰანი“ და ლიბანამდე „მაჰრამში“ ჩარიცხვას ელოდა...**
**რატომ წამოვიდა ერთი გუნდიდან, რატომ ვერ გამოვიდა „მაჰრამის“ ვარიანტი და რატომ მაინცდამაინც ლიბანი? ამ და საინტერესო სანაკრებო კითხვებზე პასუხს ნიკას ინტერვიუში ამოიკითხავთ.**

- „მაჰანი“ ფინანსურად წელში გამართული გუნდია, კონტრაქტს ხელს რომ ვაწერდი, მეგონა ორგანიზაციის მხრივაც ასეთივე სიტუაცია იქნებოდა, მაგრამ... ვერც იმას ვიტყვი, რომ ვარჯიშიდან ვარჯიშამდე ფორმაში შევდიოდი. გუნდიდან წამოსვლის მთავარი მიზეზი კი მწვრთნელების გადაწყვეტილება იყო: ჩემი ჩათვლით სამი ლეგიონერი ჩამოიყვანეს, რომელთაგან მოედანზე ყოფნა მხოლოდ ერთს შეეძლო. ირანის პირველობაში არსებული ლიმიტის გამო ამა თუ იმ მატჩის განაცხადში მხოლოდ ორი უცხოელის შეყვანა შეიძლება, თუმცა მათი მოედანზე ერთდროულად გაყვანის უფლება მწვრთნელს არა აქვს (ამიტომ მერგო ზოგიერთ მატჩში შეზღუდული სათამაშო დრო), მესამე ლეგიონერი კი განაცხადშიც ვერ ხვდებოდა. სხვების მოქმედებას არ დაველოდე, კლუბის ხელმძღვანელობასთან მივედი და გათავისუფლება ვთხოვე. პასუხი დადებითი იყო.

**- ვიდრე „მაჰანიდან“ წამოხვიდოდით, ჩემპიონი „მაჰრამი“ ბოლო წამზე ჩაგდებული სამქულიანით დაამარცხეთ...**

- დაძაბული შეხვედრა იყო. ბოლოს ბურთი გვერდიდან უნდა შემოგვეტანა. გვქონდა 2-3 ტაქტიკური ვარიანტი: არ გაგეცინოთ, მაგრამ მონახაზის მიხედვით ბურთი ფარსზემოთ უნდა აგვეგდო და ჩემს თანაგუნდელს ალეი უპი შეესრულებინა. მეორე ვარიანტის მიხედვით ფარისკენ უნდა დავძრულიყავი... თუმცა ბურთი რომ მივიღე, მხოლოდ სროლის დრო რჩებოდა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად გამოვიდა და გავიმარჯვეთ. ამის მერე მოვლენები საინტერესოდ განვითარდა: გუნდში დატოვეს „მაჰანის“ თავკაცი, რომელსაც მანამდე გათავისუფლებას უპირებდნენ, ხოლო წაგების გამო „მაჰრამის“ მწვრთნელი დაითხოვეს და მის ადგილას მეჰმედ ბეჩიროვიჩი დანიშნეს.

**- „მაჰანიდან“ „მაჰრამში გადასვლას გეგმავდით, მაგრამ ტრანსფერი ვერ შედგა...**

- ირანში იყო პრეცედენტი სეზონის მსვლელობისას კლუბიდან კლუბში კალათბურთელის გადასვლისა. ამიტომ, მეც იმედი მქონდა, რომ ფედერაცია „მაჰრამში“ თამაშის ნებას დამრთავდა. ჩემს თემას სამსაათიანი შეხვედრა მიეძღვნა, მაგრამ საბოლოოდ უარი მითხრეს. არადა, ამ გუნდს კარგად ვიცნობ, შარშან მასთან ერთად ირანის ჩემპიონობა მოვიგე. თან, მწვრთნელიც მაღალი დონისაა - ბეჩიროვიჩი.

**- ლიბანის ვარიანტი უცბად გამოჩნდა?**

- „ჩამპვილისგან“ შემოთავაზება მანამ მივიღე, ვიდრე „მაჰრამში“ გადასვლას გადავწყვეტდი. რადგან ირანის კალათბურთის ფედერაციამ უარი მითხრა, გადაწყვეტილება მალევე მივიღე - არ მსურდა დროის დაკარგვა. მხოლოდ ფულზე რომ მეფიქრა და სათამაშო პრაქტიკაზე ხელი ჩამექნია, „მაჰანში“ დავრჩებოდი. თუმცა მინდა, ამ სეზონში ისევე ვითამაშო, როგორც შარშან. რადგან, თუ ნაკრებში გამომიძახებენ, კარგ ფორმაში ვიყო. ცხადია, მწვრთნელის გადასაწყვეტია, ამიყვანს თუ არა. რაც შეეხება გასულ ზაფხულს ნაკრებში არმიწვევას, ახლაც იმ აზრზე ვარ, რომ ეს ცუდი ფორმით მოხდა.

**- სლოვენიაში 6 დღეში 5 მატჩის გამართვა გვიწევს...**

- ზაფხულის თამაშებს რომ ვუყურებდი, აშკარა იყო, ნამყვან კალათბურთელებს შეცვლა სჭირდებოდათ, რაშიც ნამდვილად შეგვეძლო დახმარება მე, ვლადიმერ ბოისას და ლაშა გამყრელიძეს. სლოვენიაში კიდევ უფრო რთული იქნება, ასეთი დონის ტურნირში ორი თანაბარი ხუთეულია საჭირო. თუმცა როგორც უკვე ვთქვი, შემადგენლობის შერჩევა მწვრთნელის გადასაწყვეტია და თუ შემეხმიანებიან, სიამოვნებით ვითამაშებ.

**- სანაკრებო მატჩები ცელიეშია. სლოვენიაში გამოდიოდი და, ალბათ, ამ ქალაქსაც იცნობ.**

- ცელიეში პირველად 1998 წელს ჩავედი, როცა კადეტთა ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატი ვითამაშე. ლამაზი ქალაქია.

**- ესპანეთთან ერთად ჯგუფის ფავორიტად ყველა სლოვენიას მიიჩნევს. არადა, 2011 წელს ევრობასკეტზე მას თანაბრად ვეთამაშეთ და კინაღამ მოვუგეთ.**

- ის მატჩი მაღალ დონეზე ჩავატარეთ, მაგრამ გამარჯვებისთვის მაინც არ გვეყო. სლოვენია 2013 წლისთვის ყველა საუკეთესოს შეკრებს და მისი დამარცხება კიდევ უფრო გაჭირდება. ჩვენი უშუალო კონკურენტები ჩეხეთი, პოლონეთი და ხორვატია იქნებიან. სწორედ მათი ბარიერის დაძლევაა საქართველოს ნაკრების მთავარი მიზანი, რასაც არარეალურს ნამდვილად ვერ ვუწოდებ.



## ჩვენ ვირჩევთ...




ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამხელილი საიდუმლო

ახლაც თვალნათლივ მახსოვს 2003 წელს რუსულ საიტზე გამოქვეყნებული მცირე ინფორმაცია, რომელშიც გიორგი ცინცაძეზე ეწერა: 17 წლის ახალგაზრდა საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა და მოსკოვის ცსკა-მ აიყვანაო.

მაშინ, საქართველოს ჩემპიონატის №1 მოთამაშის გამოსავლენად არაერთი სპეციალისტი გამოვკითხე და ძალიან გამიხარდა, რომ გიორგის საგაზეთო აღიარება კარიერაშიც წაადგა. თუმცა ისიც ცხადია, სპორტსმენს ისე არავინ აიყვანს, თუ მის შესაძლებლობებში სრულად არ არის დარწმუნებული. მით უმეტეს, როცა საქმე ცსკა-ს ეხება.

საქართველოში აღიარებულ სპორტსმენებს უცხოეთშიც სხვანაირად აფასებენ. თუმცა არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: სწორედ გამოკითხვების შედეგად გვახსოვს, რომ ძალიან ადრე, კონკრეტულ წელს, ესა თუ ის სპორტსმენი საქართველოში საუკეთესო იყო, ანუ იმ სეზონში მან განსაკუთრებული შედეგი უჩვენა. ასე რომ, გამოკითხვები ისტორიული თვალსაზრისითაც ღირებულია.

მეტს აღარ განვაგრძობთ, ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ: სულ მალე „ლელოსა“ და საიტ sportall.ge-ს მკითხველს საშუალება მიეცემა, მონაწილეობა მიიღოს 2012 წლის საუკეთესო ქართველი სპორტსმენის გამოვლენაში.

შეგახსენებთ, რომ ეს ჩვენ მიერ ორგანიზებული ზედიზედ მეორე გამოკითხვა იქნება. შარშან „ლელოს“ პრიზი მორაგბე **მამუკა გორგოძეს** გადაეცა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.
ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია ტუხაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608